

K⁴⁹ 026
2



სამსახურის მუხრანში


პროფ. გ. მ.
ნოსტრადიანი.
• რუსთაველის გამზ. 100



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ბერამ უარამ



პლაგონ
იოსელიანი.
რუსთაველი

ბამონცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980

ქ. 0992 [ხუბიაველი] + 86.1.092 [ოსელიანი]



8-1
83.31p7

სელიანი, ქალაქი 899.962.1.092 [რუსთველი] 899.96-2.1.092 [ოსელიანი]

ხუბიაველი, ზოი

შ254

პლატონ ოსელიანს (1809—1875) საპატრიო ადგილი უჭირავს XIX ს. ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პლატონ ოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა, სადაც განხილულია შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები, მოცემულია ცნობები რუსთველის პორტრეტის, „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერებისა და პოემის ეკლესიური დევნის შესახებ, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობის გარკვევისა და პოემის იდეურ-მხატვრული შეფასების ცდა.

პლატონ ოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობის მონოგრაფიულ შესწავლას წინ უძღვის მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.

95096

სკიპ-2000
შეამოწმებულია

შ 70202
M607(06)—80

126—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

დ. შარბინის სახ. სამსახურის სახელმწიფო რეპერტუზიკური

შენსვალი

„როდესაც გატაცებით ვკითხულობ სტრაბონის წარმტაც სტრიქონებს, როდესაც ვუკვირდები პეროდოტეს და ტაციტის დარბაისლურ კილოს — მაგონდება ამ დროს იოსელიანის „შავი წიგნიც“ — წიგნი წითელ ასოებით... ახლა ისე მწყურია მისი სტრიქონები, მისი ვნებით სავსე პათოსი, რომ მისი დაწაფება მირჩევნია ყველაფერს. ხან ვით მწირო, მეუდაბნოელო — საღვთო სიტყვათა წარმომთქმელი, ხან ვით სარდალი შორს გამჭვრეტელი, ხან ვით მგოსანი ჰანგად და კითხვად გარდაქცეული — მიდგება თვალწინ... არა, მას ვერ წარმოვიდგენ საქართველოში! არა, მე ის ელლინად მიმაჩნია, პერიკლოსის ხანაში, მისი ელლინობა ამოვიკითხე მის სევდიან სახეზე, მის ასკეტურ ცხოვრებაში... ოჰ, როგორ მენანება, რომ იგი არ იყო თამარის ხანაში. მაშინ ხომ სხივებით შემოსავდა სტრიქონებს“, — ასე წერდა ჯერ კიდევ ჭაბუკი გიორგი ლეონიძე პლატონ იოსელიანის შესახებ 1915 წელს¹, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია მას „განსაცვიფრებელ ერუდიტს“ უწოდებს და დასძენს: „პლატონ იოსელიანი დიდად განსწავლული მწერალია. ერუდიციისა და განათლების მხრივ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენ მოღვაწეთა შორის ბევრი ვერ შეედ-

¹ გ. ლეონიძე, პლატონ იოსელიანი, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 47, გვ. 4—5.

რება მას“². კირონი კი ხაზგასმით მიუთითებდა: „პლენარული სესიის დროს იოსელიანის ბუნებრივი ნიჭი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სადაც არ უნდა დაბადებულიყო, იგი ყველგან გამოჩენილი პიროვნება იქნებოდა. მით უფრო მეტად შეუძლია იამაყოს საქართველომ მისით, როგორც თავისი სახელოვანი შვილით“³.

3. იოსელიანის ერთი ნაშრომის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „კავკაზი“ აღნიშნავდა: „... და როგორც დიდებული ხანა ბრძენი თამარისა გამოიხატა ვეფხისტყაოსნის მუდამ ჭაბუკი მომღერლის მუსიკალური ბგერებით, ასევე უფრო გვიანდელ ეპოქებშიაც — თავისი სულიერი ძალების სრული სიმწიფისა და შემეცნების ეპოქებში — ხალხის სული პოულობს თავის ღირსეულ წარმომადგენლებს. შოთა რუსთაველისა და პლატონ იოსელიანის სახელები ვრცელი ქართული ცივილიზაციის ორი უკიდურესი ფაზისია. ძველი ორატორების კითხვაზე აღზრდილმა პლ. იოსელიანმა დღემდე შეინარჩუნა დემოსთენესა და ციცერონის ენის სიცხოველე, რომლებიც იტაცებდნენ თავიანთ თანამედროვეებს სისადავითა და ძლიერებით... და თუ ქართულმა პოეზიამ რუსთაველში ჰპოვა თავისი სანეტარო განსახიერება, დღეს მთელი პრაქტიკული სიბრძნე, მთელი სულიერი ძალა და ამადლებული ფილოსოფია ხალხისა გამოხატულია იოსელიანში“⁴. თვალში საცემი გადაჭარბებისა და გაზვიადების მიუხედავად, ეს მოსაზრება

² „მნათობი“, 1938, № 5, გვ. 181.

³ „საისტორიო მოამბე“, ტ. 27—28, თბ., 1973, გვ. 219.

⁴ «Кавказ», 1862, № 45, გვ. 3.

ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა პლ. იოსელიანი თავის თანამედროვეებში.

და მართლაც, პლ. იოსელიანს სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს XIX ს. ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. არ დარჩენილა ამ დროის ქართული ეროვნული მეცნიერებისა თუ დიდი კულტურული წამოწყების რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელშიც პლ. იოსელიანს მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას. თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე და დავით ჩუბინაშვილი თუ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელები იყვნენ, სოლომონ დოდაშვილი და პლატონ იოსელიანი — ამ სკოლას ნაზიარები და საქართველოში ცოცხალ ეროვნულ ფესვებზე ევროპული მეცნიერული აზროვნებისა და კულტურის პირველი დამწერ-გაგები არიან.

პლატონ იოსელიანის ცხოვრება და მრავალმხრივი მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობა არა ერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა. ამ მხრივ მაინც საგანგებო აღნიშვნის ღირსია ზ. ჭიჭინაძის⁵, ა. გაწერელიას⁶, ს. ყუბანეი-

⁵ ზ. ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, ტფილისი, 1893.

⁶ ა. გაწერელია, პლატონ იოსელიანი, უ. „მნათობი“, 1933, № 6—7, გვ. 274—298; მისივე, შესავალი წერილები და შენიშვნები გამოცემაში: პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1936, გვ. VII—X; 281—305; შდრ. მისივე, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ., 1938, გვ. 125—166; მისივე, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1948, გვ. 99—133; მისივე, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 61—70; მისივე, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1962, გვ. 99—128.



შვილისა⁷ და თ. ტაბლიაშვილის⁸ სპეციალური ნარკვევები⁹ ბი თუ გამოცემები. ახლახან რუსულ ენაზე გამოვიდა არჩ. ბარამიძისა და ჯ. ვათეიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა¹⁰. სხვადასხვა დროს ჩვენს პერიოდულ თუ სამეცნიერო ორგანოებში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი, რომლებშიც მეტნაკლები სიზუსტით გადმოცემულია პლატონ ოსელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები¹⁰.

⁷ ს. ყუბანეიშვილი, პლატონ ოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1941, გვ. 149—201.

⁸ თ. ტაბლიაშვილი, დოკუმენტური მასალები პლატონ ოსელიანის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, თბ., 1973, გვ. 57—224.

⁹ А. А. Барамидзе, Д. Л. Ватейшвили, П. И. Иоселиани, очерк жизни и научно-общественной деятельности, Тб., 1978.

¹⁰ ს. მესხი, პლატონ ოსელიანი, გაზ. „დროება“, 26. XI. 1875, № 134; А. Ерицов, Платон Игнатьевич Иоселиани, გაზ. «Кавказ», 14. XII. 1875, № 146; საქართველოს კალენდარი, 1892, გვ. 338; საქართველოს კალენდარი, 1897 (პორტრეტი); „მწყემსი“, 1901, № 22, გვ. 9 (პორტრეტი); Словарь кавказских деятелей, Тиф., 1890, გვ. 39—40; Энцикл. словарь Брокгауза и Ефрона, т. 26, (XIIIa), СПб., 1894, გვ. 764; Биографический словарь студентов первых XXVII-ми курсов С.-Петербургской Духовной Академии 1814—1869 гг., СПб., 1907; გ. ლეონიძე, პლატონ ოსელიანი, ე. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 47, გვ. 4—5; [ი. იმედაშვილი], პლატონ ოსელიანი, ე. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 47, გვ. 12—13; ლ. მელიქსეთ-ბეგო, ეპიზოდი პ. ოსელიანის ცხოვრებიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 20. XII. 1938, № 31; სოლ. ცაიშვილი, პლატონ ოსელიანი, „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრე-

პლატონ იოსელიანის ცალკეული დაკვირვებანი ქართული ლიტერატურის, კერძოდ, რუსთველოლოგიის საკითხებზე განხილულია ნ. მარის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ალ. ბარამიძის, გ. იმედაშვილის, ი. ლოლაშვილის, ს. ცაიშვილის, რ. ორბელის, ი. მეგრელიძის და სხვათა ნაშრომებში, რომლებიც სათანადო ადგილას იქნება დამოწმებული, მაგრამ პლატონ იოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა დღემდე მონოგრაფიულად არ ყოფილა შესწავლილი.

ბული I, ვ. ქაჯაიას რედ., თბ., 1953, გვ. 33—36; ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები და მარგინალები, II. პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიისათვის, სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბილისი-სტალინირი, 1956, გვ. 422—432 (გადაბეჭდილია სათაურით „პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიისათვის“ მისსავე წიგნში: ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 99—113); არჩ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, პლატონ იოსელიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ, „ლიტერატურული გაზეთი“, 17. VII. 1959; მისივე, ძველი საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, „მაცნე“, 1964, № 4, გვ. 186—189; მისივე, პლატონ იოსელიანი და იბერიის (ქართლის) ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, კრებულში: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 424—431; მისივე, ალექსანდრე ორბელიანის ერთი წერილის გამო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 30. I. 1970; მისივე, პლატონ იოსელიანი და ქალაქი ჟინვალი, გაზ. „კომუნისმის გზა“ (დუშეთი), 1975, № 150; Д. Ш у р л и а ш в и л и, Пламенный патриот родной культуры, გაზ. «Вечерний Тбилиси», 28. XI. 1959; ს. ხ უ ც ი - შ ვ ი ლ ი, ნ. ნეკრასოვი და პ. იოსელიანი, „ლიტერატურული გაზეთი“, 20. V. 1960; თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, პლატონ იოსელიანი, „ლიტერატურული გაზეთი“, 15. IX. 1961; მ ი ს ი ე ვ ე, პლატონ იოსელიანი — პედაგოგი და მეცნიერი, გაზ. „სახალხო განათლება“, I. VII. 1962; ა. მ ა თ ი - ა შ ვ ი ლ ი, პლატონ იოსელიანი და მისი წინაპრები სოფელ მარტყოფში,



ამ ხარვეზის შევსების ცდას წინ უძღვის პლატონ იოსელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი დახასიათება, რომელიც უკანასკნელ ხანს მოპოვებულ მასალებზეა დამყარებული.

გაზ. „სამგორი“, 13. XI. 1960, № 91; ა. გორგაძე, ქართული კულტურის მოამაგე, გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 29. XI. 1964; ლ. ნატროშვილი, პლატონ იოსელიანი, გაზ. „ალაზნის განთიადი“ (თელავი), I. XII. 1964; ნ. მაკაროვი, პლატონ იოსელიანი, გაზ. „ბახტრონი“ (ახმეტა), 27. XI. 1965; ლ. ქადაგიშვილი, პლატონ იოსელიანი დუშეთში, გაზ. „კომუნისმის გზა“ (დუშეთი), 5. X. 1967; С. Хуцишвили, Историк, литератор, журналист, გაზ. «Вечерний Тбилиси», 29. XI. 1969; ე. მაჭავარიანი, პლატონ იოსელიანი, გაზ. „სამშობლო“, აგვისტო, 1973, № 16; პ. რატიანი, ეპიზოდი პლ. იოსელიანის მოღვაწეობიდან, ე. „საქართველოს ქალი“, 1976, № 2, გვ. 22; ნ. მახათაძე, პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული ლიტერატურის საკითხები, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964, გვ. 187—206; Н. Махатадзе, Известные письма Платона Иоселиани, კრებ. „ლიტ. ურთიერთობანი“, II, თბ., 1969, გვ. 103—111; ნ. მახათაძე, ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთი საკითხი გაზ. „კავკაზში“ (მე-19 ს. II ნახ.), კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, თბ., 1973, გვ. 120—121; Н. Махарадзе, Пл. Иоселиани в «Закавказском вестнике» (1845—46), თსუ შრომები, ტ. 154, ყურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, III, თბ., 1974, გვ. 366—388.

თ ა ვ ი კ ი რ ვ ე ლ ი

პლატონ იოსელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა

პლატონ იოსელიანი დაიბადა თბილისში 1809 წლის 19 ნოემბერს¹, წმ. პლატონის (+ 306 წ) დღეს, რის გამოც ახლადშობილს საქართველოში მანამდე ნაკლებად გავრცელებული სახელი დაარქვეს², რომელიც, ა. გაწერელიას თქმით, „საბედისწერო გამოდგა“ მომავალი მეცნიერის ცხოვრებაში: ჯერ ნ. ბარათაშვილმა³ და შემდეგ ახალგაზრდა ქართველმა

¹ ზ. ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, ტფ. 1893, გვ. 8; ი. იმედაშვილი, პლატონ იოსელიანი, ქ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 47, გვ. 12; ა. გაწერელია, პლატონ იოსელიანი, წიგნში: პლიოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ. 1936 (ქვემოთ ყველგან ეს ნარკვევია მითითებული), გვ. XIII; ა. აბრამიშვილი, პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიისათვის, წიგნში: ლიტერატურული წერილები თბ., 1968, გვ. 99, 102, 103; სოლ. ცაიშვილი, პლატონ იოსელიანი, წიგნში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებ. I, ვ. ჭაჩაიას რედ., თბ., 1953, გვ. 33; თ. ტაბლიაშვილი, დოკუმენტური მასალები პლატონ იოსელიანის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, ტ. 27—28, თბ., 1973, გვ. 57 (ქვემოთ ყველგან: მასალები).

² კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, პლატონ იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 1.

³ ნ. ბარათაშვილი, ს. ფირცხალავას რედ., ტფ., 1922, გვ. 95, XXXI.

სამოციანელებმა⁴ მას მტკიცედ დაუმკვიდრეს ზედმეტსახელად „პლატონ ფილოსოფოსი“, რომელსაც უფრო ხშირად ირონიულობის დადი აჩნდა.

პლატონის მამა იყო ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის სამეფო კარის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი და ქართულ მწერლობასა და ისტორიაში საკმაოდ კარგად ჩახედული კაცი, დედა — ბარბარე სულხანიშვილის ასული.

⁴ მ ე ს ა მ ე თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ი, ახირებული ფურცელი, „ცისკარი“, 1862, მაისი, გვ. 27. „მესამე თერგდალეული“ ადრე გიორგი შერეთლის ფსევდონიმი ეგონათ (იხ. გ. შერეთელი, თხზ. სრული კრებული, ს. ხუნდაძის რედ., თბ., 1931, ტ. I, გვ. 382; ს. ხუნდაძე, ნარკვევები, თბ., 1941, გვ. 213; ა. გაჭერელია, დას. ნაშრ., გვ. XVI, სქ. 1), მაგრამ როგორც შემდეგში გამოიჩვენა, იგი აკაცი შერეთელს ჰქუთვნებია (იხ. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, გ. აბზიანიძის რედ., ტ. I, თბ., 1940, გვ. 81; აკაცი შერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, გ. აბზიანიძის რედ., ტ. I, თბ., 1950, გვ. 417—419; ტ. XI, თბ., 1960, გვ. 16, 529—531; ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I, შემდგ. ს. ხუციშვილი, თბ., 1954, გვ. 259); იხ. აგრეთვე, ნ. სკანდელი (ნიკოლაძე), ჯანდაბა, „დროება“, 21. IX. 1873, № 37, ხოლო „პოეტთა, პუბლიცისტთა და მეცნიერთა სამუქაფოდ“ დაწერილი ეპიგრამების ავტორი პლ. იოსელიანის მისამართით პირდაპირ წერდა: „პლატონ ფილოსოფოსს: ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?!“ (იხ. „დროება“, 12. VII. 1874, № 431). ილია ჭავჭავაძე თავის „გამოცანებში“ პლ. იოსელიანსაც შეეხო: „...სეხნია ჰყავს სახელ-დიდი...“ (თხზულებანი, ტ. 1, პ. ინგოროყვას რედ., თბ., 1951, გვ. 86). ი. მანსვეტაშვილის მოგონებითაც პლ. იოსელიანს „საზოგადოებაში ფილოსოფოსის ხმა ჰქონდა დავარდნილი“ (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლ. ასათიანის რედ., თბ., 1936, გვ. 10—11).

თავისი წინაპრების შესახებ ერთგან პლატონი გვიამბობს: „მე, მამა-პაპითა ვეკუთნოდი მეფეთა სასახლესა გუარისა გამო ძუძლისა. 1560 წლიდამ, ვითარცა ფიცისა კაცნი ვიყუენით სტანეთსა, ოდიშსა, იმერეთსა და ქართლსა. ვითარცა სასახლის კაცნი ვახლდით მთავართა და მეფეთა იმერეთისა და ქართლისა დასრულებადმდე მეფობისა“⁵. სხვაგან პლ. იოსელიანი თავის გვარს იტალიური წარმოშობისად გვისახავს, რომელნიც ვენეციელ და გენუელ ვაჭრებს შემოჰყოლიათ იმერეთში და შემდეგ გავრცელებულან მთელ საქართველოშიო: «Род Иосселиани замечателен: во первых, в своей древности, как остаток Италианских выходцев в Имеретию во дни Венецианской и Генуэзской торговли; во вторых по обширности, ибо целое почти племя, под этою фамилиею, живет разсеянное в Грузии, Имеретии, Сванетии, Абхазии и Мингрелии. Она занимала первое место в так-называемом «Трехродовом Союзе», заключенном в начале XVIII века в Имеретии на защиту трона, колеблемаго внутренними раздорами и натиском Турков. Этот Тронный Союз, известный на местном языке под именем Пიცис Кацни (ფიცის კაცნი) заключили меж собой три фамильные рода: Иосселиани, Лорткипанидзе и Авалиани»⁶.

⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1936 (ქვემოთ: ცხოვრება), გვ. 284.

⁶ Пл. Иосселиани, Описание Марткопского монастыря, Тиф., 1847, с. 5.

აქ საინტერესოა პლ. იოსელიანისაგან მოწოდებული ცნობები „ფიცის კაცთა“ ინსტიტუტის შესახებ, რომელიც XVIII ს. დასაწყისში ჩამოყალიბებულა იმერეთის სამეფოში და რომელშიც თურმე შედიოდა სამი გვარი: იოსელიანი, ლორთქიფანიძე და ავალიანი.

სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია „ფიცის კაცის“ ინსტიტუტი, რომლის მსგავსი, გარდა იმერეთისა, „საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებისთვის უცნობი იყო“⁷, ოღონდ ამ მტკიცების „ერთადერთ და სანდო წყაროდ“ გამოყენებულია მხოლოდ სოლომონ პირველის თანამედროვის — მაგლობელი კანდელაკის „ზეპირგადმოცემული... ჩაწერილი მისი შვილი-შვილის სიკო კანდელაკისაგან“⁸, რომელთან შედარებით პლ. იოსელიანის ცნობა უფრო ადრეც იყო გამოქვეყნებული და არანაკლებ ნდობასაც იმსახურებს. მაგრამ „მაგლობელი კანდელაკის ზეპირგადმოცემული“ უფრო ვრცელია და რამდენადმე ავსებს კიდევც პლ. იოსელიანის ცნობებს „ფიცის კაცთა“ შესახებ. ამიტომ იოსელიანთა გვარის ისტორიის სრულად გასათვალისწინებლად საჭიროდ ვთვლით მის აქ მოტანას:

„ფიცის კაცები იყვნენ შემდეგი გვარისნი: თავადი ლორთქიფანიძე, აზნაურნი: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ლოლო-

⁷ ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან („შიდა ლაშქარი“), ქ. „მაცნე“ (ისტორიის სერია), № 4, 1971, გვ. 135—139.

⁸ ქ. „კვალი“, 1895, № 24, გვ. 12—13; აკაკის კრებული, № IX, 1898, გვ. 12—15; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II, ქს. სიხარულიძის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 162—164.

ბერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, სტრე-
 რეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი. ესენი ცხოვრობ-
 დნენ სოფლად: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუკურში,
 გვაშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში,
 ჭიმაშტარში, ოფიჩხეთში, ნამხვანში და რიონში. ამ სოფლებს
 საზღვრავდა აღმოსავლეთით სოფლები: სიმონეთი, ქვაშვა,
 ნავენახევი, ძვერული ანუ იგივე ძვერი, ჩხარი და ნაქერალას
 მთა; აქედან გაგრძელდებოდა დასავლეთით, ვიდრე დადიანის
 საზღვრამდის და ხონამდის; სამხრეთით: ვაკე იმერეთი—
 ქუთაისი და ჭიშურა; ჩრდილოეთით: კვალადვე დადიანის
 საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩხუმი, ვიდრე რაჭის
 საზღვრამდის. ამ საზღვრებს შიგნით, ზემოთ თქმული სოფ-
 ლები ისეთი მიუდგომელი ადგილები იყო, რომ ვაკე იმერე-
 თიდან და ქუთაისიდან ურმის შესვლა არ შეიძლებოდა: სრუ-
 ლებით მთაგორა და კლდოვანი ადგილები იყო. ვაკეს სივრ-
 ცით ერთ ქცევაადგილსაც იშვიათად შეხვდებოდი, გარდა ერ-
 თი ადგილისა, რომელსაც ჰქვია გურეშევი; ამ გურეშევის
 ზემო კერძოთი უძახდნენ ერთ პატარა ნაკ-
 ვეთ ადგილს ლეკერწას, სადაც იდგა ერთი შე-
 სანიშნავი დიდი მუხის ხე; ფიცის კაცნი,
 ვიდრე თუთხმეტე წლისა, თავისი ყმებით,
 სამღვდელოებით და ხატებით მათი ეკლე-
 სიისა—მუხის ხესთან შეიკრიბებოდნენ ყო-
 ველ წლობით თუთხმეტე მაისს და იფიცებო-
 დნენ ესრეთ: მეფის ერთგული ვიყოთ და თა-
 ნაც ჩვენი ოჯახების მტრის მტერი და მოყვ-
 რის მოყვარეო. გვარებს კი თვითეულად აღიარებდნენ—

როდესაც ერთი მათგანი ფიცს ასრულებდა, მისი ყმები უმე-
იდგნენ და ფიცის შესრულების შემდეგ მიდიოდნენ, ხელბ-
ზე ხელს ადებდნენ და იტყოდნენ, ჩვენი ბატონი მართალს
ფიცავს ამისმა მადლმაო. და რომ ფიცი გათავდებოდა, გამო-
ვიდოდნენ იქვე გურშევის დიდ მშვენიერ მინდორზე, იქ
ჰქონდათ მომზადებული ნეშოს კარგები, ბარგი, ხაბაზები,
მზარეულები და ყოველივე ჭამის სამკაული, ვისაც როგორ
თავი მოსწონდა. ლოგინებად ჰქონდათ ნეშო და ზედ გაგე-
ბული ხალიჩები და ქვეშაგები საზაფხულო. თუმცა როგორც
ბინა ცალ-ცალკე, ეგრევე სადილ-ვახშამიც კერძოდ კეთდე-
ბოდა, მაგრამ ჭამად — კი ყველანი ერთად დაჯდებოდნენ.
პირველად უმთავრესი სასასმითი უნდა დაეღიათ ღვინო და
ეთქვათ: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მე-
ფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცს, შენდობა ბა-
ტონოო“. იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში და გაუწყვეტელი თო-
ფის სროლა. ეს ლხინი გასწევდა, უკეთუ დარი იქნებოდა, ორ
კვირეს. იყო ყოველ დილაობით ყაბაზზე სროლა, საღამოს
ჯირითი, პირველი ყაბაზის გაგზავნის მოვალე იყო მეფე: აგ-
ზავნიდა ბტყლად გაჭედილ ვერცხლს. იმის ჩამოგდების შემ-
დეგ დასვამდნენ ყაბაზად ქაშანურს, მაგრამ ყოველი ოჯახი-
დან იყო მოტანილი ნაცვლად ყაბაზისა ვერცხლის იარაღი,
ე. ი. აზარფეშა, თასი და დიდროვანი ვერცხლის სტაქნები და
ვის სახელზედაც ყაბაზი დაისმოდა, მისი მოტანილი ვერცხ-
ლეულობაც იქვე ხის ძირში იდგა. ვინც ყაბაზის ქაშანურს
გატეხდა, ვერცხლიც მისი იყო. ფიცის კაცს დიდი გავ-
ლენა ჰქონდა მეფეებთან, ასე რომ უკეთუ
ვისმე მეფე გაუწყებოდა, შერისხული მი-

მართავდა ფიცის კაცს და თუ შეასწრებდა ფიცის კაცის საზღვარში, მდევარი ველარ შეყვებოდა. რაკი ფიცის კაცს მოუნდებოდა, მეფე ძალით ველარ გამოიყვანდა. შეიკრიბებოდნენ ერთობით ფიცის კაცი, ესენი ცოტა არ იყვნენ: ათასი მეომარი სახელოვანი გამოვიდოდა მარტო თავად-აზნაურნი და მათი ყმები კი, რასაკვირველია, ზედმეტი იყო. ფიცის კაცი თავისი ყმებით შეკრებილნი, ერთ ადგილას ქუთაისის მახლობლად დაბინავდებოდნენ, მიუგზავნიდნენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდნენ, რომ ეპატიებიათ მათთვის ეს დამინაშავე კაცი. არ იშუამდგომლებდნენ მხოლოდ მეფისა და ქვეყნის მოღალატეზე; სხვებს კი, როცა შენანებულს ნახავდნენ, თავის კალთას აფარებდნენ და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია. ფიცის კაცებს, მეტადრე ომის დროს დიდი ერთობა ჰქონდათ: ომში ერთად შედიოდნენ, ერთი მეორეს ვერ დატოვებდა, კვდებოდნენ ერთად და გამოვიდოდნენ კიდევ ერთად. როგორც დაჭრილს არ დატოვებდნენ, აგრეთვე არც მკვდარს და თუ ვისმე შენიშნავდნენ, რომ ხელგამოუღებელი და ან შეშინებული მოკვდა, იმას აღარ მარხავდნენ და არც შინ წამოიღებდნენ, მინდვრად დატოვებდნენ მხეცების შესაჭმელად. უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყოდნენ: ფიცის კაცს უღალატაო და აღარც შეიძლებოდა დაეყოვნებიათ მათ საზღვარში, აყრიდნენ და გადაასახლებდნენ, მაგრამ მის ადგილ-მამულს კი ფიცის კაცებივე შეიყიდნენ ღირებულ ფასად⁹.

⁹ ქს. სიხარულიძის დასახ. გამოცემა, გვ. 162—164.



„იტალიური წარმოშობისა“ არა ვიცით რა, ოღონდ იოსელიანების გვარი რომ სვანეთიდან იღებს სათავეს, ეს სადავო არ ჩანს: თ. ტაბლიაშვილის ცნობით, „მკვლევართათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ მესტიის რაიონის სოფელ ლახირში, სადაც იოსელიანები სახლობენ, შემონახულია იოსელიანთა საგვარეულო სვანური ციხე-დარბაზიანი სახლი ეკლესიითურთ, რომელიც მთლიანად ერთ არქიტექტურულ ანსამბლს შეადგენს და თავისი სტილით საშუალო საუკუნეების ძეგლებს მიეკუთვნება“¹⁰. მდივანბეგების ქაიხოსრო წერეთლისა და დავით ჩხეიძის მოწმობითაც, «из фамилии же Иоселиановых в Имеретии издревле были и есть царские дворяне»¹¹.

რაც შეეხება პლ. იოსელიანის უშუალო წინაპრებს, ისინი იმერელი (წყალტუბოელი) აზნაურები ყოფილან, რომლებიც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში (გარეკახეთში) გადმოსულან და მამული („სესიაური“) მარტყოფს ჰქონიათ. კერძოდ, შემონახულია სოლომონ II-ის, იმერთა უკანასკნელი მეფის, 1804 წლის 1 იანვრის სიგელი, რომლითაც იგი პლატონის პაპას — ონისიმე იოსელიანს (გარდაიცვალა 1816 წელს¹², ე. ვეიდენბაუმის ცნობით — 77 წლის ასაკში¹³) უმ-

¹⁰ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, გვ. 59; იხ. აგრეთვე, ვ. კახიანი, წინაპართა ნაკვალევით, ქ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 3, გვ. 22.

¹¹ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 23.

¹² Пл. Иоселиани, Оп. Мартк. монаст., с. 5; ეგნატე იოსელიანის ჩანაწერით კი, ონისიმე გარდაცვლილა 1815 წლის 16 მარტს — იხ. ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 102.

¹³ ხელნ. ინსტ., ვეიდენბაუმის ფონდი, კართოტეკა „ი“, № 96 — იხ.




920.54
K 49.02

ტიციებს აზნაურობას, უკეთ რომ ვთქვათ, უახლეს ადრეულ სოლომონ I-ის მიერ გაცემულ აზნაურობის სიგელს¹⁴. თვით პლატონის ცნობით, „ონისიმე იოსელიანი, საყვარელი მეფის გიორგისა, იოსებ კათოლიკოსისაგან ნაკურთხი. მამა მისი ქრისტეფორე გადმოვიდა იმერეთით წყალ-ტუმბოდგან. ორნი ძმანი მისნი დაიხოცნენ ჭარის ომში. კათოლიკოსსა ანტონის უნებდა, რათა მიჰყიდოს მან მამული თვისი და ვენახი მარტყოფს „სესიაური“ სხვასა. უარისათვის გადააყენა მღვდელობილამ“¹⁵, ხოლო თუ ეგნატე იოსელიანის სიტყვებს დავუჭერებთ, მისი წინაპრები ორასი წლის წინ გადმოსულან იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში¹⁶.

„მარტყოფის მონასტრის აღწერილობაში“ მოწოდებული ცნობების მიხედვით, ონისიმე იოსელიანის მამას იესე, იგივე სესია რქმევია (და არა ქრისტეფორე, როგორც ამას პლატონი „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ (გვ. 259) წერს, თუმცა ეგნატე იოსელიანის მიერ 1824 წელს საქართველოს თავადაზნაურთა სადებუტატო საკრებულოში აზნაურის წოდებაში მის დამტკიცებასთან დაკავშირებით წარდგენილ საგვარტომო ნუსხაში ონისიმეს მამად ისევ ქრისტეფორეა ნაჩვენები — თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 27). პირველად სწორედ ეს იესე იოსელიანი გადმოსულა წყალტუმბოდან აღმ. საქართველოში და მისთვის თეიმურაზ II-ს სოფელ მარ-

A. A. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 29.
¹⁴ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 1; იხ. აგრეთვე, № 11.
¹⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., გვ. 259—260.
¹⁶ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 11.

2. გ. შარაძე



ტყოფში უბოძებია მამული (მაშასადამე, ეს უნდა მომხდარიყო, ალბათ, XVIII ს. შუა წლებამდე).

ამიტომ, იოსელიანთა ამ შტოსთვის მარტყოფელი შეურქმევიათ; ონისიმე და ეგნატე იოსელიანებს შემდეგ დიდი ბრძოლა მოუხდათ, რომ კვლავ დაებრუნებინათ თავიანთი გვარი. ასე მაგალითად, იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ გვაუწყებს: „ეგნატე ონისიმეს ძის მარტყოფელისათვის: ეგნატი, მღვდელი კარის ეკლესიისა წმინდის გიორგისა, ონისიმეს ძე მარტყოფელისა, აწ იოსელიანად გვარმიღებულია“¹⁷.

მარტყოფში იესე იოსელიანს თავი გამოუჩენია თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში (მას, ეტყობა, თურქულიც კარგად სცოდნია). იესეს გარდაცვალების შემდეგ მისი მამული მარტყოფს „სესიაური“ ანტონ I კათალიკოსს სხვისთვის მიუცია, რასაც იოსელიანების ოჯახში მისდამი დიდი სიძულვილი ჩამოუგდია (ამ სიძულვილით გამოწვეულ შედეგებს ქვემოთ განვიხილავთ).

პლატონის პაპა, ონისიმე იოსელიანი, ჯერ თურმე სწავლობდა მარტყოფის ღვთაების მონასტერში, რომლის ლეკთაგან სრული განადგურების შემდეგ 1752 წელს გადაუყვანიათ სამეფო კარის ეკლესიის (და არა მარტყოფის მონასტრის¹⁸) დიაკვნად, ხოლო 1762 წელს, ერეკლე II-ის ბრძანებით, იოსებ კათალიკოსს მღვდლად უკურთხებია.

¹⁷ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა (ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1948, გვ. 201.

¹⁸ შტრ. A. A. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 29.

ამ ცნობათა პირველხარისხიანი მნიშვნელობის გასა
 (ისინი შემდეგ გამოგვადგება ზოგიერთი სადავო რუსთველო-
 ლოგიური პრობლემის გადასაწყვეტად), მოგვყავს იგი მთლიან-
 ნად:

«Здесь кстати упомянуть о роде Иоселиани в
 истории Грузии не замечательном. Отец Онисима, Име-
 ретинский дворянин Иессей или по местном выгово-
 ру, Сесия, переехавший из Имеретинского селения
 Цхалтумбо, славящагося своими серными водами, вод-
 ворился в селении Марткопи, где и получил земли, сады и
 другия угодья от Грузинскаго Царя Теймураза II, во дни
 ужаснейшаго гонения церкви Грузинской и Царства по-
 рабощаемаго Турками. Иессей в эти бурные дни был упо-
 требляем в делах переговоров с Турецкими Пашами, уг-
 рожавшими краю. Не смотря на иго, наложенное тогда
 на Грузию при занятии Турками селения Марткопи, уви-
 девшаго у себя мечеть и клич Ислама. Иессей сделался
 начальником всех тамошних Христиан. Его двор, вино-
 градный сад и весь участок, получили с тех пор, в актах
 и в устах народа, название Сесиаури, то есть «при-
 надлежность или собственность Сесии» (по Руски Иес-
 сеевы). Все это уступлено было в другия руки, по уве-
 щанию и убеждению Католикоса Антония I. уже после
 смерти Иессея. Сын его Онисим воспитывавшийся в Мар-
 ткопском Монастыре, был тогда же взят во Дякона При-
 дворной Церкви; а в 1762 году по повелению Ираклия II,
 поставлен во Священника. В 1773 году, стал он было ос-

პორивать старое достояние своего отца, но безуспешно. Впрочем, с того времени весь род Иосселиани, оставаясь в Грузии (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში. გ. შ.), как отдел многофамильного рода Имеретинского, принадлежал к Двору Грузинских (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს, გ. შ.) Царей. Он и от Русского Правительства призрен обеспечением в содержании»¹⁹.

ამიტომ არის, რომ პლატონი თავის თავს მარტყოფელ იოსელიანად თვლიდა: «Принадлежа сам с своим родом около 120 лет к семейству обширного некогда населения Марткопи... я привык приклоняться пред его развалинами с малых лет, и потому посещал и обозревал их не раз в разная эпохи моей жизни», და რომ მარტყოფია მისთვის «первоначальная отчизна моих предков»²⁰.

საქართველოს თავდაზნაურთა სადებუტატო საკრებულომ 1824 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით. ონისიმე იოსელიანის გვარსა და მის ჩამომავლებს, რომლებიც მანამდე თბილისის წარჩინებულ მოქალაქეებად და, უნდა ვიფიქროთ, მარტყოფელებად იწოდებოდნენ, აღუდგანა იოსელიანთა გვარი და აზნაურის წოდება²¹. ეს დადგენილება სენატს 1829 წლის 29 მაისს დაუმტკიცებია²².

¹⁹ Пл. Иосселиани, Оп. Мартк. монаст., Тиф., 1847, с. 4—5, სქოლო.

²⁰ იქვე, გვ. 3; იხ. აგრეთვე, ა. მათიაშვილი, პლატონ იოსელიანი და მისი წინაპრები სოფელ მარტყოფში, გაზ. „სამგორი“, 13. XI. 1960, № 91.

²¹ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 24.

²² იქვე, № 43.

ონისიმე იოსელიანს სამი ქალი და სამი ვაჟი ჰყოლია (ეგზეგეზიკალიზაცია). ეგზეგეზიკალიზაცია (დაბ. 1764 წ.), ეგნატე (დაბ. 1767 წ.), თონა (დაბ. 1771 წ.), თინათინ (დაბ. 1772 წ.), ზაქარია (დაბ. 1782 წ.) და სოფრონ (დაბ. 1785 წ.)²³. ამათგან, გენერალი ზაქარია იოსელიანი 1812 წლის სამამულო ომში ბოროდინოს ბრძოლების მონაწილე ყოფილა²⁴.

პლატონის მამა — ეგნატე იოსელიანი დაბადებულია 1766 (თუ 1767) წელს²⁵, ის ჯერ კიდევ ბატონიშვილობაში ძლიერ დაუახლოვებია გიორგი XII-ს. იოანე ბატონიშვილის სიტყვებით, „ესე [ეგნატი] მცირე მეფემან მეთათამეტემან გიორგი თვისსა ბატონისშვილობასა შინა აღაზრდევინა სწავლასა შინა საფილოსოფოსოსა და საღვთისმეტყველოსა, ასწავებინა ენა სომხური ტერ-დავითას, კაცსა მეცნიერსა, რომელმანც უცხოდ მიიღო სწავლა და ენა სომეხთა ზედმიწევნით“²⁶. ეს ტერ-დავითი, როგორც ერთი დოკუმენტი გვაუწყებს, მოლნიის სომხური ეკლესიის მღვდელი ყოფილა, რომელსაც ბატონიშვილმა გიორგიმ 1779 წელს მისცა ეგნატე იოსელიანი სომხური წერა-კითხვის სასწავლად²⁷. ამასვე მოგვითხრობს პლატონიც:

²³ იხ. ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 101—102; თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 24, № 26, № 27.

²⁴ ვ. კახიანი, დას. წერილი.

²⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება... გვ. 255; თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 3; შდრ. № 69, № 76; იხ. აგრეთვე, ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 101—102; ც. ჰანკიევი, ეგნატე იოსელიანის ლიტ. მემკვიდრეობის შესწავლისათვის, ხელნ. ინსტ. მოამბე, V, 1963, გვ. 58.

²⁶ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 201.

²⁷ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 3.

„ეგნატი იოსელიანი, მწერალი მეფისა, მისგანვე მიბარებული სომხისა მოძღვართან სასწავლებლად ენისა და სომხურისა ენისათვის მოხმარებული მეფისაგან მწერალი წიგნთა“²⁸. ამას გარდა, ფილოსოფიის კურსი ეგნატე იოსელიანს მზეჭაბუკ ორბელიანთან გაუვლია; „ამას ასწავა ახსნით მზეჭაბუკ ორბელიანმან დამასკელის წიგნი და პროკლე კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისაგან ქმნილი ღვთისმეტყველება, „კავშირად“ წოდებული, და სხვანიცა ღრმანი წერილნი“²⁹, ხოლო შემდეგში იგი, როგორც პლ. იოსელიანი აღნიშნავს, უფლისწულების (კერძოდ, მიხეილ გიორგის ძის) ფიზიკისა და ასტრონომიის მასწავლებელიც ყოფილა³⁰.

მართლაც, ჩვენს სიძველეთსაცავებს შემოუნახავთ ეგნატე იოსელიანის მიერ სომხურიდან ქართულად სხვადასხვა დროს გადმოთარგმნილი „შემსგავსებანი“ (S-138), „ფსალმუნთა განმარტება“ (S-400, S-3029-ა), „განმარტება 50-სა ფსალმუნისა“ (S-3029-ბ), „კაცისათვის“ (S-3029-გ), „საღმრთო სიბრძნისათვის“ (H-917), „კარაბადინი“ (H-2199, 1r-3v), აგრეთვე ეგნატეს ორიგინალური შრომა „თბილისის ეკლესიათა აღწერა“ (S-3034)³¹, „შემოკლებული ისტორია კიროსისათვის“ (H-608:3,

²⁸ პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., გვ. 255.

²⁹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 201.

³⁰ S-3063, ფ. 1; იხ. ც. ჭანკიევი, დას. ნაშრ., გვ. 58.

³¹ ამის შესახებ იხ. ც. ჭანკიევი, ეგნატე იოსელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, ხელნ. ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, გვ. 57—66; შდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მასალები ტფილისისა და „სომხთის“ სიძველეთა ისტორიისათვის, ე. ჩვენნი მეცნიერება“

H-2138 : 2) და მის მიერ გადაწერილი „პორფირის შეყვანილობა“ (S-1525), კირილე ალექსანდრიელის „საუნჯე“ (H-2174), „ბოროტთა ანგელოსთათვის“ (H-2175), მარკოს აგრელიუსის „საყოფაქცეო ჰსჯა“ (H-2206), პროკლე დიადოხოსის „კავშირი ღვთისმეტყველებითნი“ (H-2364, სალტ. შჩ. ბიბლ., იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 223), ეგნატე იოსელიანის ნაქონი „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქციის ნუსხა (S-433), ანტონ პირველის „ღრამმატიკა“ (ლენ. M-44) და სხვ.

გარდა მწიგნობრობისა, ეგნატე იოსელიანი თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა: იგი თბილისში სამეფო წმინდა გიორგის კარის ეკლესიაში (რომელიც დღესაც დგას თეატრალური მუზეუმის ეზოში, ერეკლეს მოედანზე) 1790 წლიდან ჯერ მთავარ-დიაკვანი ყოფილა³², 1806 წელს კათალიკოს ანტონ II-ის ხელდასხმით უკვე კარის ეკლესიის მღვდელი გამხდარა³³, ხოლო 1831 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსს იონას იგი თბილისის სიონის დეკანოზად უკურთხებია³⁴.

სხვადასხვა დროს იმპერატორის ბრძანებით ეგნატე იოსელიანი დაჯილდოებული ყოფილა თეთრი სამღვდლოებისთვის დაწესებული იისფერი ხავერდის სკუფიით (1820 წ.), იისფერი ხავერდის კუნკულით (1826 წ.), სამკერდე ჯვრიანი

1923, № 1, გვ. 81—96; იხ. აგრეთვე, საქართველოს კალენდარი, 1895, გვ. 488.

³² იხ. S-1525; სალტ.-შჩ. ბიბლ., იოანე ბატონიშვილის კოლ. № 223; შდრ. თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 69.

³³ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 69.

³⁴ იქვე, № 72.

წარჩინების ნიშნით (1830 წ.), ხოლო 1821 წლის 29 სექტემბრიდან სიონის გარდაცვლილი დეკანოზის იესე ჩუბინაშვილის (პროფ. დავით ჩუბინაშვილის მამის) ნაცვლად სასულიერო მხრიდან წამოაყენეს თბილისის ქალაქის დეპუტატად³⁵.

იოსელიანების საგვარეულო გადმოცემით, „როცა აღამაჰმად ხანმა ქართველებს სძლია, ეგნატემ კრწანისის ბრძოლის ველიდან კათალიკოსის ჯარის საბრძოლო დროშა გამოიტანა, რომელიც პირველად წმინდა გიორგის კარის ეკლესიაში დაასვენა, ზოლო შემდეგ, თბილისის აწიოკებისას, როცა ეს ადგილიც დაარბიეს, თავის ბინაზე მიიტანა და გადამალა. ეს დროშა სასოებით ინახებოდა შემდეგ თაობათა მიერ და იგი დღესაც დაცულია დავით იოსელიანის ოჯახში“³⁶.

ამ გადმოცემას არ ეთანხმება პლ. იოსელიანის მონათხრობი. პლატონის ცნობით, იგი „კათალიკოსის ჯარის საბრძოლო დროშა“ კი არ არის, არამედ თეიმურაზ II-ის მიერ ნაბოძები და კათალიკოს ანტონ I-ის ნაკურთხი გიორგი XII-ის „საუფლისწულო დროშაა“, რომელსაც ეგნატე იოსელიანი თურმე „კრძალვიდა კარის წმინდის გიორგის ეკლესიისა შინა, დღითგან მეფის გარდაცვალებისა“, მაგრამ „... რუსთა

³⁵ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 9, № 14, № 69.

³⁶ ვ. კ ა ხ ი ა ნ ი, წინაპართა ნაკვალევით, ქ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, № 3, გვ. 23. დღეს ეს დროშა ინახება პროფ. დ. იოსელიანის ვაჟის — პროფ. გ. იოსელიანის ოჯახში (თბილისი, აღ. სუმბათაშვილი-იუჯინის ქ. № 9); ერთ დროს აღნიშნული დროშა ზატის სახით დასვენებული ყოფილა პლ. იოსელიანის მიერ სოლოლაკში აგებულ ამბღლების ეკლესიაში: იხ. „ივერია“, 1902, № 123.

მთავრობისა ეწინოდა, არა ჰკითხონ, რად გაქვს დროშა ესეო. ძმაცა მამისა ჩემისა მარადის 'შფოთის ქამსა აწინებდა და ეტყოდა: ორგულობისათვის რუსეთისა გაქვს დროშა ეგეო. მაშინ შეწინებულმან დასწვა ხე, რომელზედაცა იყო ბმული თვით ხატი. ხისა ამის თავზედ ნაკეთი ვეცხლისა ბუმტი გაყიდა და ფასითა ამით უქმნა კიოტი ფიცრისა, დაეკეცა დროშასა ამას სამსხივად გრძელი ფრთები და ჩასდვა კიოტა: შინა მინითა დაფარული; დაისვენა თაყვანის საცემლად სახლსა შინა თვისსა³⁷.

ირკვევა, რომ ეგნატე იოსელიანის ოჯახი ძლიერ ყოფილა დაახლოებული მელიტონ ბარათაშვილის — ნიკოლოზ ბარათაშვილის მამის ოჯახთან. 1841 წლიდან ისინი მეზობლებიც გამხდარან: ბარათაშვილები, რომლებიც ადრე „მუხრანის ხიდს ახლო“ ცხოვრობდნენ, 1841 წლის დასაწყისში გადასულან ანჩისხატის უბანში — დღევანდელი ჩახრუხაძის ქ. № 17-ში, ხოლო იოსელიანები იმავე ქუჩის № 6-ში იდგნენ³⁸.

³⁷ პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., გვ. 26—27, აგრეთვე, გვ. 39—40; დაწვრილებით იხ. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 59—64; აქვეა დაბეჭდილი ამ დროშის ფოტოგამოსახულება (ტაბ. XXI—XXII); შდრ. А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 24, Приложение 9; უფრო ადრე ამ დროშის შესახებ წერდა აგრეთვე ესომ (მოსე ჯანაშვილი), იხ. ძველი ნაშთი, გაზ. „ივერია“, 1894, № 63.

³⁸ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, სოლ. ცაიშვილის რედ., თბ., 1954, გვ. 192; ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1841 წლის 28 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, თბ., 1972, გვ. III;

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყრმის მეგობრის კონსტანტინე მამაცაშვილის (მამაცოვის) მოგონებით, „მელიტონ ბარათაშვილის სახლში ნახავდით ძველს ჩვენ სწავლულ ქართველებს, იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი (მამა ჩვენის მწერლის პლატონისა). ეგნატე იოსელიანმა ჩინებულად იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზრდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენს საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ³⁹. ამასვე იმეორებს პოეტის სკოლის მეგობრის მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის ვაჟი — გიორგი თუმანიშვილი მამისგან ჩაწერილ მოგონებებში: „თავად მელიტონის [ბარათაშვილის] სახლში ხშირად შეხვდებოდით ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელთაგან მღვდელი ეგნატე იოსელიანი აქ თითქმის ყოველდღე იყო“⁴⁰.

კაცმა რომ თქვას, შეიძლება არც იყოს საჭირო ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყრმის მეგობართა მოგონებების დამოწმება, რადგან თვითონ პოეტი თავის წერილებში ხშირად გვიდასტუ-

მდრ. ა. კოჭლაშვილი, სად ცხოვრობდა პოეტი? „თბილისი“, 10. VIII. 1963; იხ. აგრეთვე, „თბილისი“, 3. IV. 1968.

³⁹ კონსტანტინე მამაცოვი, ნიკოლოზ ბარათაშვილი (შასალა ბიოგრაფიისათვის), გაზ. „დროება“, 4. X. 1881, № 206.

⁴⁰ Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, книга первая, I издание, Тиф., 1900, с. 152; II дополненное издание, Тиф., 1913, с. 142.

რებს ეგნატე იოსელიანთან ახლობლობას⁴¹, ხოლო მისმა დაცვალეზამ 1843 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგი სიტყვები ათქმევინა დამაშვრალ მოღვაწეზე: „მამა ეგნატი... ერთი თთვეა, რაც ვარდაიცვალა. საწყალი! Вот человек, который по своему положению в свете более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан“⁴². პოეტის ამ სიტყვებთან დაკავშირებით ალ. ხახანაშვილი შენიშნავდა: XIX ს. 30-იანი წლების ქართული საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ეგნატე იოსელიანის სიკვდილთან დაკავშირებით თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ნაღვლით სავსე სიტყვები წინასწარმეტყველური ეპიტაფია გამოდგა თვით პოეტის პირქუში ბედისათვის“⁴³.

გადმოცემით, თითქოს „სწორედ ეგნატეს ნაამბობის გავლენით შექმნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა“⁴⁴. 1832 წელს ეგნატე იოსელიანზე ეპვი მიუტანიათ, როგორც შეთქმულების მონაწილეზე⁴⁵. ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, 1840 წლიდან სიკვდილამდე ეგნატე იოსელიანი დედამისის, ერეკლე II-ის უსაყვარლესი ასულის — თეკლე ბატო-

⁴¹ ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, ა. გაწერელისა და ი. ლოლაშვილის რედ., თბ., 1972, გვ. 114, 121.

⁴² იქვე, გვ. 121.

⁴³ А. С. Хаханов, Очерки, IV, М., 1906, с. 61—62.

⁴⁴ ვ. კახიანი, დას. წერილი, გვ. 23; А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 25.

⁴⁵ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 75—76; А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 24.

ნიშვილის მოძღვარი ყოფილა⁴⁶. ეგნატე იოსელიანი განაგრძობდა ცვლილა 1843 წ. ივლისში, 77 წლისა⁴⁷. თანამედროვენი გეიხასიათებენ მას: „... მამა პლატონისა მღვდელი ეგნატე მეფეს გიორგისვე ახლდა, მაგრამ ეს ეგნატე, არამცთუ ერთისა, მთელი საქართველოს სამეფოს ოჯახისა თავშეწირული ერთგული იყო და უნამეტნავესად თავის მშობლის მამულისა. დიდი გონიერი კაცი იყო ეს ეგნატე და დიდი მადლიანი წმინდა“, — წერდა ალექსანდრე ორბელიანი⁴⁸. იოანე ბატონიშვილის სიტყვებით კი, „არს ესე ფილოსოფიისა და საღმრთოსა წერილსა შინა გამოცდილი, ეგრეთვე უცხო რიტორი, მშვენიერ მოუბარი და კარგი წარმკითხველი წერილთა“⁴⁹, ხოლო დავით რექტორი ეგნატეს უწოდებს თავის „სულიერ ძმას და უსაკუთრეს მეგობარს, კეთილშობილს, პატროსანს მეცნიერს და გავითარებულ, ღირსს მღვდელს“⁵⁰. კრიონის შეფასებით, ეგნატე იოსელიანი თავისი განათლებითა და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით ნებცსიერი ეკლესიის მშვენება იქნებოდა⁵¹.

⁴⁶ ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, პლატონ იოსელიანსა..., S-1646-გ, გვ. 17.

⁴⁷ ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ა, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 121—122; პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება..., გვ. 255; ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დას. ნაშრ., გვ. 17; შდრ. S—3053, ფ. I; საქართველოს კალენდარი, ვალ. გუნიას გამოცემა, 1895, გვ. 488; ც. ქ ა ნ კ ი ე ვ ი, დას. ნაშრ., გვ. 58.

⁴⁸ ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დას. ნაშრ., გვ. 6; ა. გ ა შ ე რ ე ლ ი ა, დას. ნაშრ., გვ. XIII.

⁴⁹ ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, II, თბ., 1948, გვ. 201.

⁵⁰ H-2185.

⁵¹ E[пископ] K[ирион], Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, с. 47.



არჩ. ბარამიძემ და ჯ. ვათეიშვილმა თავიანთ მონოგრაფიულ ნარკვევებში გამოაქვეყნეს პორტრეტი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „პ. ე. იოსელიანის მამა — ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი (ქვეყნდება პირველად)“⁵². ჩვენ გავსინჯეთ აღნიშნული პორტრეტის დედანი, რომელიც ინახება დამსახურებული ეკონომისტის ლ. გ. იოსელიანის (მცხ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. № 3) პირად არქივში. იგი წარმოადგენს ფოტოსურათს, რომელსაც ქვედა მარცხენა ყუა ჩამოგლეჯილი აქვს, მაგრამ მაინც გადარჩენილა ფოტოგრაფიული სახელოსნოს დამლა-ტრაფარეტი: „Левицкий. СПб.“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს რუსეთის გამოჩენილი ფოტოხელოვანი ს. ლ. ლევიცი. აი, რას წერს მის შესახებ დიდი საბჭოთა ენციკლოპედია: „რუსეთში მხატვრული ფოტოგრაფიის განვითარება, პირველ რიგში, დაკავშირებულია მხატვარ-ფოტოგრაფ ს. ლ. ლევიცის, დიდი რუსი მწერლების ფოტოპორტრეტთა ვრცელი გაღერების შემქმნელის, მოღვაწეობასთან“ (БСЭ, ტ. 45, გვ. 366; იხ. აგრეთვე, ტ. 13, გვ. 272). მაშინ როგორ უნდა გავგოთ ეს: თუ გავიხსენებთ, რომ ეგნატე იოსელიანი 1843 წელს გარდაიცვალა თბილისში, ხოლო ამ დროს საერთოდ ფოტოხელოვნება ასე არ ყოფილა განვითარებული და არც ეგნატე იოსელიანი ჩასულა ოდესმე პეტერბურგში, ყოველივე ეს ხომ არ აყენებს ეჭვს ქვეშ ამ პორტრეტის ავთენტურობას? იქნებ დაგვროტიპიდან ან ფერწერული ნამუშევრიდან გადააღებინა და გაამრავლებინა მა-

⁵² А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., приложение; შდრ. იქვე, გვ. 28.



მის პორტრეტი პლატონ იოსელიანმა პეტერბურგში? ყოველივე
ლივე ამას შემდგომი კვლევა სჭირდება.

პლატონს გარდა, ეგნატე იოსელიანს ორი შვილი ჰყო-
ლია: მაია (იგივე მარიაში), რომელიც 1809 წლის ივლისში
ზაქარია მოძღვრიშვილს შეურთავს ცოლად და ელენე — გი-
ორგი ზანდუკელის მეუღლე (დაქორწინდნენ 1823 წლის 22
ივნისს)⁵³, ხოლო მარიამ დედოფლის (ციციშვილის ასულის,
გიორგი XII-ის მეუღლის) 1806 წლის 8 აპრილს ბელგორო-
დიდან გამოგზავნილი სამძიმრის წერილიდან ირკვევა, რომ
პლატონზე ადრე ეგნატე იოსელიანს შესძენია ვაჟი — ქრისტე-
ფორე, რომელიც ადრე გარდაცვლია: „შენის პატარა ქრის-
ტეფორეს გარდაცვალება გვესმა და შენის შეწუხების გამო
დიდად გვეწყინა“⁵⁴.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ პლატონ იოსელიანის პირვე-
ლი მეუღლე — ელენე პავლეს ასული წინამძღვრიშვილი, რო-
მელთანაც მან 1837 წელს იქორწინა⁵⁵, გარდაცვლილა 1840
წლის დეკემბერში⁵⁶. პლატონის მეორე მეუღლე იყო ანა ნი-
კოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრანბატონი⁵⁷, რომელმაც
მოხუცებულობაში პლატონის მამული (დუშეთში) შესწირა

⁵³ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 2, № 3, № 4, № 6, № 182.

⁵⁴ იხ. A-1219 : 1, 1r.

⁵⁵ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 89, № 90.

⁵⁶ პლ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის
გამოცემა, ბათუმი, 1941 (ქვემოთ: წერილები), № 28.

⁵⁷ ხელნ. ინსტიტუტი, პლ. იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 3.

მცხეთის დედათა მონასტერს, თვითონაც იქ დასახლდა. 1912 წელს გარდაიცვალა⁵⁸.

ჩვენ საგანგებოდ დავინტერესდით ანა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანბატონის საფლავის ბედით. იგი აღმოჩნდა მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის შენობის შიგნით, დასავლეთის კედლის ძირში და ასეთი წარწერა აქვს: „ამ ლოდის ქვეშ განისვენებს მოლოზანი ანა თავად ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ასული, პლატონ იოსელიანის მეუღლე, 85 წ. გარდაიცვალა 1913 წ. 15 დეკემბერს. მხილველნო, ლოცვა ყავთ ჩემთვის“.

ამ წარწერიდან ირკვევა, რომ ანა ბაგრატიონ-მუხრანბატონი-იოსელიანისა გარდაცვლილა არა 1912 წელს, როგორც ამას ლ. ქადაგიშვილი გვაუწყებს, არამედ 1913 წლის 15 დეკემბერს, 85 წლის ასაკში, მაშასადამე, იგი დაბადებულა 1828 წელს.

აქვე პასუხი უნდა გავცეს კითხვას — საიდან ჰქონდა მამული პლატონ იოსელიანს დუშეთში? ტრადიცია ხშირად უკავშირებს დუშეთს პლ. იოსელიანის სახელს და ბევრი მისი ნაშრომიც ხომ სწორედ დუშეთშია შექმნილი!

როგორც ვთქვით, წყალტუბოდან გადმოსულ პლ. იოსელიანის წინაპრებს მამული („სესიაური“) გარეკახეთში, მარტყოფში ჰქონიათ. ასე რომ, წინაპრებისგან პლ. იოსელიანს დუშეთში მამული ვერ დარჩებოდა.

ლ. ქადაგიშვილის ცნობით, „პლატონი წარმოშობით დუ-

⁵⁸ ლ. ქ ა დ ა გ ი შ ვ ი ლ ი, პლატონ იოსელიანი დუშეთში, ვაზ. „კომუნისტის გზა“ (დუშეთი), 5. X. 1967, № 20.

შეთიდან არ იყო, იგი დუშეთს დაუახლოვდა თავისი პირველი ქორწინების შემდეგ, როცა ცოლად შეირთო არანისელი ზანდუკელის ასული⁵⁹. ამ ცნობას სამართლიანად არ ეთანხმება ჯ. ვათეიშვილი, რადგან „ვინმე ზანდუკელი“ პლ. იოსელიანს არასდროს არ ჰყოლია ცოლად⁶⁰. მან ყურადღება მიაქცია თ. ტაბლიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ერთ დოკუმენტს⁶¹, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ „პ. ე. იოსელიანი მართლაც ფლობდა მამულს დუშეთში, რომელიც მან შეიძინა 1849 წლის 20 ოქტომბერს დ. ზანდუკელისაგან, 1800 მანეთი (ვერცხლით) რომ ასესხა“, მაგრამ ჯ. ვათეიშვილი აქვე დასძენს: „პლ. იოსელიანს დუშეთისაკენ რომ გული უწევდა, ნაწილობრივ, ეს შეიძლება იმიტაც აიხსნას, რომ მისი ღვიძლი და ელენე 1823 წლიდან ცოლად ჰყავდა აზნაურ გიორგი ზანდუკელს, რომელიც დუშეთში ცხოვრობდა“⁶². მაგრამ ეს საბუთი მაინც არაა საკმარისი: თ. ტაბლიაშვილის მიერ გამოქვეყნებული სხვა დოკუმენტით ირკვევა, რომ 1853 წლის 25 მაისს პლ. იოსელიანს უყიდა თავისი გარდაცვლილი სიძის — გიორგი ზანდუკელის მამულები არანისში, წინ-

⁵⁹ ლ. ქ ა დ ა გ ი შ ვ ი ლ ი, პლატონ იოსელიანი დუშეთში, ვაზ. „კომუნისტის გზა“, 5. X. 1967.

⁶⁰ А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ. გვ. 39.

⁶¹ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 167.

⁶² А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 39, სქ. 38; თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 182.

დუშეთსა და საშაბუროში⁶³. ამიტომაც, რომ დოკუმენტებშიც პლ. იოსელიანი მათ მფლობელად მოიხსენიება, ხოლო 1843 წლის 27 თებერვლის დოკუმენტით ჩანს, რომ ამათგან ყველაზე ადრე პლ. იოსელიანს საშაბუროს აგარაკი ჰქონია შექმნილი⁶⁴.

როგორც ვთქვით, უძეოდ გადაგებულ პლ. იოსელიანის ქვრივს ანა ბაგრატიონ-მუხრანბატონს, რომელიც მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში აღკვეცილა მონაზვნად⁶⁵, დუშეთის მამულები საბოლოოდ სამთავროს მონასტრისთვის შეუწირავს⁶⁶.

პლატონ იოსელიანის ერთადერთი ვაჟი პირველი ქორწინებიდან — ევგენი დაბადებულა 1840 წლის 13 დეკემბერს და გარდაცვლილა 1863 წლის მაისში⁶⁷. ასე რომ, პლ. იოსელიანი უძეოდ გადაეგო.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პლატონ იოსელიანის გენეალოგია შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ (იხ. გვ. 34).

ჩვენ მიერ შედგენილი პლატონ იოსელიანის ეს გენეალოგია, რომელიც პირველწყაროებზეა (ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 26; Пл. Иосселиани,

⁶³ თ. ტაბლაშვილი, მასალები, № 197.


⁶⁴ იქვე, № 199, № 135.

⁶⁵ შდრ. „ცნობის ფურცელი“, 1899, № 774.

⁶⁶ ლ. ქადაგიშვილი, დას. წერილი.

⁶⁷ ხელნ. რეცეპტი, პლ. იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 26; შდრ. იქვე, გვ. 25; იხ. აგრეთვე, ც. ჩიკვაშვილი, საქართველოს რესპ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კატალოგი, თბ., 1964, გვ. 165, 187; თ. ტაბლაშვილი, მასალები, № 126, № 148, № 149.

კვატონ იოსელიანის გენეალოგია



Описание Мартк. монаст., Тиф., 1847; თ. ტ ა ბ ლ ი ა -
შ ე ი ლ ი, მასალები, № 3, № 24, № 27; ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი-
ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 101—102; ც. ჩიკვაიძე, დას. ნაშრ., გვ.
165, 187) დამყარებული (აქ შეგნებულად მოვერიდეთ ზაქა-
რია და სოფრონ იოსელიანების გენეალოგიურ შტოს, რადგან
იგი გადატვირთავდა ცხრილს, თანაც, ეს უკვე გაკეთებული აქვს
პატივევმულ ლ. გ. იოსელიანს), რამდენადმე განსხვავდება ლ.
გ. იოსელიანის მიერ შედგენილი გენეალოგიისაგან, რომელიც
დამატების სახით ერთვის არჩ. ბარამიძისა და ჯ. ვათეიშვილის
ნაშრომს⁶⁸. კერძოდ, აღნიშნული გენეალოგია არ იცნობს მარ-
ტყოფელ იოსელიანთა გვარის ფუძემდებელს — იესე (სესია)
იოსელიანს, აგრეთვე, ონისიმე იოსელიანის შვილებს—ევფემიას,
თეონასა და თინათინს, არც ეგნატე იოსელიანის შვილებს— ქრის-
ტეფორესა და ელენეს, ხოლო ონისიმე იოსელიანის ვაჟიშვი-
ლები, ანუ ეგნატე იოსელიანის უმცროსი ძმები — ზაქარია და
სოფრონი აქ ეგნატე იოსელიანის შვილებად არიან გამოცხადე-
ბული (სინამდვილეში კი ისინი, როგორც ვთქვით, ეგნატეს ღვი-
ძლი ძმები არიან!). ამიტომ მეტი სიფრთხილე მართებდათ
მკვლევარებს ამ გენეალოგიას რომ აქვეყნებდნენ. აზნაურის
წოდებაში დამტკიცებასთან დაკავშირებით ეგნატე იოსელიანის
მიერ საქართველოს თავდაზნაურთა საკრებულოში 1824 წელს
წარდგენილი საგვარტომო ნუსხის შესახებ, რომელიც მაშინ-
დელი ოფიციალური ხელმოწერით არის დამოწმებული და რო-

⁶⁸ Генеалогия семьи Иоселиани (на грузинском языке), составле-
ная Л. Г. Иоселиани—одним из близких потомков П. И. Иоселиани
иб. А. А. Б а р а м и д з е, Д. В а т е й ш в и л и, დას. ნაშრომის და-
მატება.

მლის მიხედვითაც ზაქარია და სოფრონ იოსელიანები ეგნატუს
 ლეიძლ ძმებად არიან წარმოდგენილნი, არჩ. ბარამიძე და ჯ.
 ვათეიშვილი შენიშნავენ: „სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ
 პ. ე. იოსელიანის ოჯახის წინაპრების არც თუ მთლად სწორი
 გენეალოგიური შტო, წარმოდგენილი „საისტორიო მოამბეში“
 (1973 წ., თბ., № 27—28, გვ. 80), რომელიც დამყარებულია
 1824 წლით დათარიღებულ დოკუმენტზე“⁶⁹. მაშინ რა ვუყოთ,
 მეორე დოკუმენტს —საქართველოს თავადაზნაურთა საკრებუ-
 ლოს 1824 წლის 28 აგვისტოს დადგენილებას, რომლის ძალი-
 თაც აზნაურის წოდებაში დამტკიცდნენ „...ეგნატე, ძმები მისი
 ზაქარია და სოფრონ იოსელიანები“⁷⁰.

მივუბრუნდეთ პლატონ იოსელიანის ბიოგრაფიას:

1809 წლის 2 დეკემბერს პლატონი მოუნათლავს ელენე
 აბიმელიქის ასულს, დავით ბატონიშვილის მეუღლეს, რომე-
 ლიც ჯერ კიდევ არ იყო პეტერბურგს გადასახლებული და
 1811 წლამდე თბილისში ცხოვრობდა⁷¹. შემდეგ, როგორც
 ცნობილია, იგი პეტერბურგს გადასახლეს და პლატონის სა-
 სულიერო აკადემიაში სწავლის დროს (1831—1835 წწ.) არც
 იქ აკლებდა მზრუნველობას თავის ნათლულს⁷².

⁶⁹ А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ.
 გვ. 21, სქ. 33.

⁷⁰ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 24.

⁷¹ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 1; აქვე შევნიშნავთ,
 რომ აბიმელიქების ოჯახს ეგნატე იოსელიანი სიყრმდიანვე იცნობდა: იგი
 ელენეს ძმებთან —ივანე და დავით აბიმელიქოვებთან ერთად სწავლობდა
 სომხურ წერა-კითხვას ტერ-დავითის ხელმძღვანელობით. იხ. თ. ტაბლია-
 შვილი, მასალები, № 3); იხ. აგრეთვე, ელენე აბიმელიქის წერილები ეგნატე
 იოსელიანისადმი — А 1219: 2,3.

⁷² იხ. პლ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი; პლ. იოსელიანის



თავდაპირველად თურმე პლ. იოსელიანი სწავლობდა ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა დავით რექტორთან (ალექსი-მესხიშვილთან)⁷³, შემდეგ — იოანე ნათლისმცემლის სამრევლო სასწავლებელში, მღვდელ იესე ჩუბინაშვილის (პროფ. დავით ჩუბინაშვილის მამის) ხელმძღვანელობით⁷⁴, ხოლო 1819 წელს 10 წლის პლატონი შიბარეს თბილისის სასულიერო სამაზრო სასწავლებელში⁷⁵, რომლის დამთავრების შემდეგ 1821 წლის სექტემბერში შესულა თბილისის სასულიერო სემინარიაში⁷⁶, რომელიც 1817 წელს გახსნა თეოფილაქტე ეგზარქოსმა. სემინარიაში პლატონი სწავლობდა რუსულ ენასა და სიტყვიერებას, გეოგრაფიას, სამოქალაქო ისტორიას, ფილოსოფიას და ფილოსოფიის ისტორიას, ღვთისმეტყველებას, საეკლესიო ისტორიას, დაწყებით მათემატიკას, ჰერმენევტიკას... სემინარია წარჩინებით დაუმთავრებია 1829 წელს:⁷⁷ „სემინარიის დამთავრებისთანავე, 1828—1831 წლებში, პლატონი სამაზრო-სასუ-

ლიანი, ცხოვრება..., გვ. 83, 140; ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 103.

⁷³ ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშრ., გვ. 8; ი. იმედაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 12; ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. XIV; ხოლო ეგნატე იოსელიანისა და დავით რექტორის ახლო მეგობრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (H-2185) ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ.

⁷⁴ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 1; შდრ. ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშრ., გვ. 8; ი. იმედაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 12.

⁷⁵ თ. ტაბლიაშვილი, მასალები..., საბ. № 8.

⁷⁶ იქვე, საბ. № 15; შდრ. ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 103—104.

⁷⁷ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, საბ. № 15—38.

ლიერო სასწავლებლის მასწავლებლის, სემინარიის სამწესრიგო ნაწილის, საქმის მწარმოებლის, სემინარიის გამგეობის თარჯიმნის, სასულიერო-სამაზრო-სამრევლო სასწავლებლების ინსპექტორის და ბოლოს სემინარიის ბიბლიოთეკარის თანამდებობას ასრულებს⁷⁸. ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის წლებში შესდგომია ჭაბუკი პლ. იოსელიანი სამწერლო-მთარგმნელობით საქმიანობას: 1823 წ. გადაუწერია რუსულ-ქართული ლექსიკონი (S-2387, შდრ. ლენ. E-40)⁷⁹, 1824 წელს დუშეთში გადაუწერია ხელნაწერი კრებული („მოთხრობა ჰსჯულთა უღმრთოთა მახმადიანთა“ და სხვ., იხ. S-2261), 1829 წელს რუსულიდან უთარგმნია ფილარეტის ორი სიტყვა (S-3068:1) და ა. შ.

1831 წლის შემოდგომაზე პლ. იოსელიანმა სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში⁸⁰. იგი იყო „პირველი ქართველთაგანი, [რომელიც] აღიზარდა რუსეთის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში“⁸¹. აკადემიაში სწავლის დროს პლატონ იოსელიანს რუსულ ენაზე შეუდგენია „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“.

⁷⁸ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 15, გვ. 60.

⁷⁹ იხ. მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX სს., თბ., 1961, გვ. 8—9, 16—18.

⁸⁰ ა. გ ა შ ე რ ე ლ ი ა, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, თბ., 1938, გვ. 128; ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 104; თ. ტ ა ბ ლ ი ა-შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 60; შდრ. ზ. კ ი ჯ ი ნ ა ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 8; ი. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, დას. წერილი, გვ. 12; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დას. პუბლიკაცია, გვ. 149.

⁸¹ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 35.



სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უკანასკნელ დრომდე დაეინებით მიუთითებენ, თითქოს არსებობდეს პლ. იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ პირველი გამოცემა, განხორციელებული სანკტპეტერბურგში 1841 წელს⁸². მაგრამ ეს შეცდომაა და იგი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასწორდეს: პლ. იოსელიანის აღნიშნული ნაშრომის ორივე გამოცემა — პირველიც და მეორეც, სანკტ-პეტერბურგში განხორციელდა 1843 წელს. ამის შესახებ სანდო ცნობას გვაწვდის კირიონი: „ჯერ კიდევ აკადემიის სტუდენტად ყოფნისას, ორივე დედაქალაქში მცხოვრებ ბატონიშვილთა მფარველობით წახალისებული პლატონ იოსელიანი გატაცებით შეუდგა ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლას. ამ ბეჯითი მეცადინეობის ნაყოფია მის მიერ 1833 წ. შედგენილი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“⁸³, რომელმაც დაბეჭდვის წელსვე (1843) გაუძლო ორ გამოცემას“⁸⁴.

ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს შემდეგი დოკუმენტები:

1. უწმინდესი სინოდის 1842 წლის 9 აპრილის ბრძანებულებიდან ირკვევა, რომ სინოდის ობერ-პროკურორს გრაფ პრა-

⁸² შდრ. ა. გაჭეღელია, პლატონ იოსელიანის შრომებისა და წერილების ბიბლიოგრაფია, წიგნში: პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., თბ. 1936, გვ. 302; ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 77; А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 15, 45 და სხვ.

⁸³ თვითონ წიგნის წინასიტყვაობას ასეთი თარიღი უზის: «ноября 18 дня, 1835 года, г. Тифлис» (გ. შ.).

⁸⁴ თ. ტაბჯიაშვილი, მასალები, № 210, გვ. 220.

ტასოვს 1841 წლის 5 დეკემბერს ცნობილი რუსი მეცნიერის ა. ნ. მურავიოვისთვის განსახილველად გადაუცია თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის პლ. იოსელიანის ხელნაწერი შრომა «Краткая история грузинской церкви», რომლის დასკვნით, «...хотя труд сей довольно слаб, однако с сделанными в нем поправками может быть напечатан, потому что на русском языке до сего еще не существует более подробной истории сей церкви, да и сомневается, чтобы существовали на грузинском» და ხელნაწერი თბილისში ავტორისთვის უკან დაუბრუნებიათ, რათა «...поручить Платону Иоселиану заняться исправлением рукописи его по всем тем замечаниями, какие сделаны г. камергером Муравьевым и по исправлении вновь представить на рассмотрение куда следует»⁸⁵.

2. ამის პასუხად თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა ფლავიანემ 1842 წლის 11 აგვისტოს სემინარიის გამგეობას აცნობა, რომ რახან პლ. იოსელიანი პეტერბურგში უწმინდეს სინოდში მიემგზავრება სამუშაოდ, მან განმიცხადა: «...лично объясниться с г. камергером Муравьевым по предмету сочиненной им «Истории грузинской церкви» и там обещался совершенно исправить ее и приготовить к печати»⁸⁶.

მამასადამე, როგორც დავრწმუნდით, პლ. იოსელიანის შრომა ჯერ კიდევ 1842 წლის ზაფხულში არ ყოფილა და-

⁸⁵ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 126, გვ. 154.

⁸⁶ იქვე, № 133.



ბეჭდილი; ასე რომ, გამორიცხულია იგი 1841 წელს დაბეჭდილი დილიყო, ე. ი. სწორია კირიონის ცნობა, რომ პლ. იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ ორივე გამოცემა ს.-პეტერბურგში განხორციელდა მხოლოდ 1843 წელს და აქედან გამომდინარე, არ არსებულა მისი 1841 წლის პირველი გამოცემა. ოღონდ, სამწუხაროდ, არ ჩანს და ვერც ჩვენ მივაგენით ამ ნაშრომის 1843 წლის პირველ გამოცემას და არც ის ვიცით, რით უნდა აიხსნას მისი ასეთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

აღნიშნულ ნაშრომზე 1843 წლის 29 აგვისტოს (№ 34) «Лит. газета»-ში (გვ. 648—649) რეცენზია გამოუქვეყნებია ნ. ნეკრასოვს, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს მას⁸⁷, ხოლო 1866 წელს იგი ინგლისურადაც ითარგმნა.

საინტერესოა ამ თარგმანის ისტორია:

როგორც ჩანს, პირველი ცნობა პლ. იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ ინგლისური თარგმანის თაობაზე ქართულ პრესაში 1870 წ. გამოქვეყნდა, კერძოდ, გაზეთი „დროება“ აუწყებდა თავის მკითხველს: „ამ უკანასკნელ ჟამს ანგლიაში და ამერიკაში გამოჩნდნენ იმისთანა სამღვდლო პირები, რომ შესაძლოთა ხედვენ და დაიწყეს კიდევ მეცადინეობა შეერთებისათვის ორი ეკლესიისა აღმოსავლეთის და ანგლიკანისა. ეს პირნი აცნობებენ აღმოსავლეთის ეკლესიის მდგომარეობას და საფუძველს ანგლიელ და ამერიკელ ღვთისნიერ ხალხს. სხვათა შორის ქართული ეკლესიის შესახებ ანგ-

⁸⁷ ამის შესახებ იხ. ს. ხუციშვილი, ნ. ნეკრასოვი და პ. იოსელიანი, „ლიტ. გაზეთი“, 20. II. 1960, № 21.

ლიურად არის ნათარგმნი პლატონ იოსელიანის „ისტორია ქართველთ ეკკლესიისა“ (History of the Georgian Church, translated and Edited from the Russian of P. Ioselian. By the Rev. S. C. Malan. M. A. Vikar of broad Windsor). მეორე წიგნი არის გაბრიელ ეპისკოპოზის 15 ქადაგებების თარგმანი ანგლიურად ქართულიდამ და დაბეჭდილი ლონდონში 1867 წ. (Sermons by Gabriel, bishop of Imereth. 1867, London). ეს ორივე წიგნი გადათარგმნილია ანგლიის ეკკლესიის მღვდლის აგან სოლომონ მალანის აგან⁸⁸.

1894 წლის 11 დეკემბერს „ივერიამ“ ინგლისურ გაზეთ „Times“-დან გადმობეჭდა ნეკროლოგი „სოლომონ კეისარი მალანი“, რომელსაც ახლდა რედაქტორის — ილია ჭავჭავაძის შენიშვნა: „ეს ის მალანია, რომელმაც გადათარგმნა და დაბეჭდა ინგლისურ ენაზედ გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და პლატონ იოსელიანის ქართულ ეკკლესიის ისტორია“⁸⁹. ამ თარგმანის არსებობის შესახებ ჩვენში სცოდნია კირიონსაც⁹⁰.

პლ. იოსელიანის აღნიშნული „ისტორიის“ ინგლისურ თარგმანს ყველაზე ვრცლად შეეხო დ. ლანგი 1956 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Georgian studies in Oxford“⁹¹, რომელიც მალე ქართულადაც დაიბეჭდა⁹². თავის ნაშრომში დ.

⁸⁸ „დროება“, 19. III. 1870, № 11, გვ. 3.

⁸⁹ „ივერია“, 11. XII. 1894, № 262; შდრ. ქართ. გაზეთების ანალიტ. ბიბლიოგრაფია, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 68—69.

⁹⁰ თ. ტაბლიაშვილი, მასალები..., საბ. № 210.

⁹¹ Oxford slavonic papers, vol. VI, 1955, Oxford, 1956, გვ. 115 — 143; შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 898—899.

ლანგმა მოგვცა საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები მთარგმნელის — წარმოშობით შვეიცარიელი პასტორის ვაჟის, შემდეგში ოქსფორდში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი-პოლიგლოტის სოლომონ სიზარ მალანის (1812—1894) შესახებ, რომელსაც იგი „თავისი დროის ყველაზე უფრო უნივერსალურ ლინგვისტს“ უწოდებს და ინგლისში ქართველოლოგიური მუშაობის პიონერად აღიარებს. სახელგანთქმულ პოლიგლოტს ბევრ აღმოსავლურ და დასავლურ ენასთან ერთად ქართულიც შეუსწავლია და დ. ლანგის სიტყვებით, თურმე „განსაკუთრებით იყო დაინტერესებული საქართველოს და სომხეთის ეკლესიებით. მან 1866 წელს გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ თარგმანი და თანაც დაურთო იმდენი სასარგებლო შენიშვნა, რომ იგი დღევანდლამდე ძვირფას საცნობარო წიგნად რჩება“. იგი ამასაც არ დასჯერებია და 1867 წ. უთარგმნია ვაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) „ქადაგებანი“, ხოლო 1872 წ. მაისში ქუთაისშიც ჩამოსულა, პირადად გაუცვინია ვაბრიელ ეპისკოპოსი და ქუთაისის კათედრალურ ტაძარში წირვა და ქადაგება ქართულად ჩაუტარებია⁹².

თ. ბეგიაშვილმა სოლომონ სიზარ მალანი (Solomon Cae-

⁹² დ. ლ ა ნ გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. თარგმანი ალ. გამყრელიძისა, ქ. „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 139—151.

⁹³ „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 140; იხ. აგრეთვე, D. L a n g, Georgian Manuscripts in oxford, J. „Bedi Kartlisa“, Paris, 1957, vol II-III, p. 71—78; შდრ. უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული, ისტორია, 6, თბ., 1978, გვ. 72; მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდის ისტორიიდან, ქ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1978, № 10, გვ. 96—97.

sar Malan) ქართველ მეცნიერად — მალანიად გამოაცხადეს მავრამ უკვე ლ. თამარაშვილის [მენაბდის] რეპლიკაში ნაჩვენები იყო ამ მოსაზრების უნიადაგობა⁹⁵, რომელიც შემდეგ გაამაგრა ა. ცამცივილიმა⁹⁶. დაინტერესებული მკითხველი სოლომონ სიზარ მალანისა და მისი წინაპრების შესახებ საკმაო ცნობებს იპოვის აგრეთვე უცხოურ ენციკლოპედიებშიც⁹⁷.

ეს რაც შეეხება „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიას“. ამას გარდა, მ. ბროსესადმი გაგზავნილ ერთ ბარათში პლ. იოსელიანი ჩამოთვლის 12 სახელწოდების სხვადასხვა ხასიათის შრომას, რომელიც მას პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს შეუსრულებია⁹⁸. ა. აბრამიშვილის ცნობით, „ბევრი მისი ნათარგმნი ხელნაწერი, 1831—1835 წლებში შესრულებული, დაცულია [სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის] ხელნაწერთა ფონდში⁹⁹, ხოლო უკანასკნელ ხანს არჩ. ბარამიძის მიერ მოპოვებული წყა-

⁹⁴ თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართველი მეცნიერი უცხოეთში, გაზ. „სახალხო განათლება“, 17. V. 1967, № 20.

⁹⁵ ლ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, [მენაბდე], ქართველი მეცნიერი?, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 27. V. 1967, № 19.

⁹⁶ ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, მალანი თუ მალანია? გაზ. „სამშობლო“, 9. IV. 1971, № 7.

⁹⁷ იხ. Enc. Britannica, vol. 14, გვ. 705; Grand Larousse Enc., t. 6, Paris, 1962.

⁹⁸ პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, წერილები...

⁹⁹ ა. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 104—105; შდრ. ლ. მ ე დ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ე. „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 158—162.

როდან სახელდებით ირკვევა ლათინურიდან პლ. იოსელიანის მიერ სტუდენტობისას შესრულებული სამი თარგმანი: «Историческое рассмотрение ветхозаветных пророчеств о городе Тире» (1833 г.), «Житие святого Иоанна Златоуста» (1834 г.), «О звезде, явившейся волхвам» (1834 г.)¹⁰⁰. ჩვენ ხელთა გვაქვს ამავე პერიოდში (1835 წ.) პლატონ იოსელიანის მიერ რუსულიდან თარგმნილი „ანდერძი არჩილ მეფისა“ (S-2308, თარგმანი შესრულებულია ბუტკოვის პუბლიკაციიდან: «Сев. архив», 1824, № 23, № 24), აგრეთვე, „მწუალებლთათვის“ (S-2317), მირთმეული თეიმურაზ ბატონიშვილისადმი 1834 წელს.

პლ. იოსელიანს ნაყოფიერ სამეცნიერო და მთარგმნელობით მოღვაწეობაში ხელს უწყობდა უცხო (განსაკუთრებით — კლასიკური) ენების ცოდნა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიისა და შემდეგ — პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს.

არჩ. ბარამიძისა და ჯ. ვათეიშვილის მტკიცებით, „თანახმად თვით პლ. იოსელიანის მოწმობისა, 1833—1835 წლებში, აკადემიაში მეცადინეობიდან თავისუფალ დროს, იგი ბეჭითად სწავლობდა ძველებრაულ ენას საქართველოს ყოფილ ეგზარქოსთან ვარლამ ერისთავთან, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა“¹⁰¹. წყაროდ მითითებულია: «П. И. Иоселиани, Икор-

¹⁰⁰ Отчет императорской публичной библиотеки за 1869 год, СПб., 1900, გვ. 8, 13; ამის შესახებ იხ. А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრომი, გვ. 32.

¹⁰¹ А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრომი, გვ. 32.

тский монастырь в Карталини — см. «Грузинский духовный вестник», № 11, 1865, Тб., м. 67—96 (Разыскано А. А. Барамидзе)¹⁰².

ჩაგიხედოთ მითითებულ წყაროში და ვნახოთ, რას წერს პლ. იოსელიანი. 87-ე გვერდზე ვარლამ ერისთავის — საქართველოს ეგზარქოსის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მე-15 სქოლიოში პლატონი შენიშნავს: ვარლამ ერისთავის «Толкование на воскресныя Евангелия напеч[атано] в Москве на Груз. и Русском языке. — Русский перевод сделан Протоиереем Павским — как слышал от него не раз — когда (в 1833—1835) учился я у него Еврейскому языку. — Другия сочинения его неизданы» (ხაზი ჩვენია, — გ. შ.)¹⁰³.

აქ, როგორც ვხედავთ, პლატონი სულ სხვა რამეს წერს: იგი გვაუწყებს, რომ 1833—1835 წლებში ებრაულ ენას მასწავლიდა დეკანოზი პავსკი, რომელმაც რუსულად თარგმნა ვარლამ ეგზარქოსის ერთი ნაშრომიო. იგულისხმება ვარლამის შრომა „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთის-მშობლის ღღესასწაულთა...“, რომელიც მართლაც დაიბეჭდა მოსკოვში 1825 წელს¹⁰⁴.

¹⁰² А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., სქ. 13.

¹⁰³ Груз. дух. вестник, 1865, ноябрь, с. 87.

¹⁰⁴ იხ. ქართული წიგნი, 1, თბ., 1941, გვ. 96, № 139; შდრ. ს. ლეკიძე, პირველი რუსული წიგნი საქართველოს კულტურულ-ისტორიულ წარსულზე, კრებ. „მეგობრობა“, თბ., 1979, გვ. 93.



ეს რომ ასეა, ამაში გვარწმუნებს პლატონის მეორე ცნობაში, რომელიც მოიპოვება მის „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“, სადაც იგი წერს: „ვარლამ, შემდეგ ექსარქოსად ყოფილი, ქსნის ერისთვისწვილი; მცოდნე ებრაულისა ენისა, დეკანოზი და მასწავლებელიცა ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე მეორისა გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ს. პ.-ბ. ებრაულისა ენისა, მეტყოდა ვარლამისთვის (1834 წელსა), რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლამისა, რომელიცა დაიბეჭდაცა. მისგანვე ვარლამისა ესწავა მრავალთა ქართულთა ლექსთა, ებრაულისა ენისა სახმართა“ (ხაზი ჩვენია, — გ. შ.)¹⁰⁵.

მაშასადამე, ეჭვი აღარ უნდა იყოს, რომ პლატონ იოსელიანი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ყოფნის დროს, მისივე მოწმობით, ებრაულ ენას 1833—1835 წლებში თურმე სწავლობდა დეკანოზ გერასიმე პავსკისთან და არა საქართველოს ეგზარქოს ყოფილ ვარლამ ქსნის ერისთავთან; ვარლამ ერისთავი ამ დროს უკვე სამი წლის გარდაცვლილი იყო და პლატონ იოსელიანის ებრაულის მასწავლებელი ვერ იქნებოდა.

მართლაც, მოვიგონოთ ვარლამ ერისთავის ბიოგრაფია, რომელიც გადმოცემული აქვს კირიონ ეპისკოპოსს: საქართველოს პირველი ეგზარქოსი ვარლამი, წარმოშობით — ქსნის ერისთავი, ყოფილი აბტალის ეპისკოპოსი და 1801—

¹⁰⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება... გვ. 257.



1808 წლებში პეტერბურგში უწმინდესი სინოდის წევრობით, რომელმაც საერთოდ ბევრი იზრუნა უწმინდესი სინოდისადმი საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაზე, 1811 წლის 8 ივლისიდან იყო მცხეთის მიტროპოლიტი და საქართველოს ეგზარქოსი (1814 წლის 30 აგვისტოდან დიკასტერიის გაუქმებასა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსებასთან დაკავშირებით, მის სამწყსოში შევიდა იმერეთიც). ამ თანამდებობიდან იგი გაათავისუფლეს 1817 წლის 14 მაისს და გაიწვიეს პეტერბურგში უწმინდეს სინოდში, სადაც იგი დარჩა 1825 წლის 9 თებერვლამდე, ხოლო შემდეგ გადავიდა მოსკოვს, დანილოვის მონასტერში, რომელსაც მართავდა 1825 წლის 20 თებერვლიდან გარდაცვალებამდე — 1830 წლის 18 დეკემბრამდე. დაკრძალულია იქვე¹⁰⁶.

კირიონს გარდა, თვითონ პლატონ იოსელიანი თავის ერთ ნაშრომში გვემოწმება, რომ ვარლამ ერისთავი მოსკოვში 1830 წელს გარდაიცვალა¹⁰⁷. ამდენად, გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ იგი 1833—1835 წლებში ვერ იქნებოდა პლატონის ებრაულის მასწავლებელი.

ის კი უნდა ვთქვათ, რომ ძველ, კერძოდ, ანტიკურ მწერლობასა და წყაროებში პლატონ იოსელიანის ღრმა განსწავლულობა ზოგჯერ თანამედროვეთა ენაკვიმატობის საგანი ხდებოდა. ამ მხრივ საგულისხმოა ლელოს [იონა მეუწნარგიას] მიერ გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი ნაკვეთი:

¹⁰⁶ Е[пископ] К[ирион], Краткий очерк истории груз. церкви..., Тиф., 1901, с. 19.

¹⁰⁷ Пл. Иоселиани, Краткая история груз. церкви, СПб., 1843, с. 154.

„როდესაც პლატონ იოსელიანი სოფელს წიწამურში მცხეთის მახლობლად — აივლიდა, ჰკითხავდა გლეხებს:

— ბიჭო! რა ჰქვიათ ამ სოფელსა?

— წიწამური, უენი ჭიიმე.

— ბრიყვო, წიწამური კი არა, სევსამორა. სტრაბონი სწერს: სევსამორას ამოდრიოდნენ მცხეთელეზა სიცხის დროსაო. ბრიყვო, სევსამორა და არა წიწამური“¹⁰⁸.

პეტერბურგში სწავლის დროს პლ. იოსელიანი უახლოვდება იქ გადასახლებულ ბატონიშვილებს, კერძოდ, მირიან, ფარნაოზ, თეიმურაზ, ბაგრატი და მიხეილ ბაგრატიონებს, საქართველოს დედოფლებს — მარიამ ციციშვილს, გიორგი XII-ის მეუღლეს, მარიამ დადიანს, სოლომონ II-ის მეუღლეს და ბატონის რძლებს — ელენე ამილახვარს, თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლეს და ელენე აბიმელიქს, დავით ბატონიშვილის მეუღლეს, ხალო დავით ჩუბინაშვილს იგი, ალბათ, თბილისიდანაც კარგად იცნობდა, რადგან პირველდაწყებითი განათლება როგორც უკვე ვთქვით, მამამისმა — იესე ჩუბინაშვილმა მიაღებინა იოანე ნათლისმცემლის სამრევლო სასწავლებელში. აი, თვით პლატონის სიტყვებიც: „მეცა თვით ვიყავ დაახლოებული მეფის ძეთა, ვითარცა მათთანა შინაური, მათთან დაბინავებული, მათთან გამოკვებული და შენახული მათთანა ოთხსა წელსა (1831—1835) და კუალად ორიცა წელი (1843—1844)“; „პირნი ესენი... იყვნენ დაახლოვებით ცნობილნი ჩემგან მეუღლე თვით მეფისა ბატონი დედოფალი მარიამ; ძმანი თვით მეფისა მირიან და ფარნაოზ, ძენი მეფისა ბაგრატი, თეიმურაზ...“

¹⁰⁸ „ივერია“, 1886, № 116.

ელენე მეუღლე მეფის ძის თეიმურაზისა“; „პეტერბურღს ნაში ვიყავ მისგან [მეფის ძე თეიმურაზ] დიდად მიღებული“¹⁰⁹; „თვით ელენე, მეფის რძალი და მემკვიდრისა [დავითის] ცოლი, იყო ემბაზით მიმქმელი ჩემი, ამისათვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარულსა მასთან 4 წელსა სანკტ-პეტერბურღს... ანუ 1831 წელიწადიღამ, დროთაგან ჩასვლისა ჩემისა რუსეთად სასწავლებელში“¹¹⁰, მარიამ კაცია დადიანის ასულ იმერთა დედოფლის შესახებ პლატონი ერთგან ამბობს: «Мария Кациевна, покровительница моя в годы моего воспитания в СПб (1831—1835)“¹¹¹, მარიამ დედოფალს, გიორგი XII-ის მეუღლეს კი მან მიუძღვნა თავისი შესანიშნავი შრომა «Краткая история грузинской церкви, СПб., 1843, II изд.» (იხ. სატიტულო ფურცელი), ხოლო უფრო ადრე მარიამ იმერთა დედოფალს „აბდულ-მესიანის“ 1838 წლის გამოცემა (იხ. სატიტულო ფურცელი) და სხვ. ამათ გარდა, ირკვევა, რომ პლ. იოსელიანს ახლო ურთიერთობა ჰქონია მაშინ პეტერბურღში მცხოვრებ პოეტ სოლომონ რაზმაძესთან¹¹².

¹⁰⁹ პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., გვ. 284; პლ. იოსელიანი, შერიღები..., № 7, აგრეთვე, №№ 4, 5, 8, 11; პლ. იოსელიანის შერიღი იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკისადმი, ქ. „ცისკარი“, 1868, № 12; იხ. აგრეთვე, ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურღში, თბ., 1967, გვ. 160—164; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972, გვ. 92—93.

¹¹⁰ ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 103.

¹¹¹ Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, Тиф., 1871, с. 28.

¹¹² А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ.-ში, გვ. 32.



1835 წ. პლ. იოსელიანმა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია და დაბრუნდა თბილისს.

* * *

თბილისში დაბრუნებული ახალგაზრდა სწავლული, ბუნებრივია, ქართველ ინტელიგენციას და თავის ძველ მეგობრებს მოიკითხავდა. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა პლატონ იოსელიანის ურთიერთობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, გენიალურ ქართველ პოეტთან პლატონ იოსელიანს დიდი ხნის ოჯახური მეგობრობა აკავშირებდა და ანჩისხატის უბანში მეზობლადაც ცხოვრობდნენ. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ დაახლოებით ერთი თაობის პოეტი და სწავლული ბევრ საერთოს გამოიხატავდნენ. და ასეც მოხდა. თანამედროვეთა მოგონებებით, ნ. ბარათაშვილის ბინაზე დაახლ. 1837 წელს ერთგვარი ლიტერატურული წრე ჩამოყალიბებულა, რომელშიც, დიდ პოეტს გარდა, შედიოდნენ ლევან მელიქიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვები, მათ შორის, პლატონ იოსელიანი¹¹³. ახალგაზრდები საუბრობდნენ

¹¹³ კ. მამაცაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, „დროება“, 4. X. 1881, № 206; Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, книга первая, II издание, Тиф., 1913, გვ. 144; ზ. კიკინაძე, პლატონ იოსელიანი, ტფ., 1893, გვ. 12.

ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საქართველო-
 ტო საკითხებზე, სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. სხვათა შორის, მათ სწორედ მაშინ გადაუწყვეტიათ დაეწერათ საქართველოს ისტორია მოყოლებული უძველესი დროიდან და გარკვეული პერიოდები გაუნაწილებიათ კიდევ ერთმანეთში, კერძოდ, „პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნოების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ V საუკუნემდისინ“¹¹⁴. მართალია, საბოლოოდ ახალგაზრდებს ეს მიზანი ვერ განუხორციელებიათ, მაგრამ არ უნდა იწვევდეს ეჭვს ის დაკვირვება, რომ პლ. იოსელიანის ცნობილი ნაშრომი „ძველი საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა“ (რუს. ენაზე) (დაასრულა 1838 წლის 23 ივნისს, თბილისში; გამოუცემელია, ხელნაწერი დაცულია ლენინგრადს: აღმ. ინსტ. H-17). ამ წამოწყების ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს¹¹⁵.

მახვილსიტყვაობის ქრესტომათიულ მაგალითებად ითვლება ნიკოლოზ ბარათაშვილის გამონათქვამები პლატონ იოსელიანზე. მოვიგონოთ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი პოეტის 1841 წლის 18 ოქტომბრის ბარათის ერთი ადგილი: „ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ვედარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა. ვურჩევთ,

¹¹⁴ კ. მ ა მ ა ც ვ ი, დას. წერილი.

¹¹⁵ არჩ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, პლატონ იოსელიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ, „ლიტ. გაზეთი“, 17. VII. 1959; შდრ. P. O p e - ლ ი, Груз. рукописи ИВ АН СССР, М.-Л., 1956, с. 45.

რომ მოიპაროს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ღმერთის
ლოსოფოსურს სახეს!“¹¹⁶

საყოველთაოდ ცნობილია ნ. ბარათაშვილის რუსული
ზმა-კალამბური პლ. იოსელიანზე, რომელიც მოყვანილი აქვს
იონა მეურნარგიას თავის ცნობილ მონოგრაფიაში „ცხოვრე-
ბა და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“: „... მეორეჯერ თა-
ვისი მახვილი სატყვა სტყოცნა ბარათაშვილმა პლატონ იო-
სელიანს. ერთს საზოგადოებაში ვილაცამ თურმე იკითხა:

— ე, ბერძენ-რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი
ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოლ-ასლო-
ვიო, — მიუგო რუსული ზმით ბარათაშვილმა და მიუშვირა
ხელი იოსელიანს“¹¹⁷.

სოლ. ცაიშვილის მიერ მიკვლეული და გამოქვეყნებული
ი. მეურნარგიას „სამახსოვრო წიგნაკების“ დაფანტული ფურ-
ცლებიდან ცნობილი ვახდა, რომ პოეტის პირველ მეცნიერ
ბიოგრაფს აღნიშნული მოგონება ჩაწერილი ჰქონია ნ. ბარათა-
შვილის ახლო მეგობრის, ცნობილი ქართველი მწერლისა და
საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანისაგან (და არა ლევან
მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავისაგან¹¹⁸) და, რაც მთავა-

¹¹⁶ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1972, გვ. 113.

¹¹⁷ იონა მეურნარგია, ქართველი მწერლები, I, სოლ. ცაი-
შვილის რედ., თბ., 1954, გვ. 207; იხ. აგრეთვე, Г. М. Туманов,
დას. ნაშრ., გვ. 148.

¹¹⁸ შდრ. ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. XV.



რია, მოგონების ამ ვარიანტს მეტი დოკუმენტური ხასიათი აქვს:

„დომ, ყიფიანი:

— ერთხელ, ერთს შეყრილობაზე ბევრი ყმაწვილი კაცები ვიყავით. საუბარმა მოიტანა და ბაბო ხერხეულიძის მამამ (ანდრია ხერხეულიძე, მამა ცნობილი მსახიობის ბაბო ხერხეულიძე-ავალიშვილისა, ს. ც.) იკითხა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ე, ბერძნებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყოლიათ, ნეტავი, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ? ტატო ბარათაშვილმა სხარტულად მიუგო:

— ეს პლატონს უნდა ჰკითხოთ, ის არის ბოლო ასლოვიო და პლატონ იოსელიანისაკენ მიუთითა“¹¹⁹.

მაგრამ დღემდე უცნობი იყო, თუ რა უპასუხა პლ. იოსელიანმა გენიალურ პოეტს ამ კალამბურზე.

იოსელიანთა საგვარჯლო გადმოცემით, რომელიც ჩვენ ჩავიწერეთ ლ. გ. იოსელიანისაგან, პლატონს რუსულ ზმაზე რუსულადვე უპასუხნია: „Ах, скотина! Узнал своего господина?“.

მაგრამ ასეთი მახვილსიტყვაობები, ჩვენი აზრით, არასგზით არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს პოეტსა და სწავლულს შორის დაძაბული ურთიერთობა ყოფილიყო. ამისთვის მოვიშველიებთ შემდეგ ფაქტებს:

პლ. იოსელიანი რომ დიდად აფასებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ნიჭს, ამას მოწმობს გრ. დადიანის მოგონება: „პლატონ იოსელიანს ძალიან მოსწონდა ნიჭიერი ნ. ბა-

¹¹⁹ ი. მე უ ნ ა რ გ ი ა, ქართვ. მწერლები... გვ. 481—482.

რათაშვილი და წინასწარმეტყველის ნიშნით სულ იმას გამოცხადებდა:

— ეს კარგი გამოვანა¹²⁰.

ხოლო რაც შეეხება პლ. იოსელიანის ახირებულ გარეგნობას, რომელიც ნიკ. ბარათაშვილის ენამახვილობის მსხვერპლი მართლაც ხდებოდა, უნდა შევნიშნოთ, რომ თავის გარეგნობაზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენის არც თვითონ პლატონი უნდა ყოფილიყო, რასაც გვიდასტურებს ლელოს ფსევდონიმით იონა მეუწარგიას მიერ 1886 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი ნაკვეთი:

„გარანტოვმა რომ პლატონ იოსელიანი ათონის მთაზე გაგზავნა, პლატონმა სხვათა შორის საბერძნეთის მეფე ოტტონიც ნახა. როდესაც ჩვენი ფილოსოფოსი წარსდგა მეფის წინაშე, მეფემ შემდეგი თავაზიანი სიტყვა უთხრა:

— „მე დიდად მიხარიან, რომ გხედავ შენ, მშვენიერის საქართველოს ერის წარმომადგენელსაო“.

მშვენიერებაზედ შორს მყოფმა ჩვენმა სწავლულმა ამ პასუხით მოირიდა ეს საქმეარი:

— „თქვენო დიდებულებაე! გთხოვთ არ იფიქროთ, რომ სხვებიც ისეთნი არიან საქართველოში, როგორც მე, მოგეხსენებათ, ოჯახს თითო მახინჯი არ მოაკლდება“¹²¹.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიადამთავრებული პლ. იოსელიანი დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ფი-

¹²⁰ ი. მეუწარგია, იქვე, გვ. 482.

¹²¹ გაზ. „ივერია“, 1886, № 1, გვ. 3; შტრ. ი. ჭავჭავაძე, გამოცანები (თხზულებანი, ტ. 1, პ. ინგოროყვას რედ., თბ., 1951, გვ. 86); ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ლ. ასათიანის რედ. № თბ., 1936, გვ. 10—11.

ზიკისა და ფილოსოფიის მასწავლებლად. ამას გარდა, ამავე წელს დაიწყო მასწავლებლობა თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში, რომელიც 1841 წელს დაარსდა¹²² და თბილისის სომხურ სემინარიაში (1836—1842 წწ.)¹²³. პლ. იოსელიანი 1842 წლის ზაფხულში საბოლოოდ ანებებს თავს პედაგოგიურ მოღვაწეობას¹²⁴ და მთლიანად ებმება მეცნიერულ-ლიტერატურულ, ჟურნალისტურ და სახელმწიფო საქმიანობაში.

ქართული სიძველეების შესწავლის მიზნით, 1841 წლამდე ზაფხულში პლ. იოსელიანს უმოგზაურია იმერეთში, აფხაზეთში, სვანეთში, ლეჩხუმსა და გურიაში (პლ. იოსელიანი, წერილები, № 31). იგი კრებდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებსაც (იქვე, № 12)¹²⁵. სოფ. ბაზალეთში 1867 წელს

¹²² პლ. იოსელიანი, წერილები..., № 32.

¹²³ ც. ჩიკვაშვილი, კატალოგი..., გვ. 87, № 118; ლ. მელექსეთ-ბეგი, ეპიზოდი პლატონ იოსელიანის ცხოვრებიდან, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 2. XII. 1938, № 31.

¹²⁴ თ. ტაბლიაშვილი, მასალები, № 130, № 132, № 133, № 136; შლდ. «По возвращении в октябре 1835 года в Тифлис Иоселиани в продолжении 8 лет (по 1843 включительно) занимался педагогической деятельностью» — А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრომი, გვ. 33.

¹²⁵ იხ. აგრეთვე, მ. ჩიქვაანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედაგოგიკის უნივერსიტეტის შრომები, V, 1948, გვ. 97—98; მისივე, ახალი საარქივო მასალები ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიისათვის, „ლიტ. ძეგლები“, III, თბ., 1947, გვ. 142, 165—173; მისივე, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1975, გვ. 202—203; გ. ახვლედიანი, ფოლკლორი თეიმურაზ ბაგრატიონისა და პლატონ იოსელიანის შრომებში, „მაცნე“ (ენისა

მან ერთ-ერთმა პირველმა დაადასტურა ვეფხისტყაოსნის შე-
 პირად ცოდნის ტრადიცია¹²⁶.

1842 წლის შემოდგომიდან 1857 წ. ივლისამდე პლ.
 იოსელიანი უწმინდესი სინოდის უწყებაშია, ჯერ სინო-
 დის კანცელარიაში შტატგარეშე მოხელედ (ამასთან დაკავში-
 რებით, იგი 1842 წლის შემოდგომიდან 1844 წლის ზაფხუ-
 ლამდე პეტერბურგში ცხოვრობდა — შდრ. თ. ტაბლიაშვილი,
 მასალები, № 130, № 134, № 138), 1844 წლიდან კი საქარ-
 თველო-იმერეთის სასინოდო კანტორაში პირად საპროკურო-
 რო მაგიდის მოხელედ, ხოლო შემდეგ, 1856 წლიდან პრო-
 კურორის მოვალეობასაც ასრულებს, 1857 წლიდან, მასი
 თხოვნით, გადაჰყავთ სამოქალაქო უწყებაში — კავკასიის მე-
 ფისნაცვალთან, სადაც ნიშნავენ საგანგებო დავალებათა V
 კლასის მოხელედ. ამ თანამდებობაზე რჩება სიცოცხლის უკა-
 ნასკნელ დღემდე. 1859 წ. იღებს დენისტვიტელნი სტატსკი
 სოვეტნიკის ჩინს. იგი წევრია კავკასიის სასწავლო ოლქის
 მზრუნველთან არსებულ სასწავლო გეგმების, პროგრამებისა
 და სახელმძღვანელოების შემდგენი კომიტეტისა, თავმჯდომა-
 რე — თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ქონების შემმოწმებე-

დალიტ. სერია), 1976, № 4, გვ. 114—118; ე. ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე, ქართული
 ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხი რევოლუციამდელი საქართვე-
 ლის რუსულ პერიოდიკაში, თბ., 1978.

¹²⁶ Пл. Иоселиани, Шота Руставели, გაზ. «Кавказ», 30. I.
 1870, № 13, გვ. 3; შდრ. ქ. ც ხ ა დ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის შეპირმცოდნე-
 თა, გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“, 16. I. 1938; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე,
 შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 448—449.

ლი კომისიისა და სამეგრელოს საეკლესიო მამულების მამულებისა და მოსავლის სარევიზიო კომისიისა და სხვ¹²⁷.

ასეთი სამსახურებრივი გადატვირთულობის მიუხედავად, პლ. იოსელიანი მთავარმართებელ ა. ნეიდგარტის წინადადებით, 1845 წლის იანვარში ხელს ჰკიდებს „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორობას:¹²⁸ „გაზეთის მთელი სული და გული იყო პლ. იოსელიანი, რომლის წერილებით გაზეთის ფურცლები სავსეა. გაზეთი პლ. იოსელიანის საკუთარი ორგანოს შთაბეჭდილებას სტოვებდა... პლ. იოსელიანი თავის წერილებს ხელს აწერდა ასე: „П. И.“¹²⁹ ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით, ეს „პირველი მაგალითი იყო, რომ საქართველოში ქართველ კაცს რუსულ ენაზე გაზეთი გამოეცა“¹³⁰. იგი აგრეთვე რედაქტორობდა ქართულ გაზეთს „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, რომელმაც მხოლოდ წელიწადნახევარი იარსება — 1845 წლის

¹²⁷ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 60 შმდ.

¹²⁸ იქვე, საბ. № 47; პლ. იოსელიანი, წერილები... № 36; Н. А. Махарадзе, Пл. Иоселиани в „Закавказском вестнике“, თსუ შრომები, ტ. 154 (ქურნალისტიკის სერია), „ქურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, III, თბ., 1974, გვ. 366—388; შდრ. ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშრ., ი. იმედაშვილი, დას. წერილი, გვ. 12; Кавказский календарь на 1853 год, Тиф., 1852, გვ. 504; უფრო დაწვრილებით იხ. Д. Ватейшвили, Журналистская деятельность П. И. Иоселиани, წიგნში: А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 52—115.

¹²⁹ მ. გოცაძე, ქართული ქურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954, გვ. 297.

¹³⁰ ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშრ.



იანვრიდან 1846 წლის 1 ივლისამდე¹³¹. მანამდე პლ. იოსელიანი
 ლიანს ჩაფიქრებული ჰქონია ქართული ჟურნალის გამოცე-
 მაც, რის თაობაზე 1838 წ. 29 დეკემბერს მ. ბროსეს წერ-
 და: „თუ ღმერთსა ნებავს, მსურს გარნა არა ეხლა, ვითხოვო
 ნება ჟურნალისა რასამე გამოცემისა. შემწენი აქ არა იბოე-
 ბიან და ცოტად მიმიძიშ“¹³². მართალია, პლ. იოსელიანის ეს
 ოცნება განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ მ. გოცაძის სი-
 ტყვებით, „პლ. იოსელიანი იყო პირველი ქართველი, რომელ-
 მაც [სოლომონ დოდაშვილის] „ტფილისის უწყებანის სალი-
 ტერატურონი ნაწილნის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ პირ-
 ველად იფიქრა ქართული ჟურნალის დაარსებაზე“¹³³.

მაგრამ პლატონ იოსელიანი ჩვენთვის, პირველ რიგში,
 საინტერესოა მაინც როგორც მეცნიერი-ქართველოლოგი, და
 კერძოდ, როგორც რუსთველოლოგი.



პლ. იოსელიანის მეცნიერული და საკუთრივ ქართველო-
 ლოგიური მუშაობის წამოწყება გარკვეულად უკავშირდება
 პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას (აკად. ა. მ. შეგრენი
 და სხვ.) და, კერძოდ, აკად. მარი ბროსეს სახელს. როგორც
 ცნობილია, მ. ბროსე 1837 წელს ჩამოვიდა პეტერბურგში,
 როცა პლ. იოსელიანი იქ უკვე აღარ სწავლობდა. პლ. იოსელია-

¹³¹ მ. გოცაძე, დას. ნაშრ., გვ. 275—281.

¹³² პლ. იოსელიანი, წერილები..., გვ. 164.

¹³³ მ. გოცაძე, დას. ნაშრ., გვ. 226.

ნის დაახლოება მ. ბროსესთან იწყება 1838 წლიდან¹³⁴. ფრანგ ქართველოლოგთან გაცნობისა და მეცნიერული თანამშრომლობის ინიციატივა სამშობლოში დაბრუნებულ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს გამოუჩენია: „არა ძალმიძს შესაფერად მოგახსენოთ მადლობა მის შრომისათვის, რომელიცა თვით თქვენ მიიღეთ მოწერითა წერილისათა ჩემთან და შექმენით მიზეზ წერილთა განგრძელებისა სასარგებლოდ ენისა ჩემისა, მე უფრორე ვიხარა მას, რომელ ვიწინავე წერილისა მოწერა და გაცნობა თქვენნი“, — წერდა იგი 1838 წ. 14 აპრილს მ. ბროსეს¹³⁵.

მ. ბროსეს პეტერბურგში ჩამოსვლასა და ქართველოლოგიური მოღვაწეობის გაშლას პ. იოსელიანი „ახალი დიდი ეპოქის დასაბამს“ უწოდებს, რაც მას აღაფრთოვანებს მშობლიური კულტურის სამსახურისათვის: „განვლო დუმილმან საუკუნეთა და გონებათა განიღვიძეს დასაბამად ამა დიდისა ეპოქისა, ვიტყვი პირუთვნებელად, გამოსჩნდით თქვენ. რასა იქმოდინ ქართველნი, ვისა განაკვირვებდენ მწერლობასა თვისსა და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის შეაფარდებდენ თვისთა წერილთა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა? აქა არს პირველი სიქადული ქართველთა და იმედი შემდგომადისა

¹³⁴ თუმცა, როგორც უკანასკნელ ხანს გამოთქმული მოსაზრებდანაც ჩანს, მარი ბროსეს სახელი პლ. იოსელიანს პეტერბურგში 1831—35 წლებში სწავლის დროს თეიმურაზ ბაგრატიონის ოჯახშიც კარგად უნდა სცოდნოდა: იხ. А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 32—33; შდრ. თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები, № 102, გვ. 139.

¹³⁵ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 1, გვ. 151.

ყურადღებისა, რომელს მოაღებს განათლებული კერძო მოქალაქე
ყანისა!... აწ ყოველსავე ქართულსა აქტს მოვალეობა, რთა
ძალისაებრ თვისისა შეეწოდეს საზოგადოსა ზრუნტასა აღდ-
გენისათვის დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერლობისა (Лит-
тература) ჩუენისა“¹³⁶.

ძნელი წარმოსადგენია მ. ბროსეს ღვაწლის ამაზე უკეთ
წინასწარ განჭვრეტა!

ახალგაზრდა პლ. იოსელიანი გატაცებულია ძველი ქარ-
თული ხელნაწერი წიგნების შეგროვებით. იგი ამისთვის არ
ზოგავს არც დროს და ენერჯიას, არც ნივთიერ სახსარს: „დი-
დად ვარ მეძიებელი ქართულთა წიგნთასა, არცა ვიშურვი
ფულთა მოსყიდულად მათდა, მიმოვლასა ჩემსაგ საქართველოდ,
ჟამთა თავისუფალთა თანამდებობისაგან ჩემისაგ დღეთასა
შეუდგების მოპოვნად ძველთა წიგნთა ყოვლისა გვარისა-
თა“¹³⁷, ან კიდევ: „არა ვიქადი ამას და რაღაა საქადელი (რო-
დესაც ვიღუწი მამულსათვის, რომლისადმიცა მაქტს მოვა-
ლეობა ყოვლადი), მაგრამ არა ვზოგავ არცა ფულსა, არცა
შრომთა და არცა სიმრთელესა განვრცელებისათვის ძალი-
სამებრ ჩემისა ჰსწავლათა და სიძტელეთა მოძიებისა“¹³⁸. ამის
წყალობით პლ. იოსელიანმა შეაგროვა ძველი ქართული ხელ-
ნაწერების უნიკალური კოლექცია („ბიბლიოტეკა ჩემი აწ
შეიცავს უმეტეს 140 წიგნისა“, წერილები, გვ. 156), მათ შო-
რის, 1838 წლის მარტში მას შემთხვევით უპოვია „ცხოვ-

¹³⁶ პლ. იოსელიანი წერილები....., № 1, გვ. 150.

¹³⁷ იქვე გვ. 150—151.

¹³⁸ იქვე, გვ. 163.



რება ქართველთა მეფის ძის პეტრესი“, რითაც ფასდაუღებელი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას. ამ ძეგლის მნიშვნელობა იმთავითვე ცხადი იყო პლ. იოსელიანისთვის: „მე ვპვინებ, უწინარეს და უძველეს წერილისა ამის არა იპოვებოდეს ჩუენ შორის“¹³⁹. პლ. იოსელიანმა აღნიშნული თხზულების ხელნაწერი ასლი 1838 წლის შემოდგომაზე გადაუგზავნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას¹⁴⁰, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მისი პოპულარიზაციისა და გამოცემის საქმეში¹⁴¹.

ახალგაზრდა მკვლევარი ჯერ კიდევ 1838 წელს დიდად არის დაინტერესებული ათონისა და იერუსალიმის ქართულ

¹³⁹ პლ. იოსელიანი, წერილები..., გვ. 151.

¹⁴⁰ იქვე, № 8 (6. X. 1838 წ.); Пл. Иоселиани, Жизнеописания святых..., Тиф., 1850, с. 13—14.

¹⁴¹ Н. Марр, Жизнь Петра Ивера, ППС, т. XVI, вып. II, СПб, 1896; М. Grosset, Hist. de la Georgie, SPb., 1849, I, გვ. 139, სქ.; ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1977, გვ. 144, შმდ. ი. ლოლაშვილი, არეოპაგიტის პრობლემები, თბ., 1972, გვ. 100 და სხვ. დღეს ეს ხელნაწერი დაცულია სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში: С-35 (იხ. Р. Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, М.-Л., 1956, გვ. 142, სქ. IV. პლ. იოსელიანის ამ აღმოჩენაზე პირველად ლაპარაკობს თეიმურაზ ბაგრატიონი 1838 წ. მ. ბროსესადმი მიწერილ წერილში: ლენ. Н-38 (იხ. Р. Орбели, დას. ნაშრ., გვ. 142) და ამავე წელს გადაწერილ ხელნაწერ კრებულში: S-3637, 156v—157; როგორც ცნობილია, „პეტრეს ცხოვრება პირველად უპოვია ვასტანგ VI-ს და შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში“: იხ. А-131, გვ. 89; თ. ყორღანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. XVII; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977, გვ. 315.

ხელნაწერთა ბედიტ, რაც დღესაც ასე აღელვებს ქართულ მეცნიერებას: „დიდად მსურს ვიცოდე, რასა ჰკონებს ჰე- დემია წერილთათვის, რომელნიც იპოებიან ათონის მთასა ში- ნა და იეროსალიმსა. არა შესაძლებელია განახლდეს იგი“¹⁴². ეტყობა, პლ. იოსელიანს ხელთ ჰქონია ილარიონ [ყანჩიშვი- ლის] მიერ 1836 წელს შედგენილი სია „ქართული წიგნებისა მთაწმიდას ივერიის მონასტერსა შინა მდებარესა“ (H-2788, შდრ. A-1711, მინაწ.), რომლის ასლები (ახლ. ლენ. E-49, ლენ. E-48) შემდეგ მ. ბროსეს მიუღია და ფრანგულადაც უთარგმნია¹⁴³.

1849 წელს პლ. იოსელიანმა თავად შეძლო ათონზე მოგ- ზაურობა. კერძოდ, 1848 წლის 30 დეკემბერს მას განცხა- დებით მიუმართავს მეფისნაცვალ მ. ს. ვორონცოვისათვის ათონის ქართულ მონასტერში მივლინების თაობაზე¹⁴⁴. 1849 წლის 17 მარტს მეფისნაცვალს საქართველოს ეგზარქოსის ისიდორეს წინადადებით მისთვის ნება დაურთავს ათონზე 4 თვის ვადით გასამგზავრებლად¹⁴⁵. 1849 წლის 5 სექტემბერს

¹⁴² პლ. იოსელიანი, წერილები..., № 2, გვ. 153.

¹⁴³ Journ. Asiatique, 1867, t. IX, გვ. 337; (შდრ. Mélanges Asiatiques, t. IV, გვ. 390; А. Ц а г а р е л и, Сведения, I, გვ. XV—XVIII; I-ое прилож., 1—16; Р. О р б е л и, დას. ნაშრ., გვ. 165—166; ხელ- ნაწერთა აღწერილობა, Н კოლექცია, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 184).

¹⁴⁴ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 23; ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, 1964, გვ. 193—202; თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები..., საბ. № 162.

¹⁴⁵ თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები..., საბ. № 164.



პლ. იოსელიანმა ჩამოიტანა ათონზე 4 თვისა და 21 დღის მუშაობის ანგარიში და დროებით სარგებლობისათვის რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი (იხ. მაგალითად, XI ს. ათონური „ასკეტიკონი“ — A 1101:1), მათ შორის 978 წლის ათონური ბიბლია¹⁴⁶. აღ. ცაგარლის სიტყვებით, „XIX ს. 50-იან წლებში ათონზე ნამყოფ ქართველ არქეოლოგს პ. ე. იოსელიანს არ დაუბეჭდავს ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ნუსხა, თუმცა აცხადებდა განზრახვას ბეჭდურად სხვათა შორის ესეც გაეკეთებინა: „სხუათა ძიებათა და ყოვლადსა გამოკტლევით ათონის მთის ქართტჳლთა მონასტრის აღწერასა, შემზადებულსა რუსულსა ენაზედ, ვიმედულებ მალე დავბეჭდო“ (მოხილტა წთა და სხუათა აღმ. ადგილთა, ტიმოთესაგან, ტფილ., 1852 წ., გვ. 39); ივერის მონასტრის წერილობითი საგანძურის შესახებ მოკლე და ნაწყვეტი ბიბლიოგრაფიული ცნობები გაფანტულია მის მიერ გამოცემულ ტიმოთესა და იონას წმინდა ადგილთა მოხილვებში და XVIII ს. მწერლის — კათალიკოს ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობაში“ (მოხილუა. ტიმოთესაგან, ტფილ. 1852 წ., მიმოსლტა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა, ტფილ., 1852 წ., წყობილსიტყუაობა... ანტონისა, ტფილ., 1853)¹⁴⁷. აღ. ცაგარლის ამ სიტყვებთან დაკავშირე-

¹⁴⁶ თ. ტაბლიაშვილი, მსალები, საბ. 166; ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 1851 წელს დავით დადიანისთვის გადაწერილი ათონური ბიბლიის ასლი — S-422, აგრეთვე პლ. იოსელიანის მიერ 1849 წელს ათონზე გადმოწერილი „წამება ცხრა ყრმათა კოლაელთა“ — S-530; შდრ. H-40, 5.

¹⁴⁷ А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, СПб., 1886, გვ. XVIII—XIX; გვ. 63, შდრ. ნ. მახათაძე, დას. ნაშრ., გვ. 193—202.

ბით უნდა შევნიშნოთ, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, პლ. იოსელიანის არქივში დაცულია მისი ათონზე მოგზაურობის ცნობები და ჩანაწერები (რუსულ ენაზე), აგრეთვე სია ათონის ხელნაწერთა და მათი მინაწერები¹⁴⁸, ხოლო იმდროინდელ რუსულ პრესაში გამოქვეყნებულია ათონზე პლ. იოსელიანის მაშინდელი მოგზაურობის დღიურები¹⁴⁹.

პლ. იოსელიანი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყობა მ. ბროსესთვის მუშაობაში: უგზავნიდა ძველი ქართული ხელნაწერების ასლებს, ამუშავებდა საქართველო-იმერეთის სასიონოდო კანტორის ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებს, იღებდა ქართული ეკლესია-მონასტრებისა და საფლავების წარწერებს, ფრესკულ გამოსახულებებს; მათ შორის, იტალიელი მხატვრის როცის დახმარებით 1839—1840 წლებში მან გადმოიღო მცხეთის სვეტიცხოვლის უნიკალური მხატვრობა (რომლის ნაწილი შემდეგ დაიღუპა!) და 1840 წელს ბროსეს გაუგზავნა კიდევ პეტერბურგში¹⁵⁰. ამას გარდა, პეტერბურგის

¹⁴⁸ ხელნ. ინსტ. პლ. იოსელიანის არქივი, №№ 2, 6.

¹⁴⁹ იხ. «Кавказ», 1850, № 23; «Закавказский вестник», 1849, №№ 22, 24, 31, 35, 36, 38; ამის შესახებ დაწერილებით იხ. კირონის ცნობები — თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები..., გვ. 222; Д. В а т е й ш в и л и, Научное путешествие П. И. Иоселиани на Афонскую гору (по материалам «Закавказского вестника»), წიგნში: А. А. Б а р а м и д з е, Д. В а т е й ш в и л и, დას. ნაშრ., გვ. 116—153.

¹⁵⁰ დაცულია სსრკ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში: Н-15. იხ. Р. О р б е л и, დას. ნაშრ., გვ. 93—94, ტაბულები №№ 11—16; იხ. აგრეთვე, პლ. იოსელიანი, წერილები... №№ 8, 12—15, 17—24.

მეცნიერებათა აკადემიისათვის, კერძოდ, აკად. ა. შეგერენის-
 თვის (1794—1855) შეაგროვა ძველი ქართული სულიერი და
 მატერიალური კულტურის (ნუმიზმატიკის) ნიმუშები¹⁵¹, რა-
 საც მოწმობს უკანასკნელ ხანს შეგერენის არქივში გამოვლენ-
 ნილი პლ. იოსელიანის 19 წერილი და სხვა ქართული მასა-
 ლები¹⁵². როგორც ცნობილია, აკად. ა. შეგერენი 1835—1837
 წლებში ყირიმსა და კავკასიაში იმყოფებოდა სამეცნიერო
 მივლინებით და ამ დროს გაიცნო და დაუახლოვდა მას პლ.
 იოსელიანი¹⁵³. მ. ბროსეც თავის მხრივ ყურადღებას არ აკ-
 ლებდა ქართველ მეცნიერს: წერს რეცენზიებს მის შრომებ-
 ზე¹⁵⁴, უგზავნის საკუთარ გამოკვლევებს ქართული მწერლო-
 ბისა და ისტორიის საკითხებზე, რის პასუხადაც პლ. იოსე-
 ლიანი წერდა: „ქართუტშლოთა ყოველთავე გჰცნეს თქტენ და
 დიდითა განკვირვებითა, პატივითა და კნინლა მოწიწებითა
 მოიხსენებენ სახელსა თქტენსა. ბროსესე ბაგეთა შინა დიდ-
 თასა და გულთა შინა ახალმოსწავლეთასა ხმაურობს და ამი-
 სათვის არა არს საიჭვო რომელ მრავალთა შორის მათთაგანსა
 აღიძვრის წადილი, რათა იჩინნეს თავნი თვისნი სარბიელსა

¹⁵¹ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 11.

¹⁵² ა. ფოცხიშვილი, ჩვენი კულტურის მეგობარი (ქართული მასალები აკადემიკოს ა. შეგერენის არქივში), „კომუნისტი“, 23. VI. 1971, № 142.

¹⁵³ ა. ფოცხიშვილი, დას. წერილი; А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 36—37.

¹⁵⁴ იხ. მაგალითად, მ. ბროსეს შენიშვნები პლ. იოსელიანის „ქართულ ღრამატიკაზე“: თ. ტაბლიაშვილი, მასალები..., საბ. № 101.

ზედა ჰსწავლისა ბუნებითისა თვისისა ენისა და ძიებისა ყოვლისა მის რადცა აღიდებს სახელსა ესრეთ ძტჳლისა ერისა ვითარცა არს ქართჳლი“¹⁵⁵.

პლ. იოსელიანისა და მ. ბროსეს დაახლოება და მეცნიერული თანამშრომლობის გაღრმავება უეჭველია მოხდებოდა 1842—1844 წლებში პეტერბურგში, როცა ქართველი მეცნიერი აქ უწმინდეს სინოდში მსახურობდა. ამას გარდა, პლ. იოსელიანი, სხვებთან ერთად, მეგზურობას უწევდა 1847—1848 წლებში საქართველოში სამეცნიერო მივლინებით მყოფ მ. ბროსეს და როგორც „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორი ფართოდ აშუქებდა ამ გაზეთში ჩვენს სამშობლოში ჩამოსული ფრანგი ქართველოლოგის მოგზაურობისა და მეცნიერული მუშაობის შედეგებს¹⁵⁶.

* * *

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პლატონ იოსელიანს ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. თავი რომ დავანებოთ გასული საუკუნის 40-იან წლებში თბილისში პლატონ იოსელიანის რედაქციით თუ ავტორობით გამოსულ ქართულ წიგნებს (შავთელისა და ჩახრუხადის ოდები, 1838; ანბანი ქართული..., 1838, რომელიც 1863 წლამდე 11-ჯერ გამოიცა;

¹⁵⁵ პლ. იოსელიანი, წერილები... № 8, გვ. 160.

¹⁵⁶ ამის შესახებ იხ. რ. დოდაშვილი, მარი ბროსე ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 35—42; შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 67—84; А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 98—115.

„კალენდარი ანუ თთქმთარიცხტაობა“, 1840, 1841; „პირტშლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატეკისა“, 1840; 1851 და 1863 წლებში განხორციელდა მისი მეორე და მესამე გამოცემა), აგრეთვე, რუსულიდან შესრულებულ თარგმანებს (დუსი, დარიგება მოყუანისათუს ამერიკულს თამბაქოსი, 1841; ენდროს მოყუანისათუს, 1841; მოკლე ცნობა..., 1841; გ. ასტერი, დარიგება მოყვანისათვის ბაჰისა, 1842; ი. ტერ-ლუკასოვი, გამოცდილებითნი კანონნი..., 1842), განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 50-იანი წლები, როდესაც, გ. ერისთავის სიტყვებით, „ვარანცოვმა გვიბრძანა მე და პლ. იოსელიანს ძველი და ახალი ქართული წიგნების ბეჭდვა“¹⁵⁷. მართლაც, პლ. იოსელიანმა აღნიშნულ პერიოდში განახორციელა რამდენიმე, იმ დროისათვის პირველხარისხოვანი, მეცნიერული გამოცემა: იოსებ თფილელის „დიდი მოურავიანი“, 1851; ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოსის „მოხილტა“, 1852; იონა რუისის მიტროპოლიტის „მიმოსტლა“, 1852; არჩილ მეფის „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირტშლისა“, 1853; ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, 1853; ამათ გარდა, 1850 წელს პლ. იოსელიანს რედაქციით გამოვიდა გ. ერისთავის „გაყრა“. აღნიშნულ გამოცემებს დართული ჰქონდათ გამომცემლის მეტად საყურადღებო გამოკვლევები და კომენტარები; ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, „დიდმოურავიანისა“ და ტიმოთეს „მოხილვის“ პლატონისეული წინასიტყვაობანი გადაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ (იხ. 1852, № 2, № 4). მათ ქართული მეცნიერებისა-

¹⁵⁷ გ. ერისთავ, სხვადასხვა ანბავი, ჟ. „ცისკარი“, 1852, № 1.

თვის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა¹⁵⁸ (ამათგან რუსთველი ლოლოგიურ ნაწილს ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ განვიხილავთ).

მაგრამ 1853 წელს „შედგა ბექდუა წიგნთა ქართულთა“! 1869 წელს პლ. იოსელიანს კვლავ განუზრახავს ქართული

¹⁵⁸ შდრ. Н. М а р р, Древнегрузинские описцы, ТР, IV, СПб; 1902, გვ. 3, 8, 29—30, 52—53; კ. ჯ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 20. შმდ. მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1957, გვ. 18, შმდ.; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I, თბ., 1945, გვ. 105—106, 108—110, 112—113; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ორ ნაკვეთად, თბ., 1962, გვ. 48, შმდ.; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, თბ., 1957, გვ. 11—12; მისივე, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბ., 1964, გვ. II, 35, 52; ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ტ. გაბაშვილის „მიმოსვლა“, თბ., 1956, გვ. 86; ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 190—193, 203—206; რ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, წიგნი I, თბ., 1972; ლ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე, პლატონ იოსელიანი რედაქტორ-გამომცემელი, კრებ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, III, თბ., 1974, გვ. 138—174; რ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბ., 1978, გვ. II, შმდ. А. А. Б а р а м и д з е, Д. В а т е й ш в и ლ ი, დას. ნაშრ. გვ. 189—193; პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს შრომებში აღძრული ცალკეული ისტორიული საკითხები განხილული აქვს არჩ. ბარამიძეს: იხ. მისი, პლატონ იოსელიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ, „ლიტ. გაზეთი“, 17. VII. 1959; მისივე, ალ. ორბელიანის ერთი წერილის გამო, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 30. I. 1970; მისივე, პლ. იოსელიანი და იბერიის (ქართლის) ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, კრებ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 422—431; მისივე, ძველი საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები XIX ს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, „მაცნე“, 1964, № 4, გვ. 186—189; იხ. აგრეთვე, А. А. Б а р а м и д з ე, Д. В а т е й ш в и ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 154—189.

წიგნების ბეჭდვის განახლება, რაც მისთვის გრიგოლ ოტახაშვილი
ლიანს მიუხდვია. ამის შესახებ მან გაზ. „დროებაში“ 1869
წლის 27 თებერვალს (№ 9) გამოაქვეყნა „სიტყუა საყოველ-
თაოდ საუწყებელი წიგნთა ქართულთა ბეჭდვს გამო“, რომელიც
მაშინვე გადაბეჭდა ჟურნ. „ცისკარმა“ (იხ. 1869, № 3, გვ. 1—5).

პლ. იოსელიანი პატრიოტული აღტყინებით წერდა: „ქართ-
უტყლოთა მწერლობა ძუტლი, წინათ ქრისტესსა წყობილა და
ქრისტიანობისა შემდგომად განვრცელებული, არ არის და-
საკარგავი. ენა ქართუტყლოთა ეკკლესიისათვს ქრისტესსა შემ-
ზადებული უმეტეს და უკეთესად რომელთა ანუ ლათინთა
ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვსა. ენამან ამან და-
ბადა ენა რუსთაველისა, შავეთელისა, ჩახრუხაძისა და ქარ-
თუტყლოთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა“ და
გულმხურვალედ მოუწოდებდა: „ნუ მივპსცემთ დავიწყება-
სა მამა-პაპისა ჩუტნისა კალმის შრომათა. ნუ განვაქრობთ
მათსა, გონებისა ლექსთა-წყობითა და პროზად, მწერლობისა
გმირობასა, ნუ დავკარგავთ კაცთა ნათესავსა, ძუტლოთა და
წარსულთა დროთა მწერლობისავე ღუაწლთა. ხოსროიდელ-
თა, არაბთა, თურანელთა, ჩინგისისა, თემურლანგისა და შაჰ-
აბაზისა ხმალთა ლესულთა გარდურჩათ ძუტლონ თხზულება-
ნი და თქმანი მწერლობითა; და, ოხრებისა დროსა დაიკუტყს
პრაეალნი მათგანი ჩუტნთვს და დროთა ჩუტნთათვს... შევეუდ-
გეთ შრომასა...“¹⁵⁹.

¹⁵⁹ „დროება“, 27. II. 1869, № 8, გვ. 3—4; „ცისკარი“, 1869, № 3, გვ. 1—5.



მაგრამ მალე იმავე „დროებამ“ პლ. იოსელიანის ტყუის“ გამო, დ-ს ხელმოწერით დაბეჭდა რამდენიმე კრებული წერილი, რომელშიც ენას უწუნებდა პლ. იოსელიანს¹⁶¹. მართალია, იმავე „დროების“ ფურცლებზე პ. უმიკაშვილი გამოესარჩლა პლ. იოსელიანს და აღნიშნა, რომ „უფალი დ-ი ლაპარაკობს არა თუ იოსელიანის წინადადებაზე, არამედ იმაზე, რომ როგორის ენით არის დაწერილი იოსელიანისაგან ეს წინადადება“¹⁶¹, მაგრამ, ეტყობა, პლ. იოსელიანს გული მაინც აუცრუეს ამ წამოწყების განხორციელებაზე, რის გამოც 1869 წლის 25 დეკემბერს (№ 52) გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა ნ. ბერძენოვის, პ. უმიკაშვილისა და გ. წერეთლის „ძველის წიგნების გამოცემაზე“, სადაც „პლატონ იოსელიანის მოუტყულობის გამო“ იტყობინებოდნენ, რომ ეს საქმე გრიგოლ ორბელიანმა ჩვენ მოგვანდო.

ასე იყო თუ ისე, იგი ჩამოშორდა ქართული წიგნების ბეჭდვის განახლების საქმეს. სამაგიეროდ, ამ პერიოდში მან ქართულ ენაზე დაასრულა თავისი სახელგანთქმული ნაშრომი „ცხოვრება მეფის გიორგის XIII-ისა“. თავს ნებას ვაძლევთ დაწერილებით შევეხოთ ამ თხზულების დაწერისა და გამოცემის ისტორიას, რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს მასზე¹⁶².

¹⁶⁰ „დროება“, 13. III. 1869, № 11; 20. III. 1869, № 12; 3. IV. 1869, № 14.

¹⁶¹ „დროება“, I. V. 1869, № 18.

¹⁶² იხ. ქართული წიგნი, I, თბ., 1941, გვ. 114, № 344. ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 77; А. А. Барамидзе,

მ. ბროსესადმი გაგზავნილი წერილებიდან ვიცით, რომ პლ. იოსელიანმა 1867 წლის დასაწყისში დაამთავრა „გიორგი XIII-ის ცხოვრება“¹⁶³, ხოლო პირველი ბეჭდური ცნობა ამის შესახებ გამოაქვეყნა ნ. ბერძენოვმა 1868 წლის 22 მაისს გაზ. „კავკაზში“, რომელსაც დაურთო თხზულების I—VIII თავების რუსული თარგმანი.

ნ. ბერძენოვის ამ ცნობას სიხარულით შეეგება გაზ. „დროება“: „ოთხშაბათის ნომერში [22 მაისს] აქაურის რუსული გაზეთის „კავკაზში“ გვაცნობებს უფ. ბერძენოვი, რომ პლატონ ეგნატის ძეს იოსელიანს დაუწერია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის ცხოვრება ქართულ ენაზე. არ ვიცით მალე მოვესწრებით ქართულათ გამოცემას თუ არა, ამაზე „კავკაზში“ არა არის რა. მადლობა უნდა მოვახსენოთ პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანს, რომ ბოლოს საწყალი ქართული ლიტერატურაც მოიხსენია და ვისურვებთ, რომ თვისის ნაწარმოების წაკითხვის ღირსიც მალე გაგვხადოს“¹⁶⁴.

მალე, 1868 წლის 7 ივნისს „დროებაში“ (№ 23) დაიბეჭდა „ზოგიერთი შესანიშნავი მოთხრობა საქართველოს მე-

Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 42, სქ. 53; იქვე, გვ. 196, № 66—67.

¹⁶³ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 39, № 40, № 41; იხ. აგრეთვე, პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., H-2301; აღ. თრბელიანი, პლატონ იოსელიანსა — S-1646-გ; პლ. იოსელიანი, მათს უგანათლებულესობას მეფისა გიორგი მეათცამეტის ძის იოანეს ძის ძეს იოანე გრიგორის ძე გრუზინსკის, ჟ. „ცისკარი“, 1868, № 12; ა. გაჭერელიანი, დას. ნაშრ., გვ. 281—290.

¹⁶⁴ „დროება“, 24. V. 1868, № 21.

ფე გიორგი მეთორმეტეზე (იგულისხმება გიორგი XIII)
უ. ბერძენოვისაგან გამოკრეფილი იმ ისტორიიდან, რასაც
ლიცა დაუწერია პლატონ იოსელიანს“. ამას გარდა, აღნიშნუ-
ლი თხზულების ფრაგმენტები 1869 წელს გამოქვეყნდა ჟურ-
ნალ „ცისკარშიც“ (იხ. № 2, გვ. 24—42; № 3, გვ. 1—32,
43—65).

„ქართული წიგნის“ ცნობით, თითქოს არსებულა მისი
ამდროინდელი, 1867 წლის ცალკე გამოცემაც: „ცხოვრება მე-
ფის გიორგის XIII-ისა, აღწერილი პლატონ იოსელიანისაგან,
თფილისი, ჩუაზ [1867], 334 გვ. (24 X 16)“¹⁶⁵. თუ ეს ასეა,
მაშინ აუხსნელი რჩება „დროების“ 1868 წლის 24 მაისის
(№ 21) განცხადება; „არ ვიცი თ მალე მოვესწრებით [ამ თხზუ-
ლების] ქართულათ გამოცემას თუ არაო“.

შედარებით გამოირკვა, რომ „ქართული წიგნის“ მიერ
1867 წლის გამოცემად გამოცხადებული „გიორგი XIII-ის
ცხოვრება“ წარმოადგენს ცალკე წიგნად შეკრულ ჟურნალ
„ივერიის“ 1879—1880 წლების (იხ. 1879, № 9-10, გვ. 1—
126; 1880 № 1, გვ. 127—206; № 2, გვ. 207—336) დამატე-
ბაში დაბეჭდილ ტექსტს. გამოცემის სატიტულო ფურცელზე
მითითებული ჩუაზ [1867] წელი გულისხმობს არა გამოცემის
წელს, არამედ თხზულების დაწერის თარიღს. ეტყობა, მკი-
თხველებს გაუთვალისწინებიათ „ივერიის“ სარედაქციო შე-
ნიშვნა „ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა იბეჭდება ცალკე
დამატებაში, ამიტომ მსურველთ შეეძლება ბოლოს ცალკე

¹⁶⁵ ქართული წიგნი, I, თბ., 1941, გვ. 114, № 344.

წიგნათ შეკრან¹⁶⁶. ამასვე ადასტურებს ი. მეუნარგიას ჩაწერილი ივანე მაჩაბლის მონათხრობი¹⁶⁷.

ამის შემდეგ ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს პლ. იოსელიანის „გიორგი XIII-ის ცხოვრების“ ცალკე გამოცემა ხელისმომწერთა ხარჯზე, რის თაობაზე 1895 წ. გაზ. „ივერიაში“ (№ 56) გამოაქვეყნა „წერილი რედაქციის მიმართ“. იმავე წლის № 74-ში „ივერია“ თავის მკითხველებს აუწყებდა, რომ ზ. ჭიჭინაძე „მეფე გიორგი XIII-ის ცხოვრების“ ბეჭდვას შეუდგა, მაგრამ ხელნაწერი ავტორისა არა აქვს ხელთ და იძულებულია ე. „ივერიაში“ დაბეჭდილი ხელახლა გადმობეჭდოს. „ივერიის“ 1895 წ. № 82, № 84, და № 99-ში გამოქვეყნებულია იმ ხელისმომწერთა გვარები, რომლებმაც ფული გაიღეს „ცხოვრების“ დასაბეჭდად. და, აი, გაზ. „ივერია“ 1895 წლის 9 ივლისს (№ 144) იტყობინებოდა, რომ უკვე გამოვიდა ზ. ჭიჭინაძისეული გამოცემა „გიორგი XIII-ის ცხოვრებისაო“¹⁶⁸.

ამას გარდა, 1917 წელს ზ. ჭიჭინაძემ ცალკე გამოსცა „ტრაკტატი ანუ პირობა მის, თუ საქართველო რა დაპირებით შეუერთდა რუსეთის იმპერიას, პ. იოსელიანის მიერ დაწერილი „მეფე გიორგის ცხოვრებიდამ“¹⁶⁹.

საბჭოთა ეპოქაში პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ორჯერ გამოიცა: 1936 წელს ა. გაწერელიას

¹⁶⁶ იხ. ე. „ივერია“, 1879, № 9—10, გვ. 2.

¹⁶⁷ შდრ. ი. მეუნარგია, ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ, სოფ. ცაიშვილის რედ., თბ., 1937, გვ. 31—32.

¹⁶⁸ ქართული წიგნი, I, თბ., 1941, № 1778, გვ. 209.

¹⁶⁹ იქვე, № 5063, გვ. 415.



რედაქციით, ხოლო 1978 წ. ა. გაწერელისა და გ. შაქერელის მიერ.

პლ. იოსელიანის სხვა შრომები თავის დროს ქვეყნდებოდა ქართულ და მეტწილად, რუსულ ენებზე, როგორც ცალკე, ისე მაშინდელ რუსეთისა და საქართველოს პერიოდული პრესის ორგანოებში («ЖМНП», «ЖМВД», «Закавказский вестник», «Кавказ», «Кавказский календарь», „ცისკარი“, „დროება“, საქართველოს სასულიერო მახარებელი“, „ივერია“ და სხვ.). სამწუხაროა, რომ პლ. იოსელიანის შრომათა სრული ბიბლიოგრაფია დღემდე არ არის შედგენილი¹⁷⁰, ხოლო ხელნაწერი მემკვიდრეობა და არქივი პლატონის გარდაცვალების (1875 წ.) შემდეგ გაფანტულა, რის თაობაზე ვასული საუკუნის 90-იან წლებში საკმაოდ მწვავე კამათიც გაიმართა გაზეთების „ნოვოე ობოზრენიესა“ და „ივერიის“ ფურცლებზე¹⁷¹, ზ. კიკინაძე კი წერდა: „თვით პ. იოსელიანს ხელნაწერი წიგნები მცირე ჰქონდა, გუჯრები კი ძირელ ბევრი, სამ ფუთამდე. მის სიკვდილის შემდეგ ეს გუჯრები დ. ბაქრაძეს ჰქონდა დროებით და მალე ისევ პ. იოსელიანის მეუღლეს დაუბრუნა, კუთვნილებისამებრ. არ გავიდა მცირე ხანი, რომ განსვენებულის დანარჩენი წიგნები 40 ფუთამდე მეწვრილმანებისთვის მიეყიდ-

¹⁷⁰ შდრ. ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. 302—303; А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 194—196; ნ. მახათაძე, ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთი საკითხი გაზ. „კავკაზში“ (მე-19 ს. II ნახ.), კრებ. „ძველი ქართ. მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, თბ., 1973, გვ. 120—121.

¹⁷¹ იხ. «Новое обозрение», 1894, №№ 3505, 3521, 3522, 3536; «ივერია», №№ 51, 53, 56, 60, 70, 75, 84, 97.



ნათ ქალაღდის ფასათ. ამ წიგნებიდამ რამდენიმე ფუთი წიგნების მე ვიყიდე. სხვათა შორის, აქ დაეხიათ ერთი დიდი ნაწერი საქართველოს ისტორიისა, რომელიც თვით პლ. იოსელიანის ხელით იყო ნაწერი. მთელი წიგნისაგან სულ სახმარი პარკები გაეკეთებინათ¹⁷².

ამ გულისმომკვლელ ცნობებს მთლად თუ არ დავცერებთ (ცნობილია, რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებულ ცნობებს ზოგჯერ უნდობლად ეკიდებიან!), ვერსად გავეჭვევით ილა ჭავჭავაძის გაზ. „ივერიაში“ 1888 წელს (№ 198) გამოქვეყნებულ ასეთ ცნობას: „განსვენებულს პლატონ იოსელიანს დარჩა დიდ-ძალი საისტორიო მასალა, მათ შორის, ანტონ I კათალიკოსის შესახებ, იგი მ. საბინინს წაუღია პეტერბურგს. ეს ძვირფასი მასალა პლატონ იოსელიანის სიკვდილის შემდეგ ხელში ჩავარდნია ერთს მეწვრილმანეს, მერე საბინინს შეუძენია“, ხოლო როდესაც „ნოვოე ობოზრენიესა“ და „ივერიის“ ფურცლებზე ვინმე უშანგ ყარანგოზიწვილსა (რომელიც თავს პლატონის „დისწულად“ აცხადებდა) და თედო ყორდანიას შორის დავა ატყდა, ვითომც დ. ბაქრაძეს და თ. ყორდანიას ბრალი მიუძღოდეთ პლ. იოსელიანის არქივის განიავებისა და მითვისების საქმეში, ფაქტია, რომ პლ. იოსელიანის ქვრივმა — ანა ნიკოლოზის ასულმა ბაგრატიონ-მუხრანბატონმა „ივერიის“ რედაქციისადმი გაგზ.ვილ წერილში დაადასტურა: „მე თვითონ პირადად გადავეცი დ. ბაქრაძეს ყოველივე ძვირფასი საისტორიო მასალაო“¹⁷³. ყოველ შემ-

¹⁷² ზ. ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, თბ., 1893, გვ. 23.

¹⁷³ ანა ნიკოლოზის ასული იოსელიანი, წერილი რედაქციის

თხევაში, ამთგან პლ. იოსელიანისეული „მესხური დავის“
 (XVI ს. ხელნაწერი), მართლაც, აღმოჩნდა დ. ბაქრაძის არ-
 ქივში (იხ. S-947).

აქვე შევნიშნავთ, რომ პლ. იოსელიანის არქივის გადარ-
 ჩენილი ნაწილი დღეს დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
 აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის
 განყოფილებაში¹⁷⁴, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინ-
 გრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება-
 ში¹⁷⁵, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის
 სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში¹⁷⁶, სსრკ მეცნიერება-

მიმართ, „ივერია“, 1894, № 97; საერთოდ. უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ
 ქართულ პრესაში (იხ. „დროება“, 17. IX. 1883, № 183; „ივერია“, 1889
 № 140; 1890, № 60, № 116; „კვალი“, 1894, № 12, გვ. 4; „ცნობის ფურ-
 ცელი“, 1896, № 1) ბევრი საინტერესო მასალა პლატონის ქვრივის — ანა
 იოსელიანის (ბაგრატიონ-მუხრანბატონის) ქველმოქმედებისა თუ თბილისის
 სათავადაზნაურო სკოლისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-
 ბის წიგნთსაცავებისთვის ძვირფასი ხელნაწერების, დოკუმენტებისა და წიგ-
 ნების შეწირვის თაობაზე (იხ. აგრეთვე, H-917, H-918, H-919-ა-გ, H-920),
 ხოლო 1908 წ. მას თავისი საფასით გამოუცია „საკითხავი სტუმრის ცხოველი-
 საა, კუარტისა საუფლოესა და კათოლიკე ეკლესიისა ნიკოლოზ I (1149—
 1160) ქართლის კათალიკოზ პატრიარქის მიერ შედგენილი. გამოცემული დ.
 ს. ს. პლატ. იოსელიანის ქვრივის ანნა ნიკოლ. იოსელიანის მიერ დ მღ.
 ვასილ კარბელაშვილის რედაქტორობით. ტფილისი, „ძმობის“ სტ., 1908“
 („იხ. „ქართული წიგნი“, I, 1941, გვ. 323).

¹⁷⁴ Р. Орбели, დას. ნაშრ., გვ. 4, 6, №№ 5, 16, 17, 34—36, 87,
 88, 133, 136, 140, 159.

¹⁷⁵ ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 104—105; შდრ. ლ. მუ-
 ვარიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 158—162.

¹⁷⁶ ხელნ. ინსტ., პლატონ იოსელიანის არქივი, აღწერილობა № 23.

თა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლი) ხელნაწერთა განყოფილებაში¹⁷⁷, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში¹⁷⁸, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში¹⁷⁹, ხოლო პლ. იოსელიანის პირადი ბიბლიოთეკის წიგნები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავში¹⁸⁰.

საგულისხმოა, რომ სწორედ პლ. იოსელიანის გადარჩენილ არქივში მიაგნო ივანე ჯავახიშვილმა 1923 წელს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ უძვირფასეს ნუსხას (ე. წ. „ჰალაშვილისეულს“, Q-207), რომელიც პლატონ იოსელიანისთვის უსახსოვრიათ 1871 წელს: «в память Платону Иоселиани от Григория Шадинова 21 мая 1871 года»¹⁸¹.

გასული საუკუნის მიწურულსა და ახლის დასაწყისში რამდენიმეჯერ დასმულა პლ. იოსელიანის მეცნიერული მემკვიდრეობის სრულად გამოცემის საკითხი: 1895 წელს გორის ეპისკოპოსს ალექსანდრეს გამოუთქვამს პლატონის თხზულებათა გამოცემის სურვილი, რომელიც მიუხდვია ე. თაყაიშვილისა და ა. ქუთათელაძისთვის (იხ. „ივერია“, 1895, № 214).

¹⁷⁷ Н. Махатадзе, Неизвестные письма Платона Иоселиани, კრებ. „ლიტ. ურთიერთობანი“, II, თბ., 1969, გვ. 103 შმდ.

¹⁷⁸ თ. ტაბლიაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 57—224.

¹⁷⁹ ც. ჩიკვაშვილი, კატალოგი..., თბ., 1964, გვ. 85 შმდ.

¹⁸⁰ ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. 301.

¹⁸¹ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, თხზულება, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 374—375; აგრეთვე, გვ. 425.

ეტყობა, აქედან რომ არაფერი გამოვიდა, პლატონის ქვრივანა ბაგრატიონ-მუხრანბატონს 1902 წელს საეკლესიო მუზეუმისთვის ნება დაურთავს გამოეცათ მისი ქმრის თხზულებათა სრული კრებული და „ივერიის“ ცნობით, „ეპისკოპოს კირიონს განზრახვა აქვს მოკლე ხანში შეუდგეს“ კიდევ ამ საქმესო („ივერია“, 1902, № 19). მაგრამ, როგორც ვიცით, არც ამ წამოწყებას ეწერა განხორციელება. სამწუხაროდ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1936, 1973, 1978 წლებში პლატონის თითო-ოროლა თხზულების გამოცემას¹⁸², ეს მდგომარეობა დღემდე გრძელდება. არადა, პლ. იოსელიანის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა დღესაც დიდ სამსახურს გაუწევდა სამამულო მეცნიერებას.

* * *

პლ. იოსელიანის დაუღალავმა მეცნიერულმა შრომამ იმთავითვე საყოველთაო აღიარება ჰპოვა: 1840 წლის დეკემბერში მას ირჩევენ ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად¹⁸³, 1847 წლის ოქტომბერში ოდესის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების წამდვილ

¹⁸² პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელის რედ., ტფ., 1936 (მეორე გამოცემა, თბ., 1978); პლ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თარგმანი რუსულიდან გიორგი თარხნიშვილისა, I გამოცემა, თბ., 1973.

¹⁸³ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 27; თ. ტაბლიანი, შვილები..., საბ. № 109.

წევრად¹⁸⁴, 1849 წელს პეტერბურგის არქეოლოგიისა და მონეტარული მიზმატიკის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად¹⁸⁵, 1852 წელს პეტერბურგის საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების წამდვილ წევრად¹⁸⁶, 1863 წლის 4 ნოემბერს ათენის (და არა ათონის, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი წერს)¹⁸⁷ სამეფო არქეოლოგიური საზოგადოების წევრად¹⁸⁸, 1868 წელს პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად¹⁸⁹.

პლ. იოსელიანი სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო

¹⁸⁴ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5; თ. ტაბლიაშვილი, მასალები..., საბ. № 158; ა. აბრამიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 110.

¹⁸⁵ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5; თ. ტაბლიაშვილი, მასალები, საბ. № 163; Пл. Иоселиани, Жизнеописание святых..., Тиф., 1850.

¹⁸⁶ ც. ჩიკვაშვილი, კატალოგი..., გვ. 88, № 119; Кавказский календарь на 1853 год, Тиф., 1852, с. 566.

¹⁸⁷ ი. მებერელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 77; ნ. მახათაძე, დას. ნაშრ., გვ. 202; თ. ბეგიაშვილი, დას. წერილი, „სახ. განათლება“, I. VIII. 1962; შდრ. А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დას. ნაშრ., გვ. 42.

¹⁸⁸ დიპლომი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, პლ. იოსელიანის არქივი № 5, გვ. 45; იხ. აგრეთვე, Пл. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф., 1866, გვ. 75—76; შდრ. ნ. მახათაძე, დას. ნაშრ., გვ. 202; თ. ბეგიაშვილი, პლატონ იოსელიანი — პედაგოგი და მეცნიერი, გაზ. „სახ. განათლება“, I. VIII. 1962.

¹⁸⁹ ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5; ც. ჩიკვაშვილი, კატალოგი..., გვ. 89, № 125; Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мухеты, Тиф., 1871; ზ. კიჭინაძე, დას. ნაშრ., გვ. 4.

წმ. ანას პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით, წმ. სტანისლავის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით, სხვადასხვა წარჩინების ნიშნებით, ხოლო 1857 წ. სპარსეთის შაჰმა იგი დააჯილდოვა ვარსკვლავიანი ლომისა და მზის მეორე ხარისხის ორდენით¹⁹⁰.

პლ. იოსელიანი გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, 1875 წლის 15 ნოემბერს, თბილისში¹⁹¹. 18 ნოემბერს დაკრძალეს სოლოლაკში მის მიერვე აშენებულ ამაღლების ეკლესიაში¹⁹².

აქვე ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ნინო ისიდორეს ასული იოსელიანი-რუტკოვსკაიას მიერ მოწოდებული პლატონ იოსელიანის საბიოგრაფიო მასალა, რომელიც გამოსაქვეყნებლად თავაზიანად დაგვითმო ლევან გიორგის ძე იოსელიანმა:

«Платон Иоселиани родился в 1809 году в доме по ул. Чахрухадзе № 6, который принадлежал царскому духовному деду Платона — Онисиму¹⁹³.

В последствии Платон и его сестра Мая приобрели на Вознесенской (ныне Давиташвили) улице дома № 1 и № 3. Первый принадлежал Платону, а второй — Мае. Дома общались между собой калиткой в разделяемой стене.

В этом доме же умер 15 ноября 1875 года Платон, который был похоронен в Вознесенской церкви.

¹⁹⁰ ზელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5; თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები..., საბ. № 210.

¹⁹¹ „დროება“, 16. XI. 1875; «Кавказ», 1875, № 134; თ. ტ ა ბ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები..., საბ. № 201.

¹⁹² „დროება“, 26. XI. 1875.

¹⁹³ გადაშლილია და ზემოდან შეცდომით აწერია: Игнатию.

После смерти [Платона], вдова Анна Николаевна Багратиони-Мухранская переселилась в маленькой комнате во дворе, а квартиру сдала доктору Александру Бахуташивили. Впоследствии, продав дом, переселилась в Мцхетский монастырь (женский). В этом доме у Платона был рабочий кабинет и большая библиотека, с которой он никогда не расставался (Дом Платона был одноэтажный и жил только он со своей семьей).

Сведения дала племянница (двоюродная) Нина Исидоровна Иоселиани-Рутковская. 27/IV-52 г.»

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სინამდვილეს არ შეეფერება ჩახრუხადის ქ. № 6-ის სახლზე გაკეთებული მემორიალური დაფის წარწერა, თითქოს 1809—1875 წლებში სიკვდილამდე ამ სახლში ეცხოვროს პლატონ იოსელიანს. ირკვევა, რომ პლატონ იოსელიანს თავისი სიცოცხლის ბოლო წლები გაუტარებია და გარდაცვლილა ამალლების (ახლ. დავითაშვილის) ქ. № 1 სახლში, ხოლო დაუსაფლავებიათ იქვე ახლოს მის მიერვე აგებულ ამალლების ეკლესიაში.

საყურადღებოა ამ ეკლესიის აშენების ისტორია და მისი ბედი. 1847 წელს პლ. იოსელიანის ერთადერთი ვაჟი — ევგენი ქოლერით მიიმე ავად გამხდარა. მამას შვილის სახელზე აღთქმა დაუდგია — ეკლესიას ავაგებო¹⁹⁴. მართლაც, 1851 წლის 12 მარტს პლ. იოსელიანს სოლოლაკში (ახლ. დავითაშვილის ქუჩის გასასვლელი, № 1) დაუწყია ამალლების ეკლესიის მშენებლობა, რომელიც საზეიმოდ უკუთხებიან

¹⁹⁴ იხ. ხელნ. ინსტ., პლ. იოსელიანის არქივი, № 5, გვ. 25; E[пископ] K[ирон], Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, с. 313—314.

1852 წლის 23 ნოემბერს. ეკლესია აშენებული ყოფილა ათენის წმ. გიორგის ეკლესიის (ძველი ეოლის ტაძრის) მოდელის მიხედვით, რომელიც პლ. იოსელიანს 1849 წელს საბერძნეთში მოგზაურობიდან ჩამოუტანია¹⁹⁵.

1898 წელს „ცნობის ფურცელმა“ (№ 439) გამოაქვეყნა ამალღების ეკლესიის მღვდლის დავით ბარნაბიშვილის მოწოდება პლატონის ეკლესიის განახლებისთვის შესაწირავთა გაღების შესახებ, რაც 1899 წელს განხორციელებულა კიდევ (იხ. „ივერია“, 1902, № 123).

პლ. იოსელიანის მიერ სოლოლაკში აგებულმა ამალღების ეკლესიამ ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე მოაღწია. ეს „...პატარა, აგურით ნაგები, შელესილი და თეთრად შეღებილი ეკლესია დავითაშვილის ქუჩის დასაწყისში[ა]. იგი ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა ააშენებინა ბერძენ ხელოსნებს 1851—1852 წლებში“¹⁹⁶. ვახტ. ბერიძის შეფასებით, „რუსულ-ბიზანტიური სტილისაა“... ამალღების ეკლესიაც (ახლანდელ დავითაშვილის ქუჩაზე), მხოლოდ იგი

¹⁹⁵ იხ. «Кавказ», 26. XI. 1852; Кавказский календарь на 1855 год, Тиф., 1854, გვ. 612—615: «Церковь вознесения господня в Сололаках»; დავით დადიანის 1852 წლის 1 მაისის წერილი პლ. იოსელიანისადმი, შიგნში: ი. შ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, სოლ. ცაიშვილის რედ., თბ., 1957, გვ. 293; Епископ Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, გვ. 313—314; მლ. სტ. ბ ა ი დ ო შ ვ ი ლ ი, სოლოლაკის ამალღების ეკლესია ტფილისში, გაზ. „ივერია“, 1902, № 123.

¹⁹⁶ შ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ს. კ ი წ შ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ნ. ჯ ა ნ ბ ე რ ი ძ ე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 1958, გვ. 56.

ნაკლები პრეტენზიითაა ნაშენი და „სტილის“ ნიშნები ნად მკაფიოდ არ ეტყობა. ამ ეკლესიის აგების ინიციატორი იყო ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი¹⁹⁷.

სამწუხაროდ, ეს ეკლესია დღეს უკვე აღარ არსებობს. იგი დაუნგრევიათ ამ 10—12 წლის წინათ, 60-იანი წლების შუა ხანებში¹⁹⁸.

პლ. იოსელიანის ნეშტი დღეს ამალღების ეკლესიიდან დიდუბის პანთეონშია გადასვენებული¹⁹⁹ და საფლავის ქვაც იქ გადაუტანიათ, რომელზედაც ქართულ და რუსულ ენებზე ვკითხულობთ:

„დღისტიციტელნი სტატსკი სოვეტნიკი პლატონ ეგნატის ძე იოსელიანი (!), მიმღები უმაღლესისა განათლებისა, იყო რა წევრად რავდენტამე სამეცნიერო საზოგადოებათა რუსეთისა და ევროპის ქტყყნებისათა, ამან განამდიდრა სამშობლო ქტყყანა თვისი საქართუტლო მრავლითა სხტა და სხტა გტარითა სასარგებლო თხზულებებებითა და დასასრულ 69 წლისამ ჰპოვა საუკუნო სადგური სართულსა ქტყყე ამა მისგანვე აღშენებულსა ამალღების ეკლესიასასა.

Действительный Статский Советник, Платон Игнатьевич Иоселиани получил высшее образование, состоял членом разных ученых обществ в России и Евро-

¹⁹⁷ ვ. ბერძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1804—1917 წწ., II, თბ., 1963, გვ. 28.

¹⁹⁸ ცნობა მომართა და ფოტოები გადმომცა ადგილობრივმა მცხოვრებმა თეოფილე დავლიანიძემ.

¹⁹⁹ И. К. Энаколовашвили, Дидубийский пантеон, Тб. 1957, с. 91—94.

не, обогатил свою родину Грузию многими разнообразными да полезными сочинениями и наконец на 66 году жизни обрел вечный покой под кровом сей им же воздвигнутой Церкви Вознесения».

ახალი თაობის წარმომადგენელმა სერგეი მესხიმ „დროების“ ფურცლებზე გულწრფელი სიტყვებით შეაფასა „კავკასიის თითქმის უძველესი მწიგნობრის“ ღვაწლი, რომელთანაც, როგორც ძველი თაობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელთან, მათ ბევრი ლიტერატურული ბრძოლა გადაიხადეს²⁰⁰, მაგრამ „ქართული ლიტერატურის სიყვარულმა ორი თაობა შეაერთა მიცვალებულის საფლავზე“²⁰¹.


²⁰⁰ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. გაწერელია, დას. ნაშრ. გვ. XXI შმდ.

²⁰¹ ს. მესხი, პლატონ იოსელიანი, „დროება“, 26. X. 1875.

თ ა ვ ი მ ა რ ა ე

პლატონ იოსელიანი — რუსთველოლოგი

პლატონ იოსელიანს რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში უკვე ჰყავდა ისეთი სახელოვანი წინამორბედები, როგორიც იყვნენ ვახტანგ მეექვსე და თეიმურაზ ბაგრატიონი. რაც შეეხება მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილს, მართალია, ისინი თითქმის მასთან ერთად გამოვიდნენ სამეცნიერო ასპარეზზე, მაგრამ მათ, ისე როგორც თეიმურაზ ბაგრატიონს, მაინც საქართველოს საზღვრებს გარეთ მოუხდათ მეცნიერული მოღვაწეობა და პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის დაფუძნება, და, ამდენად, ერთი მთლიანი წინა ეტაპის შექმნა რუსთველოლოგიის ისტორიაში. ნათქვამს თუ იმასაც დაგუმატებთ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801 წ.) შემდეგ რუსმა და ევროპელმა ავტორებმა ვეფხისტყაოსნის სახელი უკვე მსოფლიო კულტურის სარბიელზეც გავრცენეს, ცხადი გახდება, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ახალგაზრდა დამწყებ ქართველ მეცნიერს, რომელსაც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, უშუალოდ თავის სამშობლოში უნდა ემოღვაწნა, სწორედ აქ უნდა გაეგლო მას მეცნიერების ახალი ხნულები, აქ უნდა აეყვანა შემოქმედებითი მუშაობა, კერძოდ, რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება მეცნიერების ახალ მოთხოვნათა დონეზე.



საგულისხმოა, რომ პლატონ იოსელიანი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა სწორედ რუსთველის ეპოქის მწერლობის შესწავლით დაიწყო (1838 წელს პირველად გამოსცა ჩახრუხადისა და შავთელის ოდეზი)¹ და „კავკაზში“ 1870 წელს გამოქვეყნებული ბრწყინვალე რუსთველოლოგიური გამოკვლევით — „შოთა რუსთაველით“ დაამთავრა. „შოთა რუსთაველით“ დაამთავრაო იმიტომ ვამბობთ, რომ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მას სიკვდილამდე (1875 წ.) აღარაფერი დაუწერია.

გ. იმედაშვილის სწორი შეფასებით, „პლატონ იოსელიანი პირველი ქართველი მკვლევარი იყო, რომელმაც მოინდომა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო ლიტერატურის ასპექტით და დაფასება მისი, როგორც მხატვრული მოვლენისა“². მაგრამ ვერ გავიზიარებთ მკვლევრის იქვე გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს პლატონ იოსელიანის „მსჯელობანი უფრო მეტად უსაზღვრო აღტაცებას გამოხატავენ რუსთაველის გენიისადმი, ვიდრე მეცნიერულ დებულებებს და მათ მეცნიერული ფორმა არა აქვთ“.

მიუხედავად, მართლაც, ერთგვარი რიტორიკულობისა, (მაგრამ ეს მისი სტილის თავისებურებაა, რაც არ უნდა აფერიოთ დილექტანტიზმში!), პლატონ იოსელიანის რუსთველო-

¹ ნ. შარი „თამარიანის“ იოსელიანისეულ გამოცემასთან დაკავშირებით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად ხაზგასმით მიუთითებდა: «Все это однако не мешает помнить заслуги П. Иоселиани перед одописцем: он первый издатель непонятого поэта» (იხ. Древнегрузинские одописцы, ТР, IV, СПб., 1902, с. 53).

² გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941, გვ. 40.

ლოგიური მემკვიდრეობა ბევრ მნიშვნელოვან „მეცნიერულ დებულებას“ შეიცავს და მათ არა მხოლოდ თავისი დროის კვალობაზე, არამედ დღესაც არ დაუკარგავთ „მეცნიერული ფორმა“ და ღირებულება. ამაში უნდა დაგვარწმუნოს ამ დებულებათა ანალიზმა, რომელიც ასეთი თანმიმდევრობით დავალაგეთ:

1. შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები
2. ცნობები რუსთველის პორტრეტის შესახებ
3. ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესახებ
4. ცნობები ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დეკნისა და დაწვის შესახებ.
5. ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის გარკვევისა და პოემის იდეურ-მხატვრული შეფასების ცდა.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები განხილულია პლ. იოსელიანის სხვადასხვა ხასიათის შრომებში. ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხზე პლ. იოსელიანს სხვადასხვა შრომაში სხვადასხვა თვალსაზრისი აქვს გატარებული, რომელთა წყაროები ხშირად ჩვენთვის ცნობილია, ან ხერხდება მათი დადგენა, ზოგჯერ კი ძნელდება ამ შეხედულებათა წყაროების დაძებნა და ვეჭვობთ, რომ ოდესმე დაიძებნოს, რადგან ისინი, როგორც ჩანს, უფრო მკვლევრის საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს, ვიდრე რომელიმე პირველწყაროებიდან მომდინარე, ან მასზე დამყარებული მეცნიერული კემარიტება.



სანამ ამ კუთხით უშუალოდ პლ. იოსელიანის შრომები განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ პლ. იოსელიანის ოჯახში გაგონილ ერთ ქართულ ხალხურ თქმულებაზე „შოთა რუსთაველი და თამარ მეფე“, რომელიც 1951 წელს გამოაქვეყნა მ. ალავიძემ³. თქმულებაში შერწყმულია რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის ციკლის ორი გადმოცემა — პოეტის დაბადება-აღზრდა და ცოლის დაღუპვა⁴, აგრეთვე, დათუნა გოცირიძისა და კახაბერ ერისთავის ასულის სიყვარულის ამბავი, რომელსაც უკავშირდება რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“⁵.

აღნიშნული თქმულება ჩაწერილია ექვთიმე ახვლედიანისაგან, რომელსაც იგი გაგონილი ჰქონია 1881 წელს პლ. იოსელიანის ოჯახში, სადაც მას თავისი სიძაბუკის რამდენიმე წელი გაუტარებია⁶. მართალია, ამ დროს პლ. იოსელიანი უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ ექვთიმე ახვლედიანს იგი მოუხსენია პლ. იოსელიანის ოჯახის ძველი მეგობრებისაგან — „ღრმა მოხუცებისაგან“, „ბებერი კაცებისაგან“, რო-

³ მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1951, გვ. 49—52.

⁴ ამ გადმოცემების შესახებ იხ. ი. მეგრელიძე, გადმოცემები რუსთაველის შესახებ, სტალინობი, 1954; ი. მერელიძე, Руставели и фольклор, Тб., 1960; მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1966.

⁵ ეს ლექსი მონოგრაფიულად აქვს განხილული შ. ონიანს: „ექუთენის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, თბ., 1976.

⁶ მ. ალავიძე, დას. ნაშრ., გვ. 138.

მელთაც ეს თქმულება, ალბათ, თვითონ პლატონისთვის ექნებოდათ უთუოდ ნაამბობი მის სიცოცხლეში.

ამაში გვარწმუნებს თქმულების ზოგიერთი ისეთი დეტალი (შოთას მესხური წარმოშობა, საბერძნეთში წასვლა და იქ სწავლა-განათლების მიღება, თამარის კარის მგოსნობა, ბოლოს — ბერად აღკვეცა და იერუსალიმში გარდაცვალება...), რომელიც პლ. იოსელიანს გატარებული აქვს შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ მის მიერ მოწოდებულ ცნობებში (მათ ქვემოთ განვიხილავთ).

ასე რომ, დასახელებული ფოლკლორული ძეგლი შეიძლება პლ. იოსელიანის რუსთველოლოგიური ნააზრევის ერთ-ერთ წყაროდაც იქნეს მიჩნეული. ამიტომ მოგვყავს ეს თქმულება:

„შოთა რუსთაველი და თამარ მეფე“

1881 წელს ჩავედი ქალაქში. მაშინ ასე ოცი-ოცდაორი წლის თუ ვიქნებოდი. თბილისში ერთი ჩემი ნაცნობი მსახურობდა. მეც იმას შევხვდი. ის პლატონ იოსელიანის სახლში იმყოფებოდა. მაშინ პლატონი გარდაცვალებული იყო. ცოლი ცოცხალი ჰყავდა. მას შემდეგ მეც იქ დავიწყე მუშაობა.

პლატონის ოჯახში ბევრი სტუმარი დადიოდა. ერთხელ მოხუცებულები მოვიდნენ. ზოგს ჩინი ჰქონდა. ისინი აივანზე დასხდნენ. ამ ბებერმა კაცებმა დაიწყეს ლაპარაკი, ზოგიერთმა ზეპირად თქვა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები.

ერთმა ღრმა მოხუცმა მეორეს ჰკითხა: ბაბუაჩემი არ გახსოვსო?

— როგორ არ მახსოვსო, ისეთი კაცი მთელ ქართულ
კახეთში არ იყო.

— აბა, მის ნათქვამს დაიჯერებო?

— კიო.

— ჰო, და იმან მითხრაო, — და დაიწყო შოთას ცხოვ-
რების ამბის მოყოლა.

თურმე მესხეთში რუსთავი ჰქვია ერთ სოფელს და შოთა
იქ დაბადებულა. მამამისი ადრე მომკვდარა და შოთა ობოლი
დაუტოვებია. შოთას დედა კარგი შესახედავი ქალი ყოფილა,
მეტად ლამაზი.

მამის მეფედ იყო თამარი. ხელმწიფეს ერთი ტრაპიზონე-
ლი ბერძენი ჰყავდა. ის საქართველოში დადიოდა და ტაძ-
რებს აშენებდა. ეს კაცი რუსთავში შემთხვევით მისულა,
შოთას დედა მოსწონებია. ქვრივიაო, რომ უთქვამთ, გახარე-
ბია და ცოლად შეურთავს. ამის შემდეგ შოთას დედა და შო-
თაც ტრაპიზონში წაუყვანია. შოთას დედას იქ შეძლებული
სამთილო დახვდა. მამინაცვალმა შოთას შვილივით მოუარა.
ის სასწავლებელში შეიყვანა. შოთა ყველას აკვირვებდა თა-
ვისი ნიჭით. ლექსებსაც წერდა.

გავიდა ხანი. შოთამ დაამთავრა უმაღლესი სკოლა.

შემდეგ შოთას დედაც და მამინაცვალიც დახოცილან.
შოთა ცოტა ხანს იქ დარჩა. მერე დატოვა.

საქართველოში რომ მოვიდა, ყველას მოეწონა თავისი
ვაჟკაცური წარმოსადგობითა და თვალადობით, ამასთან, რო-
გორც განათლებული კაცი.

შოთას ვინაობა რომ თამარ მეფემ გაიგო, სასახლემო



მიიწვია და სიხარულით მიიღო. თამარს ცნობილი მგოსნებ^{გარეუნივერსიტეტის} ჰყავდა. იმათ უთხრა შოთას შესახებ: თქვენთან იყოსო.

შოთა იქ შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ წერას. დღე და ღამე სულ იმაზე ფიქრობდა და მუშაობდა. ოცი წელიწადი წერდა და რომ დაამთავრა, ინახავდა, არავის უჩენდა.

გამარჯვებული მეფე, შამქორის ომი რომ გადაიხადა, დაიძრა დიდი ამალით და ესტუმრა რაჭის ერისთავს ბარაკონში.

კახაბერ ერისთავი თამარის გამზრდელი იყო. მას ერთადერთი ულამაზესი ასული ჰყავდა.

სასახლეში იმყოფებოდა აზნაური დათუნა გოცირიძე. დათუნა ციხისთავი იყო, ბრძოლაში გამოცდილი, მკლავმარჯვე, მის ხმალს ძნელად გაუმაგრდებოდა რამე.

კახაბერის შვილსა და დათუნა გოცირიძეს უყვარდათ ერთმანეთი. ამას ამჩნევდა დედა. კახაბერს კი ვერავინ უმხელდა.

თამარი ორივეს კარგად იცნობდა. გაეგო მათი სიყვარულიც. თამარმა ამ ქალ-ვაჟის შეუღლება ინება. მეფეს მათი ბედი გადაწყვეტილი ჰქონდა.

სტუმრები ბარაკონის სასახლეში მიიღეს. თამარს ახლდნენ წარჩინებული კარისკაცები. შევიდნენ დარბაზში და სუფრას მიუსხდნენ. გაჩაღდა ლხინი. ითქვა სიტყვები. შეასრულეს ფერხული და სიმღერები. ჩამოვარდა სიჩუმე. გაისმა თამარის ხმა:

— სახელოვანო მწიგნობრებო! გთხოვთ, გვამცნოთ, რა უფრო ღირებულია ამ ქვეყნად: სიმდიდრე, ბრწყინვალე გვარი, თუ პირადი ღირსებანი — ცოდნა და სიმამაცე?

ყველა გააკვირვა ამ შეკითხვამ.

სარგის თმოგველმა, იოანე შავთელმა და გრიგოლ ჩან-
რუხაძემ არ დააფასეს პირადი ღირსებანი და ქება-დიდება
შეასხეს ბრწყინვალე გვარს.

— მიმინო არწივს ვერ შესწვდებო — ყმა დიდ გვა-
რიშვილს ვერ გაუტოლდებო, — ამტკიცებდნენ.

თამარს მათი პასუხი არ მოეწონა, სახეზე წყენა გამოე-
ხატა.

მისი გული გაახარა შოთას ნათქვამმა:

ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა.

თქვა ეს შოთამ, დაიჩოქა თამარის წინაშე და ემთხვია
მის ხელს.

გულთამეცარივით მიხვდა და ის თქვა, რასაც თამარი
ფიქრობდა. კაცადკაცი — ამაგმოსილი, ნიჭიერი და ზრდი-
ლი — ძვირად ფასობსო, ვინც კაცია, მას ბედნიერება ეკუ-
თვნისო.

კახაბერი განზრახვას მიუხვდა და შეევედრა თამარს:

— ძლიერო ხელმწიფევ! შემიწყალე, დამიხსენი იმ სირ-
ცხვილისაგან, ყბადასალებად ნუ გამიმეტებ, ჩემს ციხისთავს
სიძედ ნუ გამიხდიო!

თამარს შეეცოდა მამობილი. აიღო საწერ-კალამი და და-
თუნა გოცირიძეს თავადის წოდება უბოძა. კახაბერმა მადლო-
ბა გამოუცხადა და დიდი ქორწილი გამართა. თამარი თავისი
ამალით დაბრუნდა ქართლში.

ის ლექსი, ბარაკონს რომ თქვა, შოთას „ვეფხისტყაოსანი“ სანში“ ჰქონდა დაწერილი. აქ მან კაცობა გვარიშვილობაზე მალა დააყენა. ასეთი ლექსები კიდევ ბევრი ყოფილა „ვეფხისტყაოსანში“. ამიტომ იყო, რომ შოთა ვერ ბედავდა მის გამოჩენას. ახლა, რაკი თამარმა მოუწონა, შოთაც ადგა და აბრეშუმის ფეშტემალში გამოხვეული „ვეფხისტყაოსანი“ მიაართვა წასაკითხად.

თამარიც კითხულობდა, უფრო და უფრო დაინტერესდა. პოემამ ალტაცებაში მოიყვანა. კითხვა რომ დაამთავრა, შოთა დაიბარა და მიმართა: სპარსული წიგნი ბევრი წამიკითხავს, მაგრამ ამას არც ერთი არ ჰგავსო, მითხარი, თავს გაფიცებ, ვინ დაწერა ესო?

შოთამ თქვა, მე შევადგინეო.

მაშინ მიუახლოვდა თამარი, დასწვდა და ეამბორა მის ფართო შუბლს. უთხრა: ეს წიგნი უკვდავი ქმნილებაა. იგი ჩვენს სამშობლოს დაამშვენებს, ქართველ ხალხს ეროვნულ თავმოყვარეობას გაუძლიერებს, კაცობრიობის თვალში აამაღლებსო.

თამარმა შოთა უპირველეს პოეტად მიიჩნია. სასახლეში დიდ ადგილზე დააყენა, მოლარეთუხუცესად დანიშნა. თამარმა უბრძანა და შოთამაც წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“ გამოჩენილ კარისკაცთა შორის. ბოლოს წადიმი გაუმართეს.

ყველა აღფრთოვანებული იყო. შოთას აქებდნენ. შეუდარებელ მგოსნად აცხადებდნენ. ამის შემდეგ კიდევ უფრო გადიდდა შოთას სახელი და მზის ნათელივით მოეფინა მთელ ქვეყანას.

შოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარდა. ის ყველას სიამაყე

და იმედი იყო. შოთამ ეს იცოდა და თავს ბედნიერად თვლიდა. შოთაზე უკეთესს არავის ხედავდნენ, მასზე მაღლა არავის აყენებდნენ.

მხოლოდ ცოლმა, უახლოესმა და ერთადერთმა, ვერ იცნო ქმარი. იმან თავისი ურჯულო მოსამსახურე შეიყვარა. ცოლის ღალატი შოთას დაანახა ქალმა, რომელიც უცხო მამაკაცის ტანსაცმელში გამოეცხადა. ამ ასულს პოეტი სიჭაბუკიდანვე უყვარდა. ბედმა ისინი არ შეაუღლა.

შოთამ ხანჯალი ჩასცა მკერდში მას. იცნო და ტანჯვა მოემატა.

გავიდა რამდენიმე დღე. შოთამ გამართა ნადიმი. მოიწვია თამარი და დიდებულები. მერე მარულა მოაწყვეს.

ყველა მოედანზე იყო. გამოვიდა შოთა თავისი არაბულით. შეუდგნენ ჯირითს. შოთამ ყველა ცხენოსანს გაუსწრო, გაიმარჯვა. შოთას აღიდებდნენ და სიამამაცეს უწონებდნენ.

პოეტი მიუახლოვდა მეფეს, მოკრძალებით დადგა მის წინაშე და ჰკითხა: — ჩემნაირ კაცს რომ ცოლმა უღალატოს, ქალს რა ეკუთვნისო?

თამარმა უპასუხა: — ცოლი არ არის ქმრის ღირსი და ქმარს უფლება აქვს სხვა აირჩიოსო.

— ამ კაცმა რომ მოკლას ის ადამიანი, ვინც უჩვენა მას თავისი ცოლის ღალატი, დამნაშავე იქნება თუ არაო?

— მოკლული სიკვდილის ღირსია, მკვლელი კი ბერად უნდა აღიკვეცოს და ცოდვა მოინანიოსო.

მოისმინა შოთამ მეფის სიტყვა და მიმართა ხალხს: რაც ვთქვი, მე გადამხდაო. ამან გამცვალა ამაზეო (მიათითა ცოლს და მერე მოსამსახურეს), შეხტა არაბულზე, ჰკრა ქუსლი და

გადაიკარგა. შოთა წავიდა იერუსალიმში. თავი შეაფარა ნანტერს, დიდხანს იცოცხლა და იქ გარდაიცვალა⁷.

აქვე, უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს ი. სლივიცკის მიერ 1853 წ. „კავკაზში“ გამოქვეყნებულ „თქმულებას შოთა რუსთაველზე“, რომელშიაც აგრეთვე გადმოცემულია თამარისადმი პოეტის უიღბლო სიყვარულის, ცოლის ღალატისა და რუსთაველის უცხო მხარეში გადახვეწა-გარდაცვალების ამბავი. პლ. იოსელიანს, როგორც „კავკაზის“ ახლო თანამშრომელსა და მის მუდმივ მკითხველს, ი. სლივიცკის ჩაწერილი ეს თქმულება უეჭველად ეცოდინებოდა⁸.

ამასთან დაკავშირებით, ნახევრადფოლკლორულ ცნობად უნდა მივიჩნიოთ პლ. იოსელიანის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწერილი წიგნის ერთი ასეთი ადგილი: „მანვე [პლატონ იოსელიანმა] შეიძინა კახეთში, ჯორჯაძიანთ ოჯახში, შოთა რუსთაველის ცხოვრება, ხელნაწერი, ძველათ დაწერილი, ვისგან. ეს ჩვენ არ ვიცით. კახეთიდან წამოიღო, იქ უთხრა, რომ დავბეჭდავო, მაგრამ მან ქართულს ენაზე არაფერი დაბეჭდა; რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდა შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ (იგულისხმე: Пл. Иоселиани, Шота Руставели, «Кавказ», 30. I. 1870, № 13, — გ.

⁷ მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951, გვ. 49—52; აქედან გადაბეჭდილია სრულად: მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1966, გვ. 141—144; ნაწილობრივ: შ. ო ნ ი ა ნ ი, ეკუთვნის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსის შემოკრბეს“ თბ., 1976, გვ. 89—91.

⁸ И. Сливичкий, Предание о Шота Руставели, «Кавказ», 17. I. 1853, № 4; მიგვიითა ნ. მახათაძემ.

შ.)... ნეტა თვით დედანი დაებეჭდა მას და სხვა არაფერ...
რადგანაც ეს იშვიათი დედანიც მის ხელში დაიკარგა და მოის-
პო. სირცხვილი არ არის, ძველ ბარბაროსულ საუკუნოებში
ეს ძვირფასი ცნობები არ დაიკარგა, მეცხრამეტე საუკუნემდე
მოაღწია, იგი ჩვენმა მეისტორიემ მოიპოვა და ბოლოს ეს იშ-
ვიათი მასალა ერთ ქართველ ბატონიშვილს მიჰყიდა; ეს მიჰყი-
და იმ ქართველ ბატონიშვილს, რომელსაც მიჰყიდა მთელი თა-
ვისი ძველი წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა... ეს ძველი წიგ-
ნები ვინც იყიდა, ისიც ისეთი უსულხორცო კაცი იყო, რომ იმან
ყველა ესენი თან წაიღო, სამზღვარგარეთ გაიტანა, 1876 წლებ-
ში იქ მოკვდა და მთელი ეს ბიბლიოთეკაც იქ განიავდა და
დაიკარგა“⁹.

ამასვე წერდა ზ. ჭიჭინაძე უფრო ადრე (1891 წ.) დავით
ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო „ივერიის“ რედაქციი-
სადმი გაგზავნილ წერილში: „იქვე [დ. ჩუბინაშვილის
არქივში. — გ. შ.] უნდა იყოს... ძველად შედგენილი შოთა
რუსთველის ცხოვრება, რომელიც ჯორჯაძიანთ კახეთის
ოჯახიდგან პ. იოსელიანს წამოუღია, რომ დავაბეჭდვინებო,
მაგრამ ვერ დაუბეჭდია და ბოლოს ესეც გაყიდულს წიგნებს
გაჰყოლია“ („ივერია“, 21. VI. 1891, № 129).

ყველა ნიშნით, ზ. ჭიჭინაძე ორივეგან უნდა გულისხმობ-
დეს 1881 წლის 6 იანვარს გაზეთ „დროებაში“ (№ 3) გამო-
ქვეყნებულ გიორგი ჯორჯაძის მეუღლის ეკატერინე ათანასეს
ასულ მაცაშვილის „ცნობას რუსთაველზედ“, რომელსაც აქ
მთლიანად მოვიტანთ:

⁹ ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, პლატონ იოსელიანი, 1893, გვ. 21—22.

„ეს ფრიად საინტერესო ცნობა რუსთაველზედ მიღებულია თ. გიორგი ჯორჯაძის მეუღლის ეკატერინესაგან, თ. ათანასე მაყაშვილის ასულისაგან. თვითონ მკითხველი მიხვდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამგვარ ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენ დიდებულ პოეტზედ და ამიტომ პირდაპირ მოგვყავს ქ-ნი ეკატერინეს წერილიდამ ის ადგილები, რომელიც ამ საგანს შეეხება:

„ორმოც-და-თვრამეტში (ე. ი. 1858 წელს — გ. შ.) ვიპოვე მამიჩემის წიგნებში ერთი რვეული, რომლიდანაც გადმოვწერე შემდეგი:

„გრემის ქალაქსა შინა იზრდებოდნენ ყმაწვილები, სადაცა იყო დიდი პალატი. იმათა ჰყვანდათ ათინიდამ ოთხი ბერი, ყოველთ სიბრძნით განვითარებულნი. სწავლობდა სამასი ყმაწვილი. ამ სამას ყმაწვილში აღიზარდა რუსთაველი და ორბელიშვილი. რუსთაველი მოიყვანა თავისმა ბიძამ თორმეტი წლისა, ორბელიშვილი თერთმეტისა“.

„ერთმა ბერმა საკუთრათ დაუწყო ზრდა ორბელიშვილს, რუსთაველს და ორიც იმათთან იყო სხვა ყმაწვილი“.

„ამათ შეისწავლეს ყოველი სიბრძნე. თექვსმეტი წლისა იყო, გადაიყვანეს იყალთოს ხეთაების პალატში“.

„თვით იმავე ბერმა წაიყვანა ეს ოთხი ყმაწვილი ათინაში“.

„ოც-და-ორის წლისა დაბრუნდა გამოჩენილი სწავლით. არა ნაკლებ იყო რუსთაველზედ ორბელისშვილი სიბრძნით და სწავლით, გულოვნებით და მშვენნიერებით სჯობნიდა ორბელისშვილი“.

ამაზედ მეტი იმ რვეულში ვერა ეპოვნა-რა, ან რა წელს მოხდა იმათი ათინაში წაყვანა, და როგორც ახსოვს ქ-ნს ეკა-

ტერინას დედას (ელენეს, ათანასის ქვრივს) პლატონ ლიანის წიგნი მოსვლოდა იმათ მამას ათანასეს, რომელშიაც ეთხოვნა ის რვეული, როგორც სასარგებლო წიგნი საქართველოს ისტორიისათვის, და შემოეთვალა, რომ ბატონისშვილს გაუგზავნის, დააბეჭდინებს და აღარ დაიკარგებაო. ამ თხოვნისაებრ მაშინათვე გაეგზავნა ეს რვეული პლატონისათვის, და მას შემდეგ რა იქნა, ვის ხელში ჩავარდა ის წიგნი, კაცმა არ იცის“.

თუ ეს ცნობები სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ისე გამოდის, რომ „შოთა რუსთველის ცხოვრების შემცველი რვეული“ პლ. იოსელიანს „ჯორჯიანთ ოჯახიდან კი არ წამოუღია“, როგორც ამას ზ. ჭიჭინაძე წერდა, არამედ იგი ათანასე მაყაშვილის საკუთრება ყოფილა და სწორედ მაყაშვილებს გაუგზავნიათ იგი პლატონისათვის გამოსაქვეყნებლად. ასე იყო თუ ისე, ერთი ფაქტია, რომ ამ „რვეულში“ დადასტურებული შოთა რუსთველის „ათინაში სწავლის“ ამბავით პლატონს უსარგებლია: «О Шота Руставели известно только то, что он учился в Афинах», — წერდა იგი (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ).

შოთა რუსთველის დაბადების თარიღად პლ. იოსელიანი, არ ვიცით, რა წყაროზე დაყრდნობით, უჩვენებს 1174 წელს¹⁰, ხოლო გარდაცვალების თარიღად, ერთ შემთხვევა-

¹⁰ Пл. Иоселиани, Шота Руставели, «Кавказ», 1870, №13, с. 2 (ქვემოთ: «Кавказ», 1870, № 13). არსებობს მისი ცალკე გამოცემა ამონაბეჭდის სახით: Тиф., 1870.

ში, 1212 წელს უთითებს¹¹, მეორეგან — 1215 წელს: „შოთა რუსთაველი ჰსცხოვრებდა დედოფლისა თამარისა ეამსა: მონოზონად აღკუტცილი, გარდაიცუალა იერუსალიმსა | 1215 წელსა“¹².

პოეტის სახელი შოთა პლ. იოსელიანს უძველეს ქართულ, წინაქრისტიანულ ე. ი. წარმართულ სახელად მიაჩნია: «Название Шоты — есть чисто грузинское, весьма древнее, довременное истории, и как само племя грузинское. Этого имени нет в святцах христианских»¹³. ამ შემთხვევაში პლ. იოსელიანი მთლიანად იზიარებს მისი მასწავლებლის თეიმურაზ ბაგრატიონის მოსაზრებას: „შოტთა ანუ შოთა დიად ძტმლი სახელი არის ქართული... ესე სახელი დაშთა შემდგომად კერპთმსახურებისაცა ივერიელთა შორის“¹⁴. ოღონდ, რა დაირქვა პოეტმა იერუსალიმში ბერად აღკვეცის შემდეგ, ეს ჩვენთვის უცნობი დარჩაო — შენიშნავს პლ. იოსელიანი (იქვე).

რას ნიშნავს ზედწოდება პოეტისა „რუსთაველი“ (ანტონ I-ის გავლენით პლ. იოსელიანი ამ ფორმას ხმარობს) და სადაური იყო იგი? ადრე (1866 წ.) პლ. იოსელიანი ამ კითხვას ასე პასუხობდა: «Рустави есть город, находившийся на юг от Тифлиса, где в древности была кафедра епископа Руставского, и от куда был родом величай-

¹¹ Пл. Иоселиани, Шота Руставели...

¹² წყობილ-სიტყუაობა, ქმნილი ანტონისაგან პირტმლისა, თფილისს, 1853, სქ. 161.

¹³ «Кавказ», 1870, № 13, გვ. 2.

¹⁴ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 91—92.

ში პოეტ გრუზინსკი რუსთაველი»¹⁵. აქაც პლ. იოსელიანი მაშინ უყოყმანოდ იღვა თეიმურაზ ბაგრატიონის თვალსაზრისით, რომელმაც, პირველად რუსთაველილოგიის ისტორიაში, ტრადიციული შეხედულებისაგან განსხვავებით, შოთას სამშობლოდ მესხეთის რუსთავის ნაცვლად, თბილისთან ახლო მდებარე ე. წ. პეტრეთის რუსთავი, იგივე ბოსტან-ქალაქი გამოაცხადა¹⁶. შემდეგ (1870 წ.) პლ. იოსელიანმა ეტყობა, ამ საკითხზე შეხედულება შეიცვალა: იგი ცდილობს პოეტის სადაურობის შესახებ ე. წ. ტრადიციული და თეიმურაზ ბაგრატიონისეული თვალსაზრისის შერიგებას: პლ. იოსელიანის აზრით, შოთა წარმოშობით იყო მესხი (მოსოხი), ოღონდ არა თანამედროვე მესხეთიდან, ახალციხის მხრიდან (ახალციხის მხარეში არ არის არც ქალაქი, არც სოფელი, არც ადგილი რუსთავი რომ ერქვასო! — ეტყობა, მისთვის უცნობი დარჩა ახალციხე-ასპინძის გზაზე, ახალციხიდან ოცი-ოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელი რუსთავი!) არამედ კლასიკური, ბიბლიური მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული მხრიდან — მცხეთა // მესხეთ არმაზისციხიდან¹⁷.

¹⁵ Пл. Носселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф., 1866, გვ. 36, სქ. 30.

¹⁶ გ. შარაძე, დას. ნაშრ., გვ. 92—97.

¹⁷ ამ ისტორიული ტოპონიმისა და ეთნიკური ტერმინის შესახებ იხ. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 256; მისივე, ისტორიული საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიიდან, იქვე, გვ. 260; მისივე, პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები, იქვე, გვ. 261—270; კ. შერეთელი, ეთნიკური ტერმინის „მესხის“ ისტორიისათვის, „საქ. მეცნ. აკადემიის შრომები“, 1954, ტ. 15, № 2.

კ. წერეთლის ცნობით (იხ. დას. ნაშრ.), დორნის შრომაზე მითითებით მსგავსი მოსაზრება დადასტურებული აქვს გეზენიუსს (Hebr. Handwort., Lpz., 1905, გვ. 424). ჩვენი ვარაუდით, პლ. იოსელიანისთვისაც ამოსავალი შეიძლება აკად. ბ. ა. დორნის შრომა იყოს. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი კი მას შეერქვა თბილისთან ახლო მდებარე ბოსტან-ქალაქის, იგივე ქართველ მეფეთა საზამთრო რეზიდენციის რუსთავის სახელიდან, რადგან აქ უმღეროდა იგი თამარ მეფეს თავის ლექსებსო. ამასთან ერთად, პლ. იოსელიანი გვთავაზობს ისტორიულ ცნობებს ბოსტან-ქალაქის // რუსთავის შესახებ, სადაც იგი, ზოგიერთი ახალი მომენტის დართვით, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს თეიმურაზ ბაგრატიონს¹⁸. მოგვყავს ეს ადგილი მთლიანად:

«Неизвестно и то, к какому семейству и роду принадлежал поэт. Название Руставели дано ему от места его рождения. Где же Рустави? В Ахалцихской области — положительно отвечает предисловие к русскому изданию 1840 года «Барсовой кожи»¹⁹. Но в этой

¹⁸ შდრ. თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, სპბ, გვ. 284; მისივე, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გამედაშვილის რედ., თბ., 1960, გვ. 5, 287—288, 291—292; იხ. გ. შარაძე, დას. ნაშრ., გვ. 92—94.

¹⁹ იგულისხმება ვეფხისტყაოსნის 1841 წლის(სპბ) გამოცემისთვის ბროსეს დართული ლექს-ანდერძის შემდეგი სტრიქონები:

„შოთა იშვა სამესხეთოს დაბასა შინა ქებული,
მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგან იყო გებული“

(გვ. 223).

ამ ლექსის ავტორობის თაობაზე იხ. ლ. ქუთათელაძე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაზე დართული ანდერძისათვის, „მაცნე“, 1970, № 5.



области нет ни города, ни села, ни места, известных под именем Рустави.

Рустави — есть название древняго города грузинского царства, известного и древности под именем **Бостан-калаки**. Царь Тирдат (около 459 г.) построил в нем великолепную церковь. Царь Вахтанг (в 480 г.) сделал его кафедральною, поставив епископа под титулом руставского. В это же время прорыт тот знаменитый канал от р. Куры, который, дав новое название городу, и проходя город, орошал всю нынешнюю караязскую степь. Город этот имел обширное население под именем 9 племен, кочевавших летом в знойные месяцы, южнаго здесь лета. Он существовал до царя Давида V. При нем монгольский полководец Берка разорил его в 1260 году и кафедра епископа с названием Руставскаго, перенесена в Марткопи, под сень святого одною из сирийских отцев, Антония Марткопскаго.

Здесь в этом городе зимняго временнаго пребывания царей жил и пел песни славной царице. Место его песнопений сохранил ему месхицу имя и прозвание Руставского или Руставели.

И так Руставели — певец царицы Тамары, был родом месх (мосох) из того племени котораго название древнее времен библейских, эпохи вещаний пророков, звучит в классической Мцхете или Месхете Страбона, Птоломея, Плиния и др., с ея крепостью Армастика (Армазисцихе), которой название уцелело в искаженном народном названии ущелья и речки **Алмасис-цкали** и **Алмасис хеви**.

Царь Ираклий I в 1670 году возстановил там дворец, который разломал царь Вахтанг VI в 1718 году, возобновив канал древний для остатка населения та-

тар от времени Чингиса. При географе Вахуште место это именовалось городищем под названием Нагеби (ნაგებო). Шах-Надир в 1730 году выселил в Персию это малое население. Место опустело. Малая башня у начала или истока древняго канала, под татарским названием Ришкала почти однозначащаго с грузинским словом Рустави, как Лотов столп, служит печальным памятником славнаго прошедшего, певца, его прославившаго и до наших дней, до усилии, возсоздать его к пользе современной»²⁰.

პლ. იოსელიანი ნდობით ეკიდება ხალხურ გადმოცემას რუსთველის საბერძნეთში წასვლისა და იქ (ათენში, როდოსზე), აგრეთვე, იერუსალიმში სწავლა-განათლების მიღების შესახებ (ეს დასტურდება პლ. იოსელიანის ოჯახში გაგონილი თქმულებიდანაც, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ), რომ რუსთველს სკოდნია მრავალი უცხო ენა (სპარსული, არაბული, ბერძნული) და რომ ის ყოფილა თამარის სამეფო კარის უპირველესი მინისტრი — მეჭურჭლეთუხუცესი. ეს უკანასკნელი ე. წ. ტრადიციული შეხედულება შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობაზე მეცნიერებაში პირველად განამტკიცა თეიმურაზ ბაგრატიონმა²¹. პლ. იოსელიანი ამ შემთხვევაშიც უყოყმანოდ იზიარებს მას:

«О Шоте Руставели известно только то, что он учился в Афинах, знал язык персидский и был казно-

²⁰ «Кавказ», 1870, № 13, с. 2.

²¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებებიდან ივერიისა..., გვ. 284; მისივე, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 5, 291; მისივე, წიგნთსაცავის კატალოგი, ს. იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1948, გვ. 38; ამის შესახებ, იხ. გ. შარაძე, დას. ნაშრ., გვ. 97—98.

хранителем царицы Тамары. Поэма его доказывает знакомство его и с тем и другим языком. Нет сомнения, что он знал и арабский язык, в его время сильно распространенный на востоке, единственный язык для наук, которая нашли убежище при дворе халифов. Нет сомнения и в том, что Руставели мог учиться упавшему греческому языку и в Афинах, распадавшихся для наук: и в Родосе, в котором только в эту эпоху процветали науки по системе неоплатоников, и в монастырях — афинском (!), олимпийском (улумбийском в устах и под пером грузинских писателей) и в Иерусалиме, где явились обители, строенные грузинскими царями и куда тысячами направлялись грузины и до, и после крестовых походов. Так и по сказанию современных европейских писателей»²².

როგორც ვიცით, შეხედულება შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობაზე დღესაც ძლიერად იკაფავს გზას რუსთველოლოგიაში და იგი უკვე თითქმის საექვოც აღარ არის²³. ალ. ბარამიძის სიტყვებით, „ახლა სავსებით სარწმუნოა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობა“²⁴.

ცალკე უნდა გამოვყოთ პლ. იოსელიანის ცნობები შოთა რუსთველის იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწეობის, იქ გარდაცვალებისა და დასაფლავების შესახებ.

²² «Кавказ», 1870, № 13, გვ. 2.

²³ დაწერილებით ამის შესახებ იხ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 39—44; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 105—107.

²⁴ ალ. ბარამიძე, დას. ნაშრ., გვ. 44.

პირველად ამ საკითხს პლ. იოსელიანი შეეხო თ. ჯანაშიას „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორიაში“, რომელიც მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მოამზადა, საბოლოოდ დაასრულა თბილისში 1835 წელს (როგორც ეს წინასიტყვაობიდან ჩანს), ხოლო 1843 წელს გამოიცა ორჯერ პეტერბურგში (ჩვენ ხელთ ვეჭონდა მეორე გამოცემა, 1843 წ.)²⁵. ამ შრომაში პლ. იოსელიანი სპეციალურ — VII თავს უთმობს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს და მისი აშენების ისტორიას, კერძოდ კი, საუბრობს თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესის, ვეფხისტყაოსნის ავტორის — შოთა რუსთველის დეაწლზე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის განახლებისა და მოხატვის საქმეში, აგრეთვე, გვამცნობს მისი ფრესკული გამოსახულების შესახებაც:

«Около половины XI века Шавтельский уроженец монах, по имени Прохор отправился в Иерусалим и вступил здесь в лавру Св. Саввы. Заботясь о поддержании и украшении еще прежде построенного в Иерусалиме монастыря Св. Креста (Монастырь в Иерусалиме во имя честного и животворящего креста первоначально построен от Иверского царя Татиана, жившего в V веке...), царь Грузии Баграт Куропалат снабдил Прохора достаточною суммою для возобновления упомянутого монастыря. Сия обитель, долгое время служившая поклонникам приходившим в Иерусалим из Грузии пристанищем, в последствии пришла в упадок. По вет-

²⁵ სხვათა შორის, პლ. იოსელიანის აღნიშნული შრომა არ შესულა გ. იმედაშვილის მიერ შედგენილ „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში“ (1712-1956 წწ.)“, თბ., 1957, რის გამოც მას აქამდე არ ითვალისწინებდნენ.

хости, колонны под куполом храма мѣднѣ стырскаго сделались ненадежны, и они были возобновлены и расписаны Шотоу Руставелем, казнохранителем царицы Тамари, известным по сочиненной им поэме: Барсова кожа. Он сам изображен там в виде старца»²⁶.

პლ. იოსელიანის მიერ შოთა რუსთველის შესახებ აქ მოწოდებული ცნობის წყაროდ ძნელი არ უნდა იყოს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ შეცნობა. იგი სიტყვასიტყვითი თარგმანია ტ. გაბაშვილის შემდეგი სიტყვებისა: „ჯვარისმონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს — მეჭურჭლეთუხუცესს — თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“²⁷. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტ. გაბაშვილის ეს ცნობა პლ. იოსელიანს პეტერბურგში სწავლის დროს შეეძლო ამოეკითხა „მიმოსვლის“ თეიმურაზ ბაგრატიონისეული ნუსხიდან (დღევანდელი ლენ. E-31).

ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, 1852 წელს პლ. იოსელიანმა განახორციელა ტ. გაბაშვილის „მიმოსვლის“ პირველი ბეჭდური გამოცემა, რომელშიაც ტ. გაბაშვილის ზემოთ მოტანილ ცნობას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „არა ვუწყი არისაა დღესცა სახე ესე შოთა რუსთაველისა იერუსალიმს“²⁸.

²⁶ Пл. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, издание второе, СПб., 1843, с. 81.

²⁷ ტ ი მ თ ე გა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის რედ. თბ., 1956, გვ. 80.

²⁸ მოხილტა... ტიმოთესაგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, თფილისს, 1852, გვ. 154, შწმ. 91.

როგორც ჩანს, პლ. იოსელიანისთვის უცნობი დარჩენილია 1845 წელს ნიკო ჩუბინაშვილის იერუსალიმში მგზავრობისა და მის მიერ ჯვრას მონასტრის კედლიდან შოთა რუსთველის ფრესკის გადმოხატვის ფაქტი²⁹. შოთა რუსთველის იერუსალიმური ფრესკული გამოსახულება ამის შემდეგ სხვადასხვა დროს ნახეს ბ. ბარკალიამ, ალ. ცაგარელმა და სხვ., ხოლო უკანასკნელად 1960 წელს სამეცნიერო ექსპედიციამ ა. შანიძის, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის შემადგენლობით იერუსალიმიდან ჩამოიტანა რუსთველის აღნიშნული გამოსახულების ფერადი ფოტორეპროდუქცია³⁰.

1853 წელს ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემაში პლ. იოსელიანი კვლავ შეეხო ამ საკითხს, ოღონდ აქ მან დაამატა ცნობა რუსთველის იერუსალიმში ბერად აღკვეცისა და იქ გარდაცვალების შესახებ: „შოთა რუსთველი ჰსცხოვრებდა დედოფლისა თამარისა ეამსა; მონოზონად აღკუჭცილი, გარდაიცუტალა იერუსალიმსა 1215 წელსა. შრო-

²⁹ Н. Ч у б и н а ш в и л и, Описание Крестного монастыря близ Иерусалима..., წიგნში: А. А. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, СПб., 1894, с. 44—47; იხ. აგრეთვე, ხელნ. ინსტ., А-1767, გვ. 162.

³⁰ დაწერილებით იხ. ი. ა ბ ა შ ი ძ ე, ა. შ ა ნ ი ძ ე, გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, შოთა რუსთველი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, გაზ. „კომუნისტო“, 22. 11. 1960; ი. ა ბ ა შ ი ძ ე, პალესტინის დღიური, თბ., 1961 აღ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 7—31; Т. Б. В и р с а л а д з е, Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973.

მა მისი მაღალი და ბრწყინვალე, რომლითაცა აღიდა ენა ქვეყნის
თული, არის „ვეფხვს-ტყაოსანი“³¹.

უკანასკნელად, 1870 წელს „კავკაზში“ გამოქვეყნებულ „შოთა რუსთაველში“ პლ. იოსელიანმა ვრცლად განიხილა ჩვენთვის საინტერესო საკითხი, კვლავ გაიმეორა იერუსალიმში ხანდაზმულობის დროს შოთა რუსთაველის ბერად აღკვეცის ხალხური გადმოცემებიდან მომდინარე ამბავი, ოღონდ ამის მიზეზად მას შოთას არა ოჯახური ტრაგედია (როგორც ამას ხალხური გადმოცემები გვისახავს), არამედ საერთოდ პოეტის ღრმა რელიგიური, კერძოდ, ქრისტიანული განწყობილებანი და მიდრეკილებები მიაჩნია: «Для поэта тесен мир. Он парит к высшим миром, к бесконечности. Такого требование духа человеческого, неограничиваемого пространством и временем. От идеала земной красоты, им воспеваемой, он парил к идеалу небесной красоты; от идеала земной любви — возвышался он к идеалу любви небесной; истина земная вела его ум высокий к истинам небесным; чувства и ощущения сердечныя указывали ему на мир высших ощущений; счастье земное предполагало спокойствие безоблачное... Руставели певец царицы Тамары, был настроения духовного. Он доказал это остатками жизни своей, посвященной монашеству, слезам и покаянию у подножия Голгсфы в Иерусалиме». ამასთან ერთად პლა-

³¹ წყობილ-სიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირტმლისა, თფილისს, 1853, შგშ. 161.

ტონმა ზოგი ისეთი ცნობაც მოიტანა, რომელიც მანამდე არც ერთ ნაშრომში არ ჰქონია:

«Тимофей митрополит грузинский в XVII (I) (უნდა იყოს: XVIII გ.შ.) веке видел в Иерусалиме, в церкви св. креста, строенной грузинскими царями, и могилу его [Шота Руставели], и портрет его на стене храма в власянице подвижника... В Иерусалиме, единственном убежище идеалов, окончил он жизнь, и воспарил к небесам»³².

საიდან გაჩნდა ეს ახალი ცნობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველის საფლავის არსებობის შესახებ? ნუთუ ტიმოთე გაბაშვილთან მართლა დასტურდება იგი? მაგრამ „მიმოსვლის“ დღემდე ცნობილი არც ერთი ავტოგრაფული ან კიდევ მათგან მომდინარე ხელნაწერ³³, და მათ შორის არც პლ. იოსელიანის მიერ 1852 წელს გამოცემული ტექსტი არ იცნობს მას. ახლა უკვე გამორკვეულია, რომ ხალხური გადმოცემის საფუძველზე ცნობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველის — მეჭურჭლეთუხუცესის და საფლავების შესახებ ტიმოთე გაბაშვილს რუსთველოლოგიის ისტორიაში პირველად მიაწერა თეიმურაზ ბაგრატიონმა³⁴, ხოლო მისი ავტორიტეტის წყალობით, შეუმოწმებლად გაი-

³² «Кавказ», 1870, № 13, გვ. 3.

³³ იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956.

³⁴ გ. შარაძე, ტიმოთე გაბაშვილისთვის მიწერილი ერთი რუსთველოლოგიური ცნობის წყარო, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 86—93; მსივე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 97—105.



მეორეს მისმა მოწაფეებმა — ჯერ მარი ბროსემ³⁵ და დავით ჩუბინაშვილმა³⁶, ბოლოს, როგორც ვნახეთ, პლატონ იოსელიანმაც.

მიუხედავად ამ, და ზოგიერთი სხვა ფაქტობრივი უზუსტობისა, შოთა რუსთველის ბიოგრაფიის მთავარი მომენტების წარმოდგენისას პლ. იოსელიანი, ძირითადად მაინც, სწორ მეცნიერულ პოზიციებზე დგას.

ცნობები რუსთველის პორტრეტის შესახებ

პლატონ იოსელიანი იცნობდა შოთა რუსთველის ორ ძველ ავტენტურ პორტრეტს — ე. წ. თეკლასეული „ვეფხისტყაოსნის“ კუთვნილ მინიატურულ და იერუსალიმურ (ჯვრის მონასტრის) ფრესკულ გამოსახულებებს.

ეს უკანასკნელი მან იცოდა ტ. გაბაშვილის „მომოსვლიდან“: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეჭურჭლეთ უხუცეს [ს]. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“. ამ ცნობაზე დამყარებით პლ. იოსელიანი წერდა: «Он сам изо-

³⁵ მ. ბროსე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, სპბ., გვ. XI; M. Brosset, Notice littéraire..., Journ. Asiatique, Paris, 1834, გვ. 157; შდრ. M. Brosset, Additions..., SPb., 1851, გვ. 199.

³⁶ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრისტომატია, II, სპბ., 1846, გვ. III—IV; Д. Чубинов, О грузинской поэме Вепхис-Ткаосани или Барсова кожа, ЖМНП, 1842, № 8; შდრ. დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრისტომატია, I, სპბ., 1846, გვ. 149—153.



ბრაჟენ там в виде старца»¹, ხოლო თავის კომენტარში ვიანებით შენიშნავდა: „არა ვუწყი არისაა დღესცა სახე ესე შოთა რუსთაველისა იერუსალიმს“². როგორც ვთქვით, ტ. გაბაშვილის შემდეგ შოთა რუსთაველის იერუსალიმური ფრესკული გამოსახულება 1845 წელს ინახულა ნ. ჩუბინაშვილმა, ხოლო უკანასკნელად — 1960 წელს მისი ფერადი ფოტორეპროდუქცია ადგილზე გადაიღო და საქართველოში ჩამოიტანა ექსპედაციამ ი. აბაშიძის, გ. წერეთლისა და ა. შანიძის შემადგენლობით.

უფრო საყურადღებო და საინტერესო ისტორია აქვს პლ. იოსელიანის ცნობას შოთა რუსთაველის მინიატურული პორტრეტის შესახებ, რომელიც ერთ დროს ეკუთვნოდა თეკლა ბატონიშვილისეულ ვეფხისტყაოსანს.

პირველი ცნობა გრაფ ე. შტაკელბერგისა ამ პორტრეტის შესახებ და XIX ს. ცნობილი რუსი მხატვრის გრ. გაგარინის მიერ გადმოღებული მისი ასლი გამოქვეყნდა 1847 წელს, პარიზში³, ხოლო საქართველოში ყოფნის დროს გრ. გაგარინთან პლ. იოსელიანის ნაცნობობა და თანამშრომლობა საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტია⁴.

ამის შემდეგ, 1852 წელს, ამავე პორტრეტსა და ხელნაწერზე პლ. იოსელიანი თავის ერთ გამოცემაში შენიშნავდა:

¹ Пл. Иоселиани, Краткая история груз. церкви, СПб. 1843, с. 81.

² მოხილტა..., თფ., 1852, გვ. 154, შწმ. 91.

³ Le Caucase pittoresque..., Paris, 1847, ტაბ. XI.

⁴ ზ. ანტონოვი, ტივით მოგზაურობა ლეტერატორთა, ტფ., 1854; აგრეთვე, „ივერია“, 1899; № 266; პლ. იოსელიანი, ცხოვრება..., გვ. 83; ა. გაჭერელია, დას. ნაშრ., გვ. XVIII—XIX.

„აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქტუნდა ძტმ-
 ლად ნაწერი ვეფხვს-ტყაოსანი სახით ანუ პორტრეტითურთ
 თუთ რუსთაველისა. ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილ-
 ბაშთა წესით. ესე წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს
 მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე კელითა აქა
 ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის ფლერისა საფრანგეთის
 ქალაქსა პარიჟს, რათა გარდაბეჭდონ იგი მრავალრიცხვად
 ეკზემპლარებად ხრომო-ლიტოლრაფიით“⁵.

უკანასკნელად 1870 წ. ამ ცნობის გამეორებებს, პლ. იო-
 სელიანი დასძენდა: «...Мудрый правитель [М. С. Ворон-
 цов]... велел скопировать портрет народного гения, как
 гения науки — всемирного достояния, он передал порт-
 рет этот находившемуся в то время в Тифлисе ученому
 французу Флери для издания в Париже. Открывшаяся
 война помешала исполнению желания светлейшего кня-
 зя. Имевшийся же у меня экземпляр того же портрета,
 в прошлом году доставил в Москву светлейшему князю
 Д. Б. Грузинскому, собирателю и просвещенному обере-
 гателю редкостей и древностей отечества его и его царст-
 венных предков»⁶. ეს იყო და ეს!

1872 წელს პეტერბურგში გამოშვებულ «Илл. газета»-ში
 (№ 28, 20. VII) Н. Б.-ს ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილი
 «Грузинская литература и ея представители до XVIII сто-
 летия», რომელსაც თან ახლდა პორტრეტი „შოთა რუსთავე-

⁵ მოხილტა..., 1852, გვ. 154, შწმ. 91.

⁶ Пл. Иоселиани, Шота Руставели, «Кавказ», 1870, № 13.

ლი“ (წარწერა შესრულებული იყო დამახინჯებული ქართული ასომთავრულით, აგრეთვე, მხედრულითა და რუსული ასოებით). იმოწმებდა რა პლ. იოსელიანის ზემოთ მოყვანილ ცნობას, Н. Б. შენიშნავდა: «...и портрет Руставели до сих пор не был издан. Имевшийся у Платона Иосселиани экземпляр того же портрета доставлен был им в Москву князю Д. Б. Грузинскому... С этого портрета снят был в Москве фотографический снимок, копия с которого вырезана на прилагаемом рисунке».

Н. Б.-ს ამ წერილზე დამყარებით, უკანასკნელ ხანს ზოგიერთმა (ბ. კანდელაკი, ლ. ჭრელაშვილი) სცადა მისი შოთა რუსთველის უცნობ პორტრეტად გამოცხადება⁷, მაგრამ, როგორც უკვე გამოვარკვიეთ, «Илл. газета»-ში Н. Б.-ს, იგივე ნიკოლოზ ბოჩაროვის (და არა ნიკოლოზ ბერძენოვის, როგორც ეს ადრე ეგონათ) მიერ გამოქვეყნებული ე. წ. შოთა რუსთველის პორტრეტი ნაყალბევია და სინამდვილეში იგი წარმოადგენს ნინოწმინდის XVIII ს. სიგელიდან გადმოღებულ შაჰ-ჰუსეინის პორტრეტს და ამდენად არავითარი კავშირი არა აქვს

⁷ Б. К а н д е л а к и, Загадка портрета Руставели, «Заря Востока», I. IV. 1973, № 77; ლ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველის მეოთხე პორტრეტი, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია) 1977, № 1, გვ. 151—175; ამ წერილების შესახებ იხ. С. Ц а й ш в и л и, Разгадка портрета Руставели, «Заря Востока», 15. IV. 1973; გ. შ ა რ ა ძ ე, პოეტის თუ შაჰის პორტრეტი, ე. „საბჭოთა ხელოვნება“, 1974, № II, გვ. 68—71; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველის იკონოგრაფიის ერთი საკითხისათვის, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1977, № 1, გვ. 176—190.

პლ. იოსელიანის მიერ მოხსენიებული თეკლასეული ვეფხისტყაოსნის კუთვნილ შოთა რუსთველის ავთენტურ მინიატურულ გამოსახულებასთან⁸. ეს დასკვნა გაიზიარა „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიამაც⁹.

რაც შეეხება პლ. იოსელიანის მიერ არაერთგზის მითითებულ შოთა რუსთველის ავთენტურ პორტრეტს, რომელიც მოთავსებული იყო თეკლასეულ ვეფხისტყაოსანში, იგი ხელნაწერისგან ცალკე აღმოჩნდა 1922 წელს და დღეს ინახება საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში (საგანდ. განყ. ქ. № 1148)¹⁰.

ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებსა და თარგმანებზე

პლატონ იოსელიანს ეკუთვნის უნიკალური ცნობები ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერთა შესახებ.

თავდაპირველად გვინდა შევჩერდეთ პლ. იოსელიანის ყველაზე ადრინდელ ცნობაზე პოემის ერთი ნუსხის გამო, რომელსაც დღემდე რუსთველოლოგიაში არ ექცეოდა სათა-

⁸ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, ისევ ე. წ. რუსთველის უცნობი პორტრეტის გამო, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1977, № 2, გვ. 128—143.

⁹ იქვე, გვ. 144.

¹⁰ დაწვრილებით ამ პორტრეტისა და ხელნაწერის აღმოჩენის შესახებ იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის გარშემო, „მაცნე“, 1970, № 4—5; გადაბეჭდილია მცსსავე წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 3—40.

ნადო ყურადღება. საქმე ეხება შოპენისეულ ვეფხისტყაოსანს.

1838 წლის 6 ოქტომბერს პლ. იოსელიანი წერდა მ. ბროსეს: „შეგრენს აცნობეთ, რომელ წიგნსა „ვეფხისტყაოსანსა“, რომელიცა აქტს ყორღანოვსა, მიცემულსა უფ. შოპენისაგან, მალე გამოუფგზავნი მე შეგრენს, რათა გარდაჰსცევა იგი ანუ პატრონისად, ანუ იპურას თვით. შოპენ ვკვონებ ახლა იყოს პეტერბურღს“¹.

აქ მოხსენიებული შეგრენი გახლავთ პეტერბურღის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია მიხეილის ძე შეგრენი (1794—1855), ცნობილი ენათმეცნიერი — კავკასიოლოგი, კერძოდ, ოსური ენის მკვლევარი², ხოლო უფალი შოპენი კი — ივანე ივანეს ძე შოპენი (1798—1870), ფრანგი ისტორიკოსი, რომელიც რუსეთში 1825 წელს ჩამოვიდა სამუშაოდ, ერთხანს ცხოვრობდა კავკასიაში და სწავლობდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიას³.

როგორც წერილიდან ჩანს, ი. ი. შოპენს კავკასიაში ყოფნის დროს (ყოველ შემთხვევაში, 1838 წლამდე, ე. ი. ამ წერილის დაწერამდე) შეუძენია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი „წიგნი“ და „მიუტია“ (უნდა ვივარაუდოთ, უთხოვებია გადასაწერად) ვინმე ყორღანოვისათვის, ხოლო პლ. იოსელიანს აღუთქვამს მ. ბროსესთვის, რომ ამ ხელნაწერს აუცილებლად

¹ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 8.

² იქვე; იხ. აგრეთვე, ა. ფოცხიშვილი, ჩვენი კულტურის მეგობარი (ქართული მასალები აკადემიკოს ა. შეგრენის არქივში), „კომუნისტი“, 23. VI. 1971, № 142.

³ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 8.



გადაუგზავნიდა პეტერბურგში აკად. ა. შეგრენს, რომელსაც შეუძლია „გარდასცეს იგი ანუ პატრონისად (ე. ი. შოპენს, გ. შ.), რომელიც ახლა შეიძლება იყოს პეტერბურგში, ანდა, თვითონ დიტივოსო („ანუ იპყრას თვით“).

ჩვენ არ ვიცით, საბოლოოდ პლ. იოსელიანმა მართლა გამოართვა ამ ვინმე ყორღანოვს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი და გადაუგზავნა თუ არა იგი პეტერბურგში, შეგრენს ან შოპენს. ყოველ შემთხვევაში, დღეს საქართველოში დარჩენილ და 1838 წლამდე გადაწერილ პოემას ნუსხათა შორის არის რამდენიმე ხელნაწერი, რომლის მფლობელი სხვადასხვა ყორღანოვი ჩანს, კერძოდ, მიხაკ ყორღანოვი (Q-279, გადაწ. 1826 წ.) და მოსესა ყორღანოვი (S-4997, გადაწ. 1837 წ.), ხოლო სიმონ ყორღანოვის მიერ გადაწერილი ხელნაწერი (S-3442) თარიღდება 1849—1850 წლებით⁴, და ამიტომ უნდა გამოვიტყოს ამთვან. მაშასადამე, უნდა დავუშვათ, რომ ე. წ. შოპენისეული ვეფხისტყაოსანი პლ. იოსელიანმა ან გაუგზავნა თავის პატრონს და მისი კვ.ლი დაიკარგა, ანდა ყორღანოვთან დარჩა და ის არის ერთი რომელიმე დღემდე მოღწეული ყორღანოვისეული (Q-279, S-4997) ნუსხათაგანი, ან კიდევ S-4997 წარმოადგენს ე. წ. შოპენისეული ვეფხისტყაოსნიდან 1837 წელს მოსესა ყორღანოვის მიერ გადმოწერილ ასლს.

ამას გარდა, პლ. იოსელიანსვე ეკუთვნის საკმაოდ გახმაურებული ცნობები ვეფხისტყაოსნის სამი უძველესი ხელნა-

⁴ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 82—84, 145.

წერის შესახებ. 1870 წელს «Кавказ»-ში იგი აუწყებდა მკითხველებს:

«Я видел три древние списка, писанные лучшими каллиграфами.

Самый древний на пергаменте, но не полный, в полулист, был в руках имеретинского князя полковника Григория Церетели. Он был писан крупными круглыми буквами гражданского письма. Рамки страниц были разрисованы красными чернилами. Четыре оконечности этой рамки красовались фигурами, фризванными в восточном затейловом вкусе. Полагаю, что рукопись писана для царя или царственной особы.

Второй экземпляр на лощеной бумаге, принадлежавший царю Александру (1443), видел я у дворянина Николая Елиозова, древний род которого всегда был служебным при дворе католикосов-патриархов, грузинских, большею частью происходивших из царского дома.

Третий экземпляр с надписью принадлежности его царю Вахтангу Шах-Наозу (в 1678 г.) находился в руках царевны Феклы Ираклиевны, скончавшейся в 1846 году. Рукопись эта писана очень красиво, но с ошибками правописания по местам. По ней, с той же орфографией, явилось издание 1712 года. Она вся раскрашена или иллюстрирована картинами сцен поэмы, в виде политипажных изданий. Эти картины писаны грубо, без теней, по системе персидской живописи. Фронтиспис украшен портретом Руставели в costume персидском с сохранением частью и типа древняго грузинскаго костюма. Рукопись эта была доставлена мною великому князю М. С. Воронцову. Он велел скопировать портрет народнаго гения, как гения науки всемирнаго достояния, и передал портрет этот находившемуся в то время



ვ თიფლისე უცხოელ ფრანგულს ფლერი დია იჯანიანი ვ 1870 წელს რუსეთს
 რიჟე. ოცხვრეული ვაიენა იმეხილი იქონილი ჯელა-
 ნიი სუთლეიში კნიჟი. იმეხილი ჯე უ მენი ექსემ-
 პლარი თოი ჯე პორტრეტი ვ შრომილი დოდილი ი ვ
 მოსკოვი სუთლეიში კნიჟი დ. ბ. გურიანი, სობირა-
 თელი ი პროსუთენილი ობერეგატილი რედკოსთი ი დრუნი-
 თი ოცხოვრეილი ი ი კარსთენილი პრედკოვი»⁵.

განვიხილოთ ეს ცნობები თანმიმდევრობით.

პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული ვეფხისტყაოსნის
 სამი უძველესი ნუსხიდან ყველაზე ძველი, ნაკლები ხელნა-
 წერი, რომელიც ეკუთვნოდა იმერელ თავადს პოლკოვნიკ
 გრიგოლ წერეთელს, ნაწერი ყოფილა ნახევარი ფურცლის
 ზომის ეტრატზე, მსხვილი მრგვალი მხედრული ასოებით.
 გვერდების ჩარჩოები მოუხატავთ სინგურით, ჩარჩოს ოთხივე
 კუთხეს ამშვენებდა აღმოსავლური გემოვნებით შესრულებუ-
 ლი რთულორნამენტიანი ფიგურებიო. ხელნაწერის ასეთი
 მდიდრული მორთულობა პლ. იოსელიანს აფიქრებინებდა,
 რომ თავის დროს იგი დაუმზადებიათ მეფისთვის ან ვინმე
 მეფის გვარეულობის პირისთვისო.

ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია უკვდავი პოემის ხელნა-
 წერთა ისტორიაში, ყველამ კარგად იცის, შედარებით რა გვი-
 ანდელი (XVII—XVIII სს.) ხანის ხელნაწერებს მოუღწევიათ
 ჩვენამდე. ამიტომ განუზომლად დიდი იყო ინტერესი პლ.
 იოსელიანის აღნიშნული ცნობისადმი ვეფხისტყაოსნის უძ-
 ველესი ეტრატოვანი ნუსხის შესახებ, მით უმეტეს, რომ

⁵ პლ. იოსელიანი, შოთა რუსთაველი, «Кавказ», 1870, № 13, с. 3.

დღემდე ცნობილი პოემის ყველა ხელნაწერი ქალაღდზეა დაწერილი.

უკანასკნელ ხანს თავის მოგონებებში ე. თაყაიშვილმა პოემის გრიგოლ წერეთლისეული ეტრატოვანი ხელნაწერი (პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული) გააიგავა ნესტორ და პელაგია წერეთლისეულ (S-5006) ნუსხასთან: „ჩემი აზრით, ეს ის ხელნაწერია, რომელსაც პლ. იოსელიანი აღნიშნავს. როგორც წერეთლის კუთვნილებას და შეცდომით ამბობს, ეტრატზეა ნაწერიო, — ... ნამდვილად კი ბომბიციანაზე იყო დაწერილი, მაგრამ ისე ჰგავდა ტყავს, რომ თავის დროზე, როგორც ვთქვი, პლ. იოსელიანმაც კი ეტრატად მიიჩნია“⁶.

ე. თაყაიშვილის ეს მოსაზრება პირველად 1958 წელს დაიბეჭდა, მაგრამ ა. შანიძეს ოცი წლით ადრე, 1937 წელს აღნიშნული ჰქონდა შემდეგი: „ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ყოფილა ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის სიტყვით („კავკაზ“, 1870, № 13) ორი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერი თავისი სიძველის მხრით. ერთი XV საუკუნისა, ქალაღდზე, მეორე კი იმაზე უძველესი, თანაც ეტრატზე, თუმცა კი უთარღლო და ნაკლული, მაგრამ აღნიშნული ხელნაწერების კვალი ამჟამად არსად ჩანს“⁷.

ე. თაყაიშვილის მოგონებების შემდეგ გამოქვეყნდა ა. შანიძის კიდევ რამდენიმე ახალი ნარკვევებ, რომლებშიაც ავ-

⁶ ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 164; მისივე, რჩეული ნაშრომები, I, 1968, გვ. 312, 314.

⁷ ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937, გვ. 388.

⁸ ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, „ლიტ. გაზეთი“,

ტორი ე. თაყაიშვილს, მართალია, პირდაპირ არ ეკამათებოდა, მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი პლ. იოსელიანის ცნობას სანდოდ მიიჩნევს:

„ძველ ხელნაწერთაგან ბევრია ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის XVII საუკუნეზე ადრინდელი. ამიტომ დიდი მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით არ ჩანს ორი უძველესი ხელნაწერი, რომელთა შესახებ ცნობები მოეპოვება ცნობილ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს, რომელმაც 1870 წლის გაზეთ „კავკაზში“ (№ 13) მშვენიერი წერილი დაბეჭდა შოთა რუსთაველის შესახებ და შიგ სხვათა შორის სამი ძველი „ვეფხისტყაოსანი“ ნიშანდობლივ დაასახელა... [ამათგან] ერთი კარგად ცნობილია დღესაც. ეს არის მესამე ხელნაწერი, რომელიც მისთვის გადაუციათ მ. ს. ვორონცოვისთვის მისართმევად. ეს ხელნაწერი, მართლაც, აღმოჩნდა მ. ს. ვორონცოვის არქივში... ამიტომ არ შეიძლება არ ვენდოთ ფრიად განათლებულსა და ცნობილ მეცნიერს, რომელსაც თანამედროვენი ფილოსოფოსს ეძახდნენ, როცა ის ორ სხვა ძველ ხელნაწერს ასახელებს და აგვიწერს კიდევ. ეს ხელნაწერები მის დროს ყოფილა, მაგრამ ამჟამად არ ჩანს. საკითხავია: რა მოუვიდათ მათ? თუ დაიღუპა, როდის და რა ვითარებაში? მე იმედი მაქვს, რომ

4. V. 1962 (№ 19); მისივე, დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, № 10, გვ. 116—126; № 11, გვ. 131—145; А. Ш а и н д з е, Первопечатное издание поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре»: сб. а. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი, II, თბ., 1966, გვ. 269—273; აქვეა გადმობეჭდილი მისი წინა ნარკვევები, გვ. 58—65, 214—246.



ეს ორი ხელნაწერი არ არის დაღუპული, სადაც არის და მიკვლევა უნდა. შეიძლება პატრონებმა გაყიდეს და ხელნაწერებმა სადმე ევროპაში ან ამერიკაში ამოყვეს თავი. საჭიროა მათი მოძებნა, მათი ტექსტის შესწავლა და გამოქვეყნება. ეს აუცილებელია უკვდავი პოემის ტექსტის დასადგენად, რომელიც ეგოდენ შერყენილია უფიცი გადამწერლები-საგან. ამას მოითხოვს ქართული კულტურის ინტერესები“⁹.

გრიგოლ და ნესტორ წერეთლისეულ ვეფხისტყაოსნის ნუსხათა გაიგივებას რომ მყარი საფუძველი არა აქვს, შენიშნული ჰქონდა ს. ცაიშვილს შემდეგი ოთხი საბუთის მიხედვით: „პირველი — [ნესტორ და პელაგია წერეთლისეული] ხელნაწერი [დღევანდელი S—5006] გასანთლულ ქალაღღზეა ნაწერი, ზოლო პლ. იოსელიანი [გრიგოლ წერეთლისეული ვეფხისტყაოსნის] მასალად პერგამენტს ასახელებს.. მეორე — მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოლკოვნიკ გრ. წერეთლის ხელნაწერი მსხვილი, მრგვალი მხედრულით ყოფილა შესრულებული. მესამე — S—5006 ხელნაწერს არ გააჩნია არშიების მოხატულობა, ზოლო პლ. იოსელიანის აღწერილ ხელნაწერს კი არშიები აღმოსავლური გემოვნებით ჰქონია მოხატული. მეოთხე და ყველაზე უმთავრესი საბუთი კი ის არის, რომ S—5006 ხელნაწერში არის მოთავსებული 90-მდე სრულიად უნიკალური მინიატურა, რომელიც საერთოდ გამოირჩევა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შორის. უეჭველია, ასეთ თავისებურებებს პლ. იოსელიანი არ გამოტოვებდა. ყოველივე

⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი, II, თბ., 1966, გვ. 64—65; იხ. აგრეთვე, 214, 272—273.



ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული პოლკოვნიკ გრ. წერეთლის ხელნაწერი და პედაგოგის გია წერეთლის კუთვნილი S—5006 სხვადასხვა ნუსხებია. ამდენად, კვლავ საძიებელია პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული ნუსხა¹⁰.

ჩვენი მხრით, ამ საბუთიანობას დაეუმატებლით ახალ საბუთსაც: პლ. იოსელიანის ცნობით, გრიგოლ წერეთლისეული ხელნაწერი ნაკლული ყოფილა, ხოლო S—5006-ს არა თუ პოემის ტექსტი, არამედ მისი გვიანდელი გაგრძელებანიც უნაკლოდ შემოუნახავს.

მიუხედავად ამისა, ე. თაყაიშვილის ავტორიტეტმა მაინც თავისი გავლენა იქონია გარკვეულ სამეცნიერო წრეებზე და არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ერთგვარად შენეულა კიდევ ინტერესი ამ თითქოსდა ძველი, მეტად საინტერესო ხელნაწერის ბედისადმი.

ამიტომ ჩვენ მოგვიხდა პლ. იოსელიანის ცნობის ერთხელ კიდევ შემოწმება¹¹. პირველ რიგში, დავადგინეთ გრიგოლ წერეთლის ვინაობა, აგრეთვე რა ნათესაური კავშირი არსებობდა ეტრატოვანი ვეფხისტყაოსნის მფლობელ გრიგოლ წერეთელსა და S—5006 ხელნაწერის მფლობელ ნესტორ წერეთელს შორის.

¹⁰ ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე, წიგნში: „ლიტერატურული წერილები“, თბ., 1966, გვ.109; მისივე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 17—19.

¹¹ დაწვრილებით იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის გრიგოლ წერეთლისეული ხელნაწერის გამო, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 52—65.



გამოიჩვენა, რომ ეტრატოვანი ვეფხისტყაოსნის მელოდრამული ყოფილა საჩხერელი დიდი თავადის, სახლთუხუცეს (შედეგში — გენერალ-მაიორ) ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის ვაჟი — გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი. იგი დაბადებულა 1789 წელს. 1810 წელს მონაწილეობა მიუღია რუსეთის მიერ სოლომონ II-ის ქუთაისიდან ახალციხეს განდევნაში. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროს საქართველოში მომხდარი თითქმის ყველა — 1819 წლის იმერეთის, 1824 წლის აფხაზეთის, 1841 წლის გურიის აჯანყების ჩახშობის აქტიურ მონაწილედ სწორედ გრიგოლ წერეთელი ჩანს, რის გამოც რუსეთის მთავრობას მისთვის წყალობა არ დაუკლავა და უკანასკნელად, 1838 წლის 26 თებერვალს პოლკოვნიკობაც უბოძებია. გრიგოლ წერეთელს ცოლად ჰყოლია ელისაბედ დადიანის ასული, რომელთანაც სამი ვაჟი შესძენია. ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი მისი შვილიშვილი ყოფილა. გრიგოლ წერეთელი გარდაცვლილა 1843 წლის 20 დეკემბერს.

გრიგოლ წერეთელი ძველი ქართული ხელნაწერებისა და წიგნების დიდი მოტრფიალე იყო და, აკაკი წერეთლის მოწმობით, მან თავისი დროისთვის „ქვირფასი ბიბლიოთეკა შეადგინა“¹², რომელშიც, აკაკის ცნობების მიხედვით, გარდა საგვარეულო წიგნებისა, იოანე ბატონიშვილის, დადიანების, გურიელების, ზაქარია არქიმანდრიტისა და ივანე აბაშიძის კოლექციების და სხვათა ნაქონი წიგნებიც ყოფილა.

გრიგოლ წერეთელს რომ პლატონ იოსელიანი კარგად

¹² „დროება“, 1871, № 28.



იცნობდა, ცხადად მოწმობს პლ. იოსელიანის არქივში გვხვდებოდა
 ლენილი გრიგოლ წერეთლის 1821 წელს პოდპოლკოვნიკად
 გახდომის ოფიციალური, მთავარმართებელ ერმოლოვის ხელ-
 მოწერილი დედან-დოკუმენტი (დაცულია თბილისში, საჯარო
 ბაბლიოთეკაში. ასე რომ, გრიგოლ წერეთელი სხვა ვინმეში
 პლ. იოსელიანს ადვილად არ აერეოდა. პლ. იოსელიანს მის
 ხელში ვეფხისტყაოსნის ეტრატოვანი ნუსხა შეიძლება
 ენახა არა უადრეს 1838 წლისა (სანამ გრიგოლ წერეთელი
 პოლკოვნიკი გახდებოდა) და არა უგვიანეს 1843 წლისა (რო-
 დესაც გრიგოლი გარდაიცვალა), ე. ი. 1838—1843 წლებში.
 უფრო ზუსტად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო
 1841 წლის ზაფხულში, როდესაც პლ. იოსელიანმა ქართული
 სიძველეების შესწავლის მიზნით იმოგზაურა იმერეთში¹³.

მაშასადამე, 1870 წლის იანვარში, როცა პლ. იოსელი-
 ანს წერილი დაიწერა (დუშეთში — 7 იანვარს) და დაიბეჭდა
 კიდევ („კავკაზში“ 30 იანვარს, № 13), ეს ხელნაწერი პლა-
 ტონს 30 წლის წინათ ექნებოდა ნანახი და შეიძლება ეს აღ-
 წერილობაც ზეპირი ხასიათისაა, თუ ამ სახის ჩანაწერი მას
 ადრე არ ჰქონდა გაკეთებულა.

რაც შეეხება S—5006 ხელნაწერს, როგორც გამოირკვა,
 მისი მფლობელი ნესტორ წერეთელი, მართალია, გრიგოლ
 წერეთლის პირდაპირი შთამომავალი იყო და მემკვიდრეობად
 პაპის უმდიდრესი ბიბლიოთეკას ნაწილიც რგებია, მაგრამ
 აღმოჩნდა, რომ ვეფხისტყაოსნის აღნიშნული (S—5006)
 ხელნაწერი ადრე ქაიხოსრო გურიელის საკუთრება ყოფილა

¹³ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 31.

და მზითვად მოუტანია ნესტორ წერეთლის ოჯახში ცოლს — პელაგია ქაიხოსროს ასულ გურიელს. ასე რომ, უკვე აღარავითარი საფუძველი აღარ არსებობს გრიგოლ და ნესტორ წერეთლების ნაქონი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა გაიგივებისათვის. მაშასადამე, პლ. იოსელიანის ცნობა ვეფხისტყაოსნის გრიგოლ წერეთლისეული უძველესი ეტრატოვანი ნუსხის შესახებ ნდობის ღირსია და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება კვლავ უნდა გაგრძელდეს¹⁴.

ახლა ნიკოლოზ ელიოზიშვილისეული (XV ს.) ვეფხისტყაოსნის შესახებ.

პლ. იოსელიანის ნანახი ვეფხისტყაოსნის ელიოზიშვილისეული ნუსხის პოვნით ჯერ კიდევ იონა მეუნარგია დაინტერესებულა. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის (მომავალი 1888 წლის) რედაქციის სახელით გაზეთ „დროებაში“ 1881 წლის 16 ივნისს (№ 123) გამოქვეყნებულ ქრონიკაში „რე-

¹⁴ ამ მიზანს ემსახურებოდა 1972 წლის 19 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილი „ქვირფას ხელნაწერს რომ მივაგნოთ“ (გადაიბეჭდა გაზ. „საშობლოში“, 20. VII. 1972). მივიღე გამოხმაურებანი, მათ შორის, პარიზიდან შემატყობინეს გრიგოლ წერეთლის ერთი შთამომავლის მისამართი ქ. მოსკოვში. მაშინვე მე და ს. ცაიშვილი გავემგზავრეთ მოსკოვს, ვინახულეთ წერეთლის ქალიც (ამ დროს მოსკოვში მყოფი დ. მუსხელიშვილიც თან გვახლდა), მაგრამ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერისა, სამწუხაროდ, არაფერი იცოდა. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მან ცოტა უნდობლად მიგვიღო და არც საოჯახო ბიბლიოთეკისა და არქივის გაცნობა დაგვანება (ანგარიში მოხსენდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებას 1972 წლის 17 ოქტომბერს, ოქმი



დაქციის საქმეთა მწარმოებელი“ იონა მეუნარგია მიმართვე
 და მკითხველს:

„... რედაქცია სთხოვს აზნაურის ნიკოლოზ ელიოზოვის და პოლკოვნიკის გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეთა აცნობონ „დროების“ რედაქციას, რა იქნა ის ძვირფასი ხელნაწერი ეგზემპლიარები ვეფხის-ტყაოსნისა, რომლებიც განსვენებულს პლატონ იოსელიანს უნახავს იმათ ხელში. ერთი ამ წიგნთაგანი (ელიოზოვისა), პლატონის სიტყვებით, ყოფილა საკუთრება მეფე ალექსანდრესი (1443) და მეორე — ამაზე უძველესი. ორივე ხელნაწერი რედაქციისათვის ძვირფასი შეძენილობა იქნება და უმორჩილესათ ვთხოვთ ყველას, ნაცნობს თუ მემკვიდრეებს, ზემო აღნიშნულის ადრესით შეგვატყობინონ, თუ სად არის ეს წიგნები“.

მაგრამ, ეტყობა, ი. მეუნარგიას ამ თხოვნას მაშინ არავითარი შედეგი არ გამოუღია.

ვეფხისტყაოსნის დაწერის 750 წლისთავისთვის მზადებას წინასაიუბილეო ღღებებში კვლავ დადგა პოემის უძველესი ნუსხების, მათ შორის, ელიოზიშვილისეული (ერთ დროს ალექსანდრე დიდის (1412—1443) ნაქონი) ხელნაწერის მოძიების საკითხი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა სულ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული აკაკი შანიძის 1935 წლის 16 მარტის წერილი, მიწერილი ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის კოტე ელიოზიშვილისადმი (1874—1954), რომელიც მაშინ გორში ცხოვრობდა:

„დიდად პატივცემულო ბატონო კოტე! ცნობილი ისტორიკოსი პლ. იოსელიანი ერთ თავის წერილში შოთა რუსთაველის შესახებ წერს („კავკაზ“, 1870 წ., № 13), რომ მას



უნახავს აზნაურ ნიკოლოზ ელიოზიშვილისას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელიც ჰუთუნებია ალექსანდრე მეფეს (1443 წ.); ეს ხელნაწერი ჭერჭერობით ცნობილი არაა. პლატონი არ ამბობს, როდის ნახა მან ასეთი ხელნაწერი და სახელდობრ სად, ქალაქში თუ სოფელში და სხვ. რადგანაც ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემების გარშემო, ამიტომ ძალიან საჭიროა აღნიშნული ხელნაწერის გამოძებნა. თქვენ ხომ არ იცით, ვინ იყოს ის ნიკოლოზ ელიოზიშვილი, სად ცხოვრობდა, ვინ დარჩა მემკვიდრეებად, ვის უნდა პრეგებოდა აღნიშნული ხელნაწერი მემკვიდრეობით (ვაჟს თუ ქალს), არიან თუ არა ახლა სადმე მისი პირდაპირი ჩამომავალნი და სხვ. ერთი სიტყვით, საჭიროა გამოირკვეს, თუ სად არის ის ხელნაწერი, რომელიც უთუოდ ძალიან საინტერესო იქნება. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ XV საუკუნიდან მოყოლებული ხელნაწერმა XIX საუკუნემდე მოაღწია, ისე რომ პლ. იოსელიანმა ნახა, პლატონის შემდეგ არ დაიღუპებოდა. ალბათ, იგი დღესაც არის სადმე და უნდა მოვნახოთ. კარგი იქნება ამ მხრივ თქვენი დახმარება. მარად თქვენი პატივისმცემელი ა. შანიძე“¹⁵.

20 დღე მოუნდომებია კ. ელიოზიშვილს მეცნიერის დავალების შესასრულებლად, მაგრამ უშედეგოდ, რის გამოც შეწუხებული ატყობინებდა:

„დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი! ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი დაგიგვიანეთ, მაგრამ ამას თავისი გასამართლე-

¹⁵ ი. ს რ ე ს ე ლ ი, კოტე ელიოზიშვილი, თბ., 1976, გვ. 30—31.

ბელი საბუთი ჰქონდა. მე თვითონ ნიკოლოზ ელიოზიშვილი არ გამიგონია, მაგრამ თქვენი დავალების სერიოზულობა მხრძულეზა არ დავკმაყოფილებულიყავი მარტო ასეთი პასუხით და ჩვენ მხარეში, ელიოზიშვილის საგვარეულოში მომეძებნა რაიმე ცნობები.

ამ მიზნით მე მომიხდა გორიდან გამგზავრება ცხინვალში და სოფ. დგვრისში და იქ, ელიოზიშვილების ოჯახების ჩამოვლით ნიკოლოზ ელიოზიშვილისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის შესახებ ცნობების ძებნამ, სამწუხაროდ, ამოდ ჩაიარა და ვერავითარ კვალს ვერ მივაგენი. ყველა აქაური ელიოზიშვილის აზრით პლ. იოსელიანის დროს ნიკოლოზ ელიოზიშვილი უფრო თბილისში უნდა ყოფილიყო. ვწუხვარ, რომ იმედი ვერ გაგიმართლე. თქვენი პატივისმცემელი კ. ელიოზიშვილი“¹⁶.

მიუხედავად ამისა, აკაკი შანიძეს არც მაშინ¹⁷ და არც შემდეგ, როგორც ვთქვით, ეჭვი არ შეუტანია პლ. იოსელიანის ცნობის სანდოობაში და არც მისი მიკვლევის იმედი დაუკარგავს¹⁸.

ამას გარდა, ირკვევა, რომ ვეფხისტყაოსნის ელიოზიშვილისეული ნუსხის ბედით აგრეთვე საგანგებოდ ყოფილა დაინტერესებული ჩვენი დიდი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძე ვეფხისტყაოსნის

¹⁶ ი. ს რ ე ს ე ლ ი, დასახ. ნაშრ.

¹⁷ იხ. ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937, გვ. 388.

¹⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი, II, თბ., 1966, გვ. 64—65, 214, 272—273.

დაწერის 750 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის წევრი გ. ზ. 1936 წლის იანვარში პოეტს საავადმყოფოში გორელ პედაგოგთან — ციციშვილის ქალთან საუბრისას ყური მოუკრავს პოემის ელიოზიშვილისეული ხელნაწერის არსებობაზე, შემდეგ იგი კოტე ელიოზიშვილსაც შეხვედრია. ყოველივე ეს გალაკტიონს მაშინვე ჩაუწერია თავის დღიურში (7—27 იანვარი, 1936 წ.), რომელსაც ადრე ი. ლორთქიფანიძემ მიაქცია ყურადღება¹⁹, ხოლო უკანასკნელად გამოქვეყნდა გ. ტაბიძის თხზულებათა XII ტომში²⁰. საკითხის ისტორიისათვის მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო თავს ნებას ვაძლევთ გალაკტიონის ეს დღიური მოვიყვანოთ აქ მთლიანად, მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მიმოწერა აკაკი შანიძესა და კოტე ელიოზიშვილს შორის ერთგვარ კომენტარადაც შეიძლება გამოდგეს დიდი პოეტის აღნიშნული დღიურისთვის, რომელშიც ზოგიერთი რამ შეიძლება მთლად ზუსტად არ იყოს:

„— მითხარით, ისევ არიან ქართლში ძველი ოჯახები? — ვეკითხები ხანში შესულ ქალს, ყოფილ თავადის ქალს (ის 40 წლის განმავლობაში მასწავლებლად იყო გორის მახლობლად. ძალიან კარგი ქართული ენით ლაპარაკობს. შვილი ჰყავს საოპერაციოდ ჩემს პალატაში).

— არიან, როგორ არ არიან. — მიპასუხა მან.

¹⁹ ი. ლორთქიფანიძე, სად არის ნიქოზის ხელნაწერი? გაზ. „თბილისი“, 3. VIII. 1965, № 181.

²⁰ გ. ტაბიძე, ნიქოზის „ვეფხისტყაოსანი“, თხზულებანი, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 133—137, 671.

— მაგალითად ისეთები, რომლებიც ძველ ხელნაწერებს ინახავენ?

— არიან, აი მაგალითად:

გორში არის ერთი ექიმი ნიკო ელიოზაშვილი, ძალიან განათლებული კაცია. უყვარს მწერლობა, მან იცოდა, რომ სოფ. ნიქოზში, ერთ ოჯახში, სხვა მრავალ ხელნაწერთან ერთად, ინახებოდა უძველესი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“. სწორედ ამ ექიმმა ამ დღეებში ტფილისიდან მიიღო წერილი, რომელშიც სთხოვენ, როგორმე ხელთ ეგდო, როგორმე ემოვნა ეს ხელნაწერი. ექიმი იმ წამშივე ჩაჯდა ავტომობილში და ნიქოზისკენ გაემგზავრა. მივიდა იმ ოჯახში (გვარი ოჯახის პატრონისა არ მახსოვს, ვერ გეტყვით, რომ არ აგერიოთ). ის კაცი ცოცხალი აღარ იყო. დახვდნენ მისი დები. დებმა შეკითხვაზე — აქვთ თუ არა ხელნაწერი, უპასუხეს:

— უი, ჩვენი ბრალი! აღარა გვაქვს, როდესაც ბოლშევიკები შემოდოდნენ, საშინელი ხმები დადიოდა — ქვას ქვაზე არ უშვებენ ხელნაწერების გამოო. ჩვენც შიშით გავანადგურეთო.

გაუნადგურებით „ვეფხისტყაოსანიც“.

სულ თონეში ჩაუყრია, — დაუმატა ავადმყოფმა ციციშვილმა, შვილმა იმ ქალისა, რომელმაც ეს ამბავი მომიყვა.

— თვალაცრემლებული დაბრუნდა ექიმი გორში, — დაამთავრა ამბავი ციციშვილის ქალმა.

... უნდა ჩახვიდე რაიმე დავალებით და იცხოვრო იქ ერთი კვირა (თუ რაიმე ნიშანი არის იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გადამალულია?) და კვალდაკვალ ძებნა, შესწავლაა სა-

ჭირო. ცხინვალის ახლოა. გორიდან ავტომობილები მიდიან ცხინვალამდე. ცხინვალიდან ნიქოზი 3 ვერსზე იქნება. (შინდისის რაიონია). შინდისში იყო ერთი პოეტი ქალი — ნინო ყარანგოზიშვილი (წამიკითხავს მისი მშვენიერი ლექსები — „შინდისის ჭადრებს“).

როდი ვიცი, ქართლს ეკუთვნის თუ ოსეთს.

1. სად არის სოფ. ნიქოზი?

2. ოჯახი — საიდან გაჩნდა ამ ოჯახში „ვეფხისტყაოსანი“? ქალაქები ვინმეს უნახავს თუ არა? რა პირობებში დაიღუპა?

არ დასწვავდნენ, შეიძლება დამარხეს მიწაში?

როგორ შეიძლებოდა, რომ დაეწვათ?

წარმოსადგენია ასეთი ვანდალობა?

* * *

ღრმად პატივცემულო ბ. ნიკო!

დიდი სურვილი მქონდა თქვენი პირადად ნახვისა, მაგრამ ავადმყოფობა ამის ნებას არ მაძლევს. ამის გამო გადავწყვიტე თქვენთვის წერილის მოწერა. მე გახლავართ რუსთაველის კომიტეტის წევრი და მინდა შეკითხვა მოგცეთ „ვეფხისტყაოსნის“ იმ ხელნაწერზე, რომელიც, როგორც გადმომცეს — ნიქოზში გეგულებოდათ თქვენ. ჩემთვის ამ შემთხვევაში უბრალო რამ წვრილმანიც კა საინტერესოა. აი, რა მაინტერესებს:

1. საიდან უნდა გაჩენილიყო, თქვენის აზრით, იმ ოჯახ-

ში „ვეფხისტყაოსანი“? შემთხვევით? მემკვიდრეობის წესით?
რა ოჯახი იყო ის ოჯახი, სანამ ხელნაწერს დასწავდენ?

2. ხომ არ გინახავთ წინად ეს ეგზემპლარი — „ვეფხისტყაოსანისა“, ხომ არ გახსოვთ მისი ფორმატი, ქალაღი, ხელი, ილუსტრაციება, განსაკუთრებული რამ თვისებები, რომელი საუკუნის უნდა ყოფილიყო?

3. საინტერესოა დაწვრილებით: რა პირობებში დაიღუპა ის „ვეფხისტყაოსანი“. რატომ მაინცდამაინც თონეში დასწვეს.

4. რას წარმოადგენდენ იმ ხელნაწერთან დაღუპული სხვა ხელნაწერები?

5. შეიძლება არ დაუწვიათ, ინახვენ ეხლაც და არ სურთ გამოჩენა?

6. ხომ არ გახსოვთ, ხომ არ გაგიგონიათ ანალოგიური შემთხვევები ძველი ხელნაწერების განადგურებისა! წინად ან ახლო ხანებში?

7. რას წარმოადგენდა ის პიროვნება, რომელიც ინახავდა იმ „ვეფხისტყაოსანს“?

8. სკივრში, ნოხქვეშ, თუ სად ინახვენ ასეთ ხელნაწერებს?

9. ვისი თხოვნით გაემგზავრეთ თქვენ ნიქოზში იმ „ვეფხისტყაოსანის“ ბედის გასაგებად? რომელ წელს, რა თვეში, რამდენი ხანი დაჰყავით იქ?

10. გვარი, სახელი, მამის სახელი იმ პიროვნების, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა! (გლეხი, აზნაური, თავადი, სასულიერო წოდება, მოსამსახურე და სხვ.).

11. ხომ არ გეგულებათ კიდევ სადმე ჯერ უცნობი ხელნაწერი ნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“? ან სხვა ხელნაწერი რაიმე? საერთოდ, ერთი შეხედვით სრულიად უბრალო რაიმე წვრილმანი დიდად საინტერესოა ჩემთვის და დიდად დამაინტერესებელია.

(ეს წერილი უნა გამეგზავნა გორში ექიმ ნიკო ელიოზაშვილისათვის. არ გამიგზავნია).

* * *

დღეს ჩემს ოთახში შემოვიდა გორიდან ჩამოსული კაცი — კოტე ელიოზაშვილი.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ რომ ჩამოვადე ლაპარაკი, მან სთქვა: — მივიღე წერილი პროფ. აკაკი შანიძისაგან. იგი მეკითხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების შესახებ, ემყარებოდა პლატონ იოსელიანის წერილს „კავკაზში“ (სამოცდაათ წლებში). პლატონ იოსელიანი სწერდა, რომ მან ნახა ვინმე ელიოზაშვილთან „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, იშვიათი ეგზემპლარი, მეთოთხმეტე საუკუნისა, რომელიც მეფის ნაქონი. შანიძე მთხოვდა მეპასუხა, თუ ვიცოდი რაიმე ამის შესახებ. მე არა ვიცოდი რა. ამიტომ გავემგზავრე ნიქოზში, დგერისში და სხვა[გან], სადაც კი ელიოზაშვილები მეგულებოდნენ. გამოვიკითხე. ერთგან მითხრეს, რომ დავსწვითო ბევრი ხელნაწერები ტყავის ყდებში, 21 წელში. შეიძლებაო, ამბობდა ელიოზაშვილი, იოსელიანმა რომელიმე ტფილისში მყოფ ელიოზაშვილთან ნახა ის „ვეფხისტყაოსანი“. ელიოზაშვილები სამი შტოს არიანო:

ელიოზი, ვედევანი და (...), შეიძლება იქ იყვესო. ელიოზის
შვილები არიან სურამში, შეიძლება იქ იყვესო.

ერთი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ მე ვერ ვიპოვეო...

ერთ ელიოზაშვილს „თამარიანი“ გაუღეჭსავს (გრიშაშ-
შვილმა მთხოვაო), მეორე ელიოზაშვილი ოპერის მომღერა-
ლია.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ სად არის?

7-27 იანვარი, 1936 წ.,

საავადმყოფო“.

დაბოლოს, განვიხილოთ პლ. იოსელიანის ცნობა ვეფ-
ხისტყაოსნის მესამე ძველი ხელნაწერის შესახებ, რომელიც,
მისი სიტყვებით, ერთ დროს ვახტანგ V შაჰნავაზს ჰკუთვნე-
ბია, ხოლო უკანასკნელად უნახავს თეკლა ბატონიშვილის
(გარდ. 1846 წ.) ხელში.

ყველაზე ადრინდელი ცნობა აღნიშნული ხელნაწერის შე-
სახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება 1847 წელს პა-
რიზში გამოცემულ ცნობილი რუსი მხატვრის გრ. გაგარინის
„Le Caucase pittoresque“-ში და იგი ეკუთვნის გრაფ ე. შტა-
კელბერგს²¹. ბეჭდური სახით სწორედ აქედან იღებს სათავეს
ცნობა თბილისში, თეკლა ბატონიშვილისა და მისი მემკვიდ-
რის ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში, მათი კუთვნილი ვე-
ფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერის არსებობის შესახებ, რომ-
მელშიც მოთავსებული ყოფილა შოთა რუსთველის პორტრეტუ-
ლი გამოსახულება.

²¹ იხ. Le Caucase pittoresque..., Paris, 1847, XI ტაბულისათვის
დართული განმარტება.

ამის შემდეგ, ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვის“ წლის გამოცემის კომენტარებში პლ. იოსელიანი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ლაპარაკობს აღნიშნული ხელნაწერის შესახებ: „აქა თფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქტნდა ძტჳლად ნაწერი ვეფხვისტყაოსანი სახით ანუ პორტრეტითურთ თვთ რუსთაველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით. ესე წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე კელითა აქა ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის ძღერისა საფრანგეთის ქალაქსა პარიჟსა, რათა გარდაბეჭდონ იგი მრავალრიცხუნედ ეკუმპლარებად ხრომო-ლიტოლრაფიით“²².

1853 წლის 1 სექტემბერს თეკლა ბატონიშვილის პირშშოს ალექსანდრე ორბელიანს (1802—1896) ვეფხვისტყაოსნის ეს ნუსხა პლ. იოსელიანის ხელით მეფისნაცვალ მ. ს. ვორონცოვისთვის მიუერთმეცია, რაც ირკვევა ხელნაწერზე გაკეთებული პლ. იოსელიანის მინაწერიდან: «Книга эта: «Барсова кожа» принесена въ даръ князю М. С. Воронцову княземъ Александромъ Вахтанговичомъ Орбелиановим I сент. 1853 года. Тифлисъ»²³.

უკანასკნელად, კვლავ პლ. იოსელიანს ეკუთვნის მესამე და რამდენიმე ხანს ერთადერთი ცნობა ამ ხელნაწერის კვალის შესახებ. როგორც ვთქვით, ეს არის 1870 წლის 30 იან-

²² მოხილუა წმინდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, პლ. იოსელიანის გამოცემა, თფ., 1852, გვ. 154, შნშ. 91.

²³ Q-1082.



ვარს ვაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ზემოთ უკვე მოვიტანეთ.

ამის შემდეგ ხელნაწერის კვალი აღარსად ჩანდა და არც არავითარი ცნობა არ იბეჭდებოდა მის შესახებ, რის გამოც, პ. ინგოროყვას სიტყვით, „ზოგს ეჭვაც კი ეპარებოდა, ხომ არ იყო მოგონილი „ვეფხისტყაოსნის“ ეს ძველი ხელნაწერი“²⁴.

და აი, 1933 წელს „ლიტერატურნოე ნასლედსტვოში“ (№ 9 — 10, მოსკოვი) გამოქვეყნდა ი. ტროიციის წერილი: „ვორონცოვთა არქივი“. მკვლევარი, მიმოიხილავდა რა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-არქეოგრაფიულ ინსტიტუტში (ამჟამად მას ეწოდება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება) დაცულ ვორონცოვის არქივის ხელნაწერებს, პირდაპირ მიუთითებდა, რომ მ. ს. ვორონცოვს თავისი კოლექცია შეუვსია «замечательным по графической работе хотя и дефектным экземпляром знаменитой поэмы Шота Руставели о «Носящем барсову шкуру»²⁵. მაშასადამე, ი. ტროიციის წერილიდან გამომიკვავ ვეფხისტყაოსნის საძიებელი ნუსხის ზუსტი ადგილსამყოფელი.²⁶

²⁴ პ. ინგოროყვა, Rusthveliana, ტფ., 1926, გვ. 349.

²⁵ Архив Воронцовых, обзор И. Троицкого, «Лит. наследство», №9—10, М., 1933, с. 416.

²⁶ გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზახასელი ხელნაწერის გარემო, „მაცნე“, 1970, № 4—5; გადაბეჭდილია შიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 7.

გ. ლეონიძის დიდი ზრუნვის შედეგად ვეფხისტყაოსნის ალნიშნული ხელნაწერი 1935 წლის 5 იანვარს ლენინგრადიდან თბილისში ჩამოიტანა ა. დუდუჩავამ (მას ამ საქმეში ლენინგრადში ეხმარებოდნენ მ. ჩიქოვანი და ი. მეგრელიძე)²⁷ და მას შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა გ. ლეონიძემ²⁸ (ამჟამად ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში — Q—1082).

თავის გამოკვლევაში გ. ლეონიძე ამტკიცებდა, რომ ხელნაწერი XVII საუკუნის 60-იან წლებში სარდალ-სახლთუხუცესის ზაზა ციციშვილის შეკვეთით იყო გადაწერილი ცნობილი მწერლისა და კალიგრაფის იოსებ თბილელის მიერ. ამიტომაც მას შემდეგ პოემის ამ ხელნაწერს შეერქვა „ზაზასეული ვეფხისტყაოსანი“²⁹.

²⁷ „კომუნისტი“, 11. II. 1935.

²⁸ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, ტფ., 1935, გვ. 19—36.

²⁹ გარდა გ. ლეონიძის გამოკვლევისა, ამ ხელნაწერზე შეიქმნა მდიდარი სპეციალური ლიტერატურა: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, რუსთველოლოგიური შტუდები, თსუ შრომები, ტ III, თბ., 1936, გვ. 131—137; გადაბეჭდილია: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 10—35; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 75—118; მისივე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული წყაროები, წიგნში „ლიტერატურული წერილები“, თბ., 1966, გვ. 73 — 87; მისივე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, თბ., 1970, გვ. 15—17, 47—48; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 303; დაწვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. გ. შ ა რ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის გარშემო, „მაცნე“, 1970, № 4—5; გადაბეჭდილია წიგნში: გ. შ ა რ ა ძ ე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 3—40.

პლატონ იოსელიანისეული ცნობის გამო თავის ერთ ლოდროინდელ ნარკვევში ი. მეგრელიძე წერს: „საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პლ. იოსელიანმა შემოგვინახა ტყავზე ნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი შემდეგი ცნობა: „აქა ტფილისს მეფის ირაკლის ასულს აქუნდა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი, სახით ანუ პორტრეტითურთ თვით რუსთველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით...“ ხსენებული სურათის — გაგარინის გამოღებული ორიგინალი აღმოჩენილია, მაგრამ თვით ეს უნიკალური ხელნაწერი საძებარია და იგი რომ აღმოჩნდეს, რუსთველოლოგიის დღესასწაული იქნება“³⁰.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ „ეს უნიკალური ხელნაწერი“ — ე. ი. თეკლასეული ვეფხისტყაოსანი უკვე კარგა ხნის აღმოჩენილია და ამ აღმოჩენის გამო „რუსთველოლოგიის დღესასწაულიც“ გადახდილია³¹.

* * *

ახლა განვიხილოთ პლ. იოსელიანის მიერ მოწოდებული ცნობები ვეფხისტყაოსნის პირველ სომხურ და პოლონურ თარგმანთა თაობაზე.

³⁰ ი. მეგრელიძე, პლატონ იოსელიანი, წიგნში: „რუსთველოლოგები“, თბ., 1970, გვ. 81.

³¹ სხვათა შორის, როგორც ვთქვით, ი. მეგრელიძეს თვითონ აქვს მონაწილეობა მიღებული ამ საქმეში: იხ. მისი, გიორგი ლეონიძე — ქართული კულტურის ძეგლთა შემკრებ-დამცველი, „ლიტ. ძიებანი“, ტ. XIII, თბ.,



საყურადღებოა, რომ პლ. იოსელიანმა მოგვცა ვეფხისტყაოსნის (აგრეთვე, აბდულმესიანის) სტეფანე ბასტამიანისეული პირველი სომხური ფრაგმენტული თარგმანის შეფასების ცდა³². სხვათა შორის, პლ. იოსელიანის მიერ აქვე დამოწმებული „აბდულმესიანის“ ერთი ნაწყვეტის — „თუალი ხარ ბრმათა“ ბასტამიანისეული სომხური თარგმანი მ. ბაბურჯანის შეცდომით „თამარიანის“ თარგმანად მიუჩნევია: «...приводится выявленный нами интересный факт о том, что Ст. Бастамян, кроме отрывков из «Витязя в тигровой шкуре», перевел также из ... «Тамариани» — это ХХII песня «Тамариани» переведенная на классический грабар, полностью представленная П. Иоселиани в своих «Путевых записках от Тифлиса до Мцхеты»³³.

სინამდვილეში კი, როგორც ვთქვით, აღნიშნული ფრაგმენტი („თუალი ხარ ბრმათა“) „აბდულმესიანს“ ეკუთვნის და არა „თამარიანს“³⁴ და პლ. იოსელიანიც მას შავთელის ლექსად იმოწმებს და განავრძობს: «Этому же лицу [С. Е. Бастамо-

1961, გვ. 121; მისივე, რეცენზია ა. დუდუჩავას „რჩეულ წერილებზე“, „მნათობი“, 1968, №3; მისივე, წერილი გიორგი ლეონიძეზე, ვაზ. „სამშობლოს ხმა“, 1969, № 9—10.

³² Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, Тиф., 1871, с. 31—32.

³³ М. Г. Бабурян, Армянские переводы «Витязя в тигровой шкуре» (автореферат кандидатской диссертации), Ереван, 1968, с. 4.

³⁴ იხ. ნ. მარას გამოცემა: Древнегрузинские описцы, ТР, книга четвертая, СПб., 1902, გვ. მზ-მგ; ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 138.

վս] обязаны мы переводом почти пятой части поэмы «Барсова кожа». Перевод этот на народном армянском языке помещен им в издававшемся с 1860 по 1864 год армянском журнале «Журавль Армении». Не смотря на скромность перелagателя их, боявшагoся вопроса, могут-ли на необработанной пока тифлисскаго простонароднаго наречия, почве, расти цветы поэзии Руставели? — перевод рифмованный удался»³⁵.

პლ. იოსელიანის ამ შეფასებას აღრმავებს მ. ბაბურიანი: «Перевод Ст. Бастамяна... стал выдающимся явлением в истории армянской переводной литературы. И не случайно, что впоследствии он был не раз переиздан, а Г. Мелояном переложен на литературный язык и напечатан в сборнике «Литературные перлы», составленном А. Сурхатяном»³⁶.

პლ. იოსელიანის შემდეგ, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართა ნაშრომებიდან³⁷ ცნობი-

³⁵ Пл. Иоселиани, დას. ნაშრ., გვ. 32.

³⁶ М. Г. Бабурян, დას. ნაშრ., გვ. 6.

³⁷ იხ. ს. ავჩიანი, შოთა რუსთაველი სომხურ ენაზე, გაზ. „კომუნისტი“, 22. VII. 1937, № 166; ლ. მელიქსეთ-ბეგი, რუსთაველი და სომხური ლიტერატურა, კრებ. „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 288—289; М. Г. Бабурян, დას. ნაშრ., გვ. 4—7; ბ. არველძე, ნარკვევები შოთა რუსთაველის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 39—43; მისივე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი (XI-X-X-X სს.), თბ., 1978, გვ. 173; შდრ. ზ. მთაწმიდელი [კიკინაძე], შოთა რუსთაველი, ტფ., 1884, გვ. 66.

ღია, რომ თბილისელმა სომეხმა ექიმმა და ლიტერატორმა სტე-
 ფანე ბასტამიანმა (1815—1872) თბილისში გამოძავალ სომხურ
 ჟურნალ „კრუნკ ჰაიოც აშხარჰინ“-ში (ქართულად ნიშნავს:
 „სომეხთა ქვეყნის წერო“, ან როგორც პლ. იოსელიანი თარ-
 გმნის რუსულად: «Журавль Армении») 1860—62 წლებში
 „სარგისის“ ხელმოწერით გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის რამ-
 დენიმე ათეული სტროფის თარგმანი, შესრულებული თბილი-
 სის სომხურ დიალექტზე მეტწილად 8-მარცვლოვანი, ხოლო ნა-
 წილობრივ — 16-მარცვლოვანი ლექსით („კრუნკ...“, 1860,
 № 6, 8, 9; 1861, № 9 და 1862, № 2, 7, 11).

ვეფხისტყაოსნის პირველ სომხურ თარგმანს თავის დროს
 მოწონებით შეხვდა ქართული პრესა: „...ახალი და სასიამოვ-
 ნო ამბავი: სომეხთ მწერალს უფ. ბასტამოვს უთარგმნია სომ-
 ხურს ენაზედ ჩუჭნის სასიქადულო უკვდავის პოეტის რუსთა-
 ველის თხზულება „ვეფხის-ტყაოსანი“. თვითონ ავტორმა წაგ-
 ვიკითხა სომხურს ენაზედ და ისეთის მდაბიურის ენით არის
 ნათარგმნი, რომ ვისაცკი მცირედიცარი ესმის სომხური ენა
 არ შეიძლება არ გაიგოს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაუბეჭდინებია
 სომხურს ჟურნალში... ფრანკუზულს და რუსულს ენაზედ
 ხომ გადათარგმნეს და ერთი სომხურს ენაზედლა გვაკლდა.
 მადლობა ღმერთსა! ახლა გაიცნობენ სომხებიც ჩუჭნის ლი-
 ტერატურის გვირგვინსა“³⁸. აღნიშნული თარგმანი ე. სტა-
 ლინსკიმ 1888 წელს შეიტანა თავის ცნობილ კრებულში³⁹,

³⁸ ტფილისის მიმოხილვა, „ცისკარი“, 1863, № 2, გვ. 311—313.

³⁹ Е. Сталинский, Барсова-Кожа, грузинская поэма Шота Руставели, на русском, французском, немецком, грузинском и армянском языках, Тиф., 1888, с. 9—24.

ხოლო ოვანეს თუმანიანს, სხვებთან ერთად, იგი 1910 წელს აღმოსავლურ ახალ სომხურ სალიტერატურო ენაზეც გაუწყვია⁴⁰.

პლ. იოსელიანი საერთოდ დადებითად ეკიდება ამ ფაქტს, როგორც რუსთველის პოემის სომხურ ენაზე ამეტყველების პირველ ცდას, მიუხედავად იმისა, რომ იგი თბილისურ სასაუბრო დიალექტზე იყო შესრულებული, ამასთან, აქებს მისი რითმების გამართულობას. დღეს სპეციალურ ლიტერატურაში (ს. ავჩიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, მ. ბაბურიანი, ბ. არველაძე) გარკვეულ ღირსებებთან ერთად, გამოვლენილია ამ თარგმანის ნაკლოვანი მხარეებიც, რომელთა მიუხედავად მისი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა უდავოა.

პლ. იოსელიანი გვაცნობს აგრეთვე ვეფხისტყაოსნის პოლონურ თარგმანსაც: «Удался говорить, и перевод отрывков Руставели на польском языке, сделанный под надзором поэтического же гения князя Г. Д. Эристова, издавшего их в одном из польских журналов в Варшаве в 1836 (კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს: 1863, — გ. შ.) году. Эти два лица [С. Е. Бастамов и Г. Д. Эристов] достойно приседают у святилища храма великого поэта-гения»⁴¹.

იგულისხმება „Biblioteka Warszawska“-ს 1863 წლის IV ტომში (გვ. 1—18 (წინასიტყვაობა), 19—38, 250—292, 495—514) გამოქვეყნებული ვეფხისტყაოსნის შემოკლებული

⁴⁰ იხ. ს. ავჩიანის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, მ. ბაბურიანისა და ბ. არველაძის დასახელებული ნაშრომები.

⁴¹ Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мухеты, Тиф., 1871, с. 32—33.

პროზაული თარგმანი. შესრულებული პოლონელი ინჟინერის
კაზიმირ ლაფჩინსკის (1823—1893) მიერ, რომელიც ერთხანს
(ვასელი საუკუნის შუა წლებში) თბილისში ცხოვრობდა და
მუშაობდა, აქვე უთარგმნია მას რუსთველის პოემაც 1841 წლის
ე. წ. ბროსესეული გამოცემის მიხედვით.

თავისი თარგმანის წინასიტყვაობაში კ. ლაფჩინსკი მიუ-
თითებდა „ერთი განათლებული ქართველის“ შესახებ, ვისი
დახმარებითაც რამდენიმე წლის განმავლობაში (დაახლ.
1850—1854 წლებში) ვთარგმნიდი „ვეფხისტყაოსანსო“, მაგ-
რამ „იმის გვარს არ ვახსენებ ამისათვის, რომ თვითან იმან
არ ინებაო“.

პირველად ივ. კერესელიძემ 1870 წელს ქურონალ „ცის-
კრის“ ივნისის ნომერში შენიშნა, რომ კ. ლაფჩინსკი „ამას
ანბობს გიორგი ერისთავზედ“⁴², პლ. იოსელიანი იყო მეორე
მკვლევარი, ვინც 1871 წელს დაადასტურა, რომ ვეფხისტყა-
ოსნის ლაფჩინსკისეული პოლონური თარგმანი გიორგი ერის-
თავის ზედამხედველობით მომზადდაო. ამას გარდა, როგორც
ვხედავთ, სწორედ პლ. იოსელიანი (და არა ნ. გულაკი) ყო-
ფილა პირველი რუსთველოლოგი, რომელმაც სწორად მიუთი-
თა რუსთველის პოემის პოლონური თარგმანის გამოქვეყნების
წელი და ადგილი (1863, ვარშავული ქურონალი), რაც მანამდე
ქართველი საზოგადოებისთვის უცნობი იყო. მოვიგონოთ ივ.
კერესელიძის სიტყვები: „სამწუხაროდ, ეს კი უნდა ვსთქვათ,
რომ ამ წიგნში არა სჩანს, თუ რომელს წელიწადში არის ნა-
თარგმნი, და როგორც ტალკო გვარწმუნებს, ვითომც ეს

⁴² „ცისკარი“, 1870, № 6, გვ. 261.

ეთარგმნოს ამ ორმოცის, თუ ორმოცდახუთი წლის წინათ (მაშასადამე, 1825—30 წლებში? — გ. შ.) ერთ ინეენერს პოლიაკსა...“⁴³

პლ. იოსელიანის შემდეგ ნ. გულაკმა 1884 წელს მოგვცა ამ თარგმანის შესახებ ზუსტი ბიბლიოგრაფიული ცნობა⁴⁴, ხოლო დ. გამეზარდაშვილმა 1949 წელს გამოაქვეყნა გიორგი ერისთავის ვაჟის — ცნობილი დრამატურგის დავით ერისთავის ერთი წერილი, რომელშიც პირდაპირ იყო ნათქვამი: „ლაფჩინსკის იგი [ვეფხისტყაოსანი] უთარგმნა მამაჩემმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და ქართული თეატრის დამფუძნებელმა“⁴⁵. ამას გარდა, არსებულა ანტონი ვალეცკის გადმოცემა, რომლისთვისაც კ. ლაფჩინსკის თითქოს უთქვამს, რომ „თარგმნის დროს ორი ქართველი მეხმარებოდო“, ოღონდ ვინ იყო ეს მეორე ქართველი ჩვენთვის უცნობია⁴⁶.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ლაფჩინსკისეული პოლონური პროზაული თარგმანის შესახებ პლ. იოსელიანის მიერ 1871 წელს მოწოდებული ცნობები შემდგომი კვლევა-ძიებით საეცებით დადასტურდა⁴⁷.

⁴³ „ცისკარი“, 1870, № 6, გვ. 258.

⁴⁴ Н. И. Гулак, О Барсовой коже Руставели, Тиф., 1884, с. 2.

⁴⁵ დ. გამეზარდაშვილი, გიორგი ერისთავი — ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი პოლონურ ენაზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 24. VII. 1949, № 29; იხ. მისივე, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, I, თბ., 1953, გვ. 84—88; მეორე გამოცემა, თბ., 1961, გვ. 44—48.

⁴⁶ ჯ. ჭელიძე, ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი XIX საუკუნეში (საკანდ. დისერტაცია), თბ., 1975, გვ. 80—81.

⁴⁷ შტრ. ზ. მთაწმიდელი [ჭიჭინაძე], შოთა რუსთაველი, თბ.,

პრინციპულად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული პლ. იოსელიანს საერთოდ ვეფხისტყაოსნის სხვა ენებზე გადათარგმნის თაობაზე. მისი მტკიცებით, «Ошиблись те, которые пытались в стихах передать красоты стихов Руставели»⁴⁸. ამის მაგალითად იგი ასახელებს პოემის რომელიღაც აღრიხედელ რუსულ თარგმანს: «Часть такого уродливого перевода на русский стихами уже напечатана». აქ, ალბათ, უნდა იგულისხმებოდეს ვეფხისტყაოსნის ი. ბარტდინსკისეული («Иллюстрация», №№ 6—7, СПб, 1845) ან ი. ევლახოვისეული («Кавказ», № 15, 1846), უფრო ეს უკანასკნელი, რუსული თარგმანი. პლ. იოსელიანის აზრით, ვეფხისტყაოსანი ისევე უნდა ვთარგმნოთ უცხო, კერძოდ, ევროპულ ენებზე,

1884, გვ. 66; ს. იორდანიშვილი, ვეფხისტყაოსნის თარგმანები ევროპულ ენებზე, „რუსთაველის კრებული“, თბ., 1938, გვ. 214—247; ნ. ნიკოლაიშვილი, მე-19 საუკუნის პოლონელი რუსთაველოლოგები, გავ. „ლიტ. საქართველო“, 2. IX. 1966; ი. კაკაბაძე, გიორგი ერისთავი და პოლონური მწერლობა, „მნათობი“, 1972, № 3, გვ. 183—186; ლ. მენაბდე, რუსთაველი პოლონეთში, „საიუბილეო კრებული აღ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე“, თბ., 1974, გვ. 169—172; ჯ. ჭელიძე, ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი XIX საუკუნეში (საკანდ. სადისერტ. ნაშრომი), თბ., 1975, გვ. 79—90; მისივე, მე-19 საუკუნის ქართულ-პოლონურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან კრებ. „ლიტ. ურთიერთობანი“, IV, თბ., 1974, გვ. 180—181. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, ლ. მენაბდის საერთო რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1978, გვ. 14—15, 58, 396—398; შდრ. გ. იმედაშვილი, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 42—43, 50—51, 53—54; ი. მეგრელიძე, რუსთაველოლოგები, თბ., 1970, გვ. 28, 129.

⁴⁸ П. Иоселиани, Шота Руставели, თავი XIX.

როგორც ეს ცნობილმა ორიენტალისტმა მოლმა (Mohl) გმნა „შაჰნამე“ ფრანგულად: «He то зделал Моль, президент de la Societe Asiatique a Paris с отрывками поэта Фирдоузи в повести Рустена. Он перевел их слово в слово, строфа в строфу, прозой поэтической» (იქვე). ვეფხისტყაოსნის სიტყვასიტყვით, პოეტური პროზით თარგმნის აუცილებლობას პლ. იოსელიანი იმით ასაბუთებს, რომ ევროპელი მკითხველისათვის ლექსად თარგმნის დროს გაუგებარი ხდება აღმოსავლური პოეტური წარმოსახვით შექმნილი სახეები, ეპიკური სცენები, სათავგადასავლო სასწაულები, გმირთა სახელები: «Запад Европы не поймет в стихах красот поэзии востока. Ни образы рисуемых воображением картин, ни эпические сцены, ни рассказы чудес, ни имена действующих лиц—не произведут тех впечатлений, которыми увлекаются сыны востока» (იქვე).

„ვეფხისტყაოსნის“ სათაურის რუსულად თარგმნისას პლ. იოსელიანიც ვერ გაექცა იმ ხანებში დაკანონებულ მცდარ გაგებას და ისიც პოემის სახელწოდებას «Барсова кожа»-დ თარგმნის.

ცნობები ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნიხა და დაწვის შესახებ

სულ უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ჰქონდა მოკიდებული ფეხი შეხედულებას, თითქოს

⁴⁹ Iulius (Jules) von Mohl-ი (1800—1876), წარმოშობით გერმანელი, შემდეგში გახდა გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი. მის შესახებ იხ.: Grand Larousse Encycl., t. 7, Paris, 1968, გვ. 424; Encycl. Britanica, vol. 15, გვ. 659.

ცნობა ანტონ I კათალიკოსის მიერ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ფიზიკური განადგურების ცდის შესახებ პირველად გავრცელებინოს თავისი დროისთვის გამოჩენილ რუს მეცნიერს ვეგენი ბოლხოვიტინოვს (1767—1837): «Поэма(!) сия при царе Вахтанге VI была в Тифлисе напечатана, однакож вскоре истреблена так, что ныне весьма (!) редко можно видеть печатные оной экземпляры» (Ист. изобр. Грузии..., СПб., 1802, გვ. 86). მაგრამ გამოიკვეა, რომ ყველა ნიშნით აქ იგულისხმება შინაური აშლილობის ხელისშეწყობით გარეშე აგრესორული ძალების (ოსმალ-სპარს-ლეკები) მიერ 1723 წ. თბილისზე თავდასხმა, დედაქალაქის აოხრება და ვახტანგისეული სტამბის ნანგრევებად ქცევა, მისი მიწასთან ვასწორება და, ბუნებრივია, ვახტანგისეული ნაბეჭდი წიგნების, მათ შორის, ვეფხისტყაოსნის განადგურებაც (ამ დროს კი ანტონი სამიოდე წლის ჩვილი თუ იქნებოდა მხოლოდ!). მაშასადამე, დღეს უკვე გამორკვეულია, რომ ვეფხისტყაოსნის ნაბეჭდ ცალთა განადგურების მიზეზი, ე. ბოლხოვიტინოვის ცნობით, ყოფილა მომხდლური მტერი, ბარბაროსი აგრესორები და არა საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობელი, რუსი სწავლულის სიტყვებით, „თავისი დროის მეცენატი და პოლიონი“ ანტონ I კათალიკოსი. ე. ბოლხოვიტინოვის ცნობის სწავგვარი გაგება ნაძალადეგია და ხელოვნური, იგი „ქართული ინკვიზიციისა“ თუ „აუტოდაფეს“ პირველწყაროდ არ გამოდგება¹.

¹ გ. შ ა რ ა ძ ე, ვეგენი ბოლხოვიტინოვი — პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978, გვ. 102. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენს წამრომს დამა-

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერსად გავეჭვევით პლ. ბოსნი-ლიანის დაბეჭდვით ცნობებს, რომელიც, ა. შანიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ამ სამარცხვინო ამბის“ ჩამდენად ანტონ I კათალიკოსს მიიჩნევს. ამჟამად აქ არ გამო-

ტების სახით ერთვის ფოტოტიპურად დაბეჭდილი ე. ბოლხოვიტინოვის «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» (СПб., 1802), რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული. ამ წიგნის ისტორიულ ნაწილში ქართული კულტურისთვის ბევრ საინტერესო და სასარგებლო ადგილთან ერთად გვხვდება ზოგიერთი ლეგენდურ-ზღაპრული, დაუჭერებელი და აშკარად მცდარი ცნობა. მაგალითად, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის 65-ე გვერდზე ლაპარაკია ქართული ენის „გაჩენის“ შესახებ, რომელიც წარმოადგენს XI ს. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის „შეფთა ცხოვრების“ ცნობების სიტყვასიტყვით რუსულ თარგმანს (შდრ. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 16), მაგრამ მისი დღეს გაზიარება მეცნიერულად ყოველად გაუმართლებელია (ლეონტი მროველის ამ ცნობის შესახებ დაწერილებით იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 182—183; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ეტიუდები, ტ. XII, თბ., 1973, გვ. 16, 30; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 256; К. К е к е ლ ი ძ ე, Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели, ეტიუდები, ტ. III, თბ., 1955, გვ. 102); ასევე, მკითხველი შეიძლება ბოლომდე ვერ გაერკვეს ქართული ანბანის შესახებ წიგნის 70-ე გვერდზე მოწოდებულ ცნობაში. ჩვენს ზემოდასახელებულ ნაშრომში კრიტიკულადაა მიმოხილული ე. ბოლხოვიტინოვის რუსთველოლოგიური შენიშვნები. საერთოდ კი, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს წარსულის ისტორიულ-კულტურულ მიმოხილვას შეიცავს, სპეციალისტთა მხრიდან ყოველმხრივი კრიტიკული მოპკობა სჭირდება, როგორც, მაგალითად, ამ წიგნის რუსთველოლოგიური ნაწილის შესახებ იქნა გაკეთებული.

ვუდგებით სამეცნიერო ლიტერატურაში ამტყდარ კამათს კამათს I-ის მისამართით წაყენებული ამ უმძიმესი ბრალდების გამო. ვიტყვით მხოლოდ, რომ ზოგიერთი, მაგალითად კ. კეკელიძე, მას ეჭვის თვალთ უყურებს, არ სჯერა სწავლული კათალიკოსის ასეთი მოქმედებისა, ზოგი კიდევ, მაგალითად ივ. ჭავჭავაძე, ა. შანიძე, ალ. ბარამიძე მას საკმაოდ ნდობით ეკიდება, ყოველ შემთხვევაში, ანტონის მორალურ პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს. ამიტომ ეს საკითხი საბოლოოდ დღესაც გადაუჭრელად ითვლება და, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მისი ერთხელ კიდევ შემოწმება, უკეთ რომ ვთქვათ, ასეთ ცნობათა წარმოშობის ობიექტური მიზეზების ახსნა.

პირველად პლატონ იოსელიანი აღნიშნულ საკითხს შეეხო ტიმოთე გაბაშვილის „მოხილუის“ 1852 წლის გამოცემაში, სადაც რუსთველის შესახებ ტიმოთეს ცნობილი მტრული შეხედულების („ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა...“) კომენტარში იგი წერდა: „ამა პაზრისავე იყო თუთ კათალიკოსი ანტონი პირტჭლი, რომელმანც ამრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგისა დროსა 1710 (!) წელსა, ვეფხვს-ტყაოსანი დაპსწუნა და შთააყრევინა მტკუარში და აღუკრძალა კითხუა წიგნისა ამის ქართუ-მლთა“².

მეორედ, 1867 წელს დასრულებულ ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, პლ. იოსელიანი საქართველოს

² მოხილუა..., თფ., 1852, გვ. 154, შგვ. 90.

უკანასკნელი მეფის დახასიათებისას შენიშნავდა: „სიყრმიღმა განსწავლული სამღრთოთა და საეროთა წერილითა, უყვარდა დიდად კითხვა ვეფხვს-ტყაოსნისა, ზეპირად, ძველდროთა ჩვეულებრივითა წესითა, წარმოთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა, ეტრფოდა ლექსთწყობასა და გულმხიარულებითა გასავგონად, ტკბილად აბოლოებდა შოთასა ტკბილთა ნათქვამთა. კათოლიკოსსა ანტონის პირველსა, რომელსაცა არა სწყალობდა სიყრმიღმა განვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძულებულსა, — მოიხსენებდა არა კეთილად, რადგან ვერ სცნო ღირსება შოთასი, რადგანცა დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისავე დროსა, შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის და მომწამვლელი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა. დიდად ეკვირვებოდა ესრეთსა ბრძნისა კაცისაგან მოქმედებასა. „წიგნი შოთასი, — იტყოდა მეფე, — არის მახვილი სახმარი თვისსა დროსა... ბატონი კათოლიკოსი, არა ჩემგან საკიცხველი, შეიქმნა მართლად საძრახისად მწერალთაგან“³.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანი ორივეგან დაჟინებით წერს, თითქოს ანტონ I კათალიკოსს ვახტანგისეული ვეფხვისტყაოსანი დაეწვას და მტკვარში ჩაეყაროს! წყაროდ პლ. იოსელიანი მეფე გიორგი XII-ის ზეპარ მონათხრობს

³ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიძის და გ. შარაძის გამოცემა, თბ., 1978, გვ. 179.

(„იტყოდა მეფე“, „მოიხსენებდა არა კეთილად“ და იყენებს: ოღონდ ვის მოუთხრო გიორგი XII-მ ეს ამბავი, ამის შესახებ პლ. იოსელიანი არაფერს ამბობს. ყოველ შემთხვევაში, მეფე ამას თითონ პლატონ იოსელიანს ვერ უამბობდა, რადგან პლატონი რომ დაიბადა (1809 წ.), გიორგი XII უკვე 10 წლის გარდაცვლილი (1799 წ.) იყო.

ცნობილია, რომ „გიორგი მეცამეტის ცხოვრება“ პლ. იოსელიანს მეტწილად საქართველოს უკანასკნელი მეფისა და მის კარზე დატრიალებული ამბების უშუალო მომსწრეთა და თვითმხილველთა ნაამბობის მიხედვით აქვს აღწერილი⁴, რომელთა შესახებ იგი არაერთხელ უთითებს კიდევ („ესე ამბავი მიამბო ექიმმა იოანე ყარაევმან, მუნ დილით საღამომდინ მყოფმან და ყოვლისა ამისა ამბავისა მცოდნემან და თანადამსწრემან“, „თვით მეფისა ასულისაგან თეკლასა გავიგონე ესე, ოდეს მობრძანებულმან ჩემსასახლსა ინება და ნახა 1829 წელსა სნეულად მდებარე მამაჩემი ეგნატი“, „დამსწრე ამა მოთხრობისა ეგნატი იოსელიანი იტყოდა“, „მეტყოდა მეფის ძე მიხაილ“, „ესრეთსა მეფის ამის თქმასა შვილნი მისნი და ძმანი მოიგონებდიან და მეტყოდიან პეტერბურღსა, სადაცა ვსწავლობდი მეცა ფილოსოფიისა, მეფის ძმანი მირიან, ფარნაოზ, და ძენი მეფისა ბაგრატ, თეიმურაზ და მიხაილ“, „მოხუცმან 75 წლისა მღვდელ-მონაზონმან ათანასი შიო

⁴ თუმცა ისიც კარგად ცნობილია, თუ როგორი მკაცრი კრიტიკა გამოიწვია პლ. იოსელიანის „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ შესულმა ბევრი „ცრუსა“ და „ტყუილის გუდას“ ნაამბობმა თეკლა ბატონიშვილის ვაჟის აღექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მხრიდან (იხ. მისი, პლატონ იოსელიანსა, S1646-გ).

მღვიმელმან, გვართა ამილახვარმან, 1846 წელსა მომიტინგის
ამბავი მეფის გეორგისათვის“, „ესე მიამბო თვით მეფის
ასულმან და დედოფალმან მეგრელისაა ნინამ, დროსა ჩემსა
ყოფნისა მასთანა და: ხლოებულად ს.-პეტერბურღს 1844 წელ-
სა“ და სხვ.) და ახლა ძნელია მტკიცება, სახელდობრ, ვისი
წამებით, კათალიკოსის მოძულისა თუ მოყვრისაგან ჩაიწე-
რა მან გეორგი XII-ის სიტყვები ანტონ I-ის მიერ ვახტანგი-
სეული ვეფხისტყაოსნის დაწვისა და მტკვარში ჩაყრის თა-
ბაზე.

გარდა ამისა, გეორგი XII-ს კიდევ რომ ეკუთვნოდეს ეს
სიტყვები, საეჭვო ისინი მაშინაც იქნებოდა, რადგან პლ. იო-
სელიანი იქვე წერს, რომ მეფე ცოტა ტენდენციურადაც იყო
განწყობილი კათალიკოსის მიმართ: „კათალიკოსსა ანტონის
პირველსა არა სწყალობდა სიყრმიდგანვე, ვითარცა კაცსა
პაპისაგან მისისა თეიმურაზისა შეძლებულსა“, ხოლო თვი-
თონ ანტონ I თურმე არც გეორგი XII-ის ინტელექტუალუ-
რი შესაძლებლობებით ყოფილა მაინცდამაინც აღტაცებული,
რადგან, იმავე პლ. იოსელიანის ცნობით, გეორგი XII „მოს-
რული სრულსა ჰასაკსა მოისურვებდა ფილოსოფოსთა ძველ-
თა სწავლისა მოსმენასა. კათალიკოსი ანტონი, გარდმომღე-
ბი რუსულით ქართულსა ენასა ბაუმეისტრისა ფილოსოფო-
სისა, განუმარტებდა ჰაზრთა და ლექსთა მნიშვნელობათა.
მეფის ძესა უნებდა გაგება მათი და ვერა რაი გამოსწურა
თქმათაგან მათთა მაღალთა, საგანთათვის მაღალთა. — დაუ-
ტევა სწავლა ესე და იტყოდა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალ-
სა...“ ესე ვითარი მისი ჰაზრი იყო მიზეზი, რომელ არა უყ-
ვარდნენ მას არცა ფილოსოფოსად წოდებულნი, დროთა მის-

თა ზაქარია გაბაშვილი, ამბროსი ნეკრესელი, იოანე ოსეს ძე და სხვანი სისტემისა მათისა კაცნი, დაღალულნი კატილორიათა, დიალექტიკა, ტოპიკებითა და სილოღიზმებითა“ (ცხოვრება..“, გვ. 36—37). მაშასადამე, მომავალ მეფესა და კათალიკოსს შორის, იმთავითვე, მეტი რომ არა ვთქვათ, არაპარმონიული დამოკიდებულება არსებულა, რაც კათალიკოსის შესახებ მეფის მიერ მოწოდებულ ცნობებს სუბიექტურობისა და ტენდენციურობის ჩრდილს აყენებს.

ამას ზედ უნდა დართვოდა პლატონ იოსელიანის ოჯახში ანტონ I კათალიკოსისადმი დიდი ხნის სიძულელი, რაზედაც რუსთველოლოგიაში დღემდე არ ყოფილა ყურადღება სათანადოდ მიქცეული; თუმცა, ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას სულ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ არჩ. ბარამიდის შენიშვნას: „თუმცა პ. ე. იოსელიანს სავსებით ბუნებრივად შეეძლო ჰქონოდა სერიოზული პრეტენზიები კათალიკოსის მიმართ (რომელმაც პ. იოსელიანის პაპას — ონისიმე იოსელიანს ჩამოართვა მამული მარტყოფში), მას ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია ამ ამბავზე“⁵.

ზემოთ უკვე გვქონდა გამორკვეული, რომ პლ. იოსელიანის წინაპარი (პაპის მამა) იესე//სესია იოსელიანი წყალტუბოდან მარტყოფში ჩამოსახლებულა XVIII ს. შუა წლებში, ვისთვისაც თეიმურაზ II-ს აქ მამული უბოძებია და „სესიაურის“ სახელით ყოფილა ცნობილი. იესეს სიკვდილის შემდეგ კათალიკოს ანტონ I-ს მარტყოფის მამული „სესიაური“ იოსელიანების-

⁵ А. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, დასახ. ნაშრ., 83. 192.

თვის ჩამოურთმევეა და სხვისთვის მიუცია, ხოლო იესეს შვილი ონისიმე იოსელიანი, რომელიც ამ დროს მარტყოფის მონასტერში სწავლობდა, თბილისში გადაუყვანიათ კარის ეკლესიის დააკვნად. ამასობაში ანტონ I რუსეთში განდევნეს, ხოლო ახალმა კათალიკოსმა იოსებმა, ერეკლე II-ის ბრძანებით, ონისიმე კარის მღვლად აღავლინა 1762 წელს. მალე ანტონ I ექსორიიდან დაბრუნდა და 1764 წელს კვლავ კათალიკოსის ტახტზე დაჯდა. თეიმურაზ II-ისა და იოსებ კათალიკოსის ბანაკის კაცი ონისიმე იოსელიანი ანტონ I-ს „სესიაურის“ წართმევასთან ერთად მღვდლობიდანაც გადაუყენებია. 1773 წელს ონისიმე იოსელიანს კვლავ უცდია თავისი ძველი მამულის დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ⁶. ყველაფერი ეს პლატონ იოსელიანს თურმე მოუსმენია უშუალოდ მისი პაპისაგან: «По местам при-
 совокупаю здесь и те события, которыя я слышал из уст деда моего, Онисима Иосселиана, старца глубоких дней, скончавшагося в 1816 году»⁷.

ცხადია, ანტონ I-ის მიერ ასე უსაზღვროდ დამცრობილი ღრმად მოხუცი («старца глубоких дней») პაპისაგან — ონისიმე იოსელიანისაგან შვილიშვილი — პლატონ იოსელიანი კარგს ბევრს ვერაფერს მოისმენდა კათალიკოსზე, ყოველ შემთხვევაში, მაინცდამაინც დიდ ობიექტურობას მას ვერ მოვთხოვთ.

⁶ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936, გვ. 259—260; Пл. Иосселиани, Описание Марткопскаго монастыря, Тиф., 1847, с. 4—5.

⁷ Пл. Иосселиани, Описание Марткопскаго монастыря, Тиф., 1847, с. 5.

ასე რომ, ანტონ I კათალიკოსის მიერ თითქოსდა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის განადგურების ცდის შესახებ პლ. იოსელიანის ცნობის ორივე შესაძლებელი ზეპირი წყარო — გიორგი XII და ონისიმე იოსელიანი ტენდენციური მოჩანს და, ვფიქრობთ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ პლ. იოსელიანი თავის უკანასკნელ რუსთველოლოგიურ ნაშრომში „შოთა რუსთაველი“, რომელიც 1870 წელს გამოქვეყნდა „კავკაზში“, უკვე აღარაფერს ანობს ანტონ I-ის მიერ „მეფის ვახტანგის დაბეჭდილ ვეფხვს - ტყაოსნის დაწვასა და მტკვარში ჩაყრაზე“. აქ იგი ანტონს გენოსს უწოდებს და ლაპარაკობს ანტონ I-ის მიერ მხოლოდ ვეფხისტყაოსნის კითხვის აკრძალვაზე («Католикос Антоний... запретил чтение Руставели»), რაც სპარსულ-მუსულმანური სახელმწიფო-სარწმუნოებრივი და კულტურული მოძალებისაგან თავდაღწევის მიზნით იყო გამოწვეული და აქვე დასძენდა, რომ ანტონი თვით იყო პოეტი და ესმოდა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას. როგორც პოეტს, და არა კათალიკოსს, რუსთაველი რომ არ ჰყვარებოდა, ეს მას არ შეეძლო და ამიტომაც რუსთველის პოეზიის სიყვარულს იგი ზეპირად გადასცემდა თავის თანამედროვეებს, რომელთაგან ზოგიერთს ჩემს ახალგაზრდობაში მეც შევხვედრივარო. აი, თვით პლატონის სიტყვებიც:

«От чего же Руставели гений поэзии заслужил гнев и укор другого гения духовного, великаго своими творениями, католикоса Антония, назвавшего его в своих эпиграммах ямбических все и тщетно потрудившимся?»

После шах Аббаса I, разорившаго Грузию за сношения с православною Россией при Годунове, цари и



народ грузинский являются ослабленными. В видах покорения царства, политика шаха имели целью уничтожить религию Христа и распространением исламизма приковать к Персии и царей и народ. Россия, не знавшая еще и дороги Закавказьем, не могла подать помощи царям, скорбевшим под инвеститурою персидскою. Цари принуждены были для блага народа возлагать на себя знаки инвеституры, как цепи, рабства, принимая веру и имя магометанских властителей. Такое печальное состояние, продолжавшееся около 160 лет, довело народ до нравственного падения. Святители церкви, и только святители, как стражи церкви Христовой, защитили его от гибели. Потрясенная нравственность, как укоренившаяся болезнь, с трудом исправлялась. Обычай, нравы, музыка персов, изгнавшая чистоту христианского учения, потребовала жертвы, и католикос Антоний в начале XVIII (?) века запретил чтение Руставели, увлекавшего народ к поэзии персидской, тонам музыки лидийской. Народ искал в нем меду и находил отраву. Католикос, неоправдываемый многими, и не без основания, имел некоторое право, желая направить народ не к чтению забавных строф поэта, не в пору времени, а настроить внимание к вещаниям слов веры во Христа. Католикос Антоний сам был поэт и понимал его значение. Не любить Руставели за его поэзию — не мог. Он это передавал на словах и таким современникам своим, из уст которых я слышал во дни юности моей»⁸.

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანი აქ პრინციპულად

⁸ П л. И о с с е л и а н и, Шота Руставели, «Кавказ», 1870, № 13, с. 3.

სულ სხვა მოსაზრებას გეთავაზობს: ანტონ I კათალიკოსის ვეფხისტყაოსანი არც დაუწვავს და არც მტკვარში ჩაუყრია, არამედ, როგორც კათალიკოსმა, ქვეყნისა და სარწმუნოების ინტერესებისათვის აკრძალა ვეფხისტყაოსნის კითხვა, რათა ერთ-სპარსული პოეზიითა და უცხო სარწმუნოებით გატაცებისაგან ეხსნათ, თორემ, როგორც პოეტს და ადამიანს, მას რუსთველის მნიშვნელობაც ესმოდა და კიდევ უყვარდაო. ამით პლ. იოსელიანი თვითონ აცილებს ყოველგვარ ბრალდებას კათალიკოსს და ორიგინალურ ახსნას უძებნის ანტონ I-ის ცნობილ იამბიკოს „თვს შოთა რუსთაველისა“, რომელიც მის „წყობილსიტყვაობაშია“ მოთავსებული:

„შოთა ბრძენ-იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის,
თუ-სამ ჰსწადოდა, ღმთის-მეტყუელიცა მაღალ,
უცხო საკვრტმლ, პიტიკოს მესტიხე,
მაგრა ამოდ დაშურა, საწუხ-არს ესე“⁹.

აქვე უნდა საგანგებოდ შევნიშნოთ, რომ პლ. იოსელიანი სულ თავიდან ასეთივე შეხედულებების ყოფილა ანტონის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე. კერძოდ, 1843 წელს პეტერბურგში გამოცემულ „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიაში“ პლ. იოსელიანმა საკმაოდ ვრცლად განიხილა ანტონ I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა და მაღალა შეფასება მისცა მის სამწერლო-სამეცნიერო შემოქმედებას:

«Католикос Антоний I, по возвращении своем из России на прежнюю свою кафедру (1762 г.) способствовал к поддержанию православия.. и распространением

⁹ წყობილ-სიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1853, გვ. 284.

просвещения по Грузии. Сию же самую любовь к книжкам, показал он и в том, что старался собирать древния книги, разсеянные по Грузии, чтобы сохранить их от истребления времени для потомства»¹⁰.

როგორც ვრწმუნდებით, პლ. იოსელიანს ანტონ I კათალიკოსი აქ გამოყვანილი ჰყავს როგორც საქართველოში გაფანტული ძველი წიგნების შემგროვებელი და შთამომავლობისათვის მათი განადგურებისაგან თავგამოდებული დამცველი, ხოლო არც ერთი სიტყვა არა აქვს თქმული მის მიერ ვეფხისტყაოსნის მოსპობის ცდაზე.

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს და გვითხრას, რომ აქ „ძველ წიგნებში“ სასულიერო ხასიათის წიგნები იგულისხმება და არა ვეფხისტყაოსანი, მაგრამ მკითხველს შევახსენებთ, რომ პლ. იოსელიანი ამას ხსნის, პირველ რიგში, განათლები-სა და მეცნიერებისადმი (და არა მხოლოდ სარწმუნოებისადმი) სიყვარულით და სწორედ აქ, „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიაში“ იგი არ მორიდებია ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შესახებ საუბარს (იხ. გვ. 81), ხოლო როცა თამარის ეპოქას ქართული მწერლობის ოქროს ხანას უწოდებს, იგი მას ასაბუთებს ამ დროს შექმნილი ქართული როგორც სასულიერო, ისე საერო ლიტერატურის ძეგლებზე მითითებით (იხ. გვ. 82) და რომ ანტონ I-ს ხელეყო ძველი ქართული საერო, მათ შორის ვეფხისტყაოსნის, წიგნებისთვის, პლ. იოსელიანი ამას აქვე უსათუოდ აღნიშნავდა.

¹⁰ Пл. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, II издание, СПб., 1843, с. 133—134.

ასეთივე თვალსაზრისი აქვს გატარებული პლ. იოსელიანს ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ 1853 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში: „განმგეობა მისი ეკლესიისა განძსხუავდა... წიგნთა განმრავლებითა... შეჰკრებდა დაკარგულთა ძტმლთა წერილთა“ (გვ. VII), „ამან კათოლიკოსმან ანტონი... განჰფინა ნათელი მეცნიერებისა, მწერლობისა და მწიგნობრობისა“ (გვ. XIV).

მაშასადამე, როგორც დავრწმუნდით, პლ. იოსელიანს საბოლოოდ (გაზეთი „კავკაზ“, 1870 წ.) თვითონ შეუცვლია თავისი კატეგორიული ცნობა ანტონ I კათალიკოსის მიერ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ფიზიკური განადგურებისა და მოსპობის თაობაზე და დაბრუნებია თავის თავდაპირველ თვალსაზრისს ანტონ I-ის მწიგნობრული მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მას ადრე გამოთქმული ჰქონდა „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიასა“ (იხ.. II გამოცემა, სპბ., 1843) და ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ წინასიტყვაობაში (თბილისს, 1853).

მიუხედავად ამისა, პლ. იოსელიანის ტენდენციურ ზეპირ გადმოცემებზე დამყარებული და ბოლოს მისგანვე უარყოფილი ცნობა ანტონ I კათალიკოსის მიერ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის დევნისა და განადგურების შესახებ შემდეგში ზოგიერთებმა (ნ. ბერძენოვი, ზ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე, თ. ქორდანია...) კიდევ უფრო გააღრმავეს და ხელი

შეუწყვეს მის გავრცელებას¹¹, თუმცა დღეს ბევრს აღარც
კი სჭერა ამ ცნობისა. ამასთან უნდა გვახსოვდეს (და ამას წაწ
ვესვამთ), რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ფიზიკურ-
რი განადგურების საკითხი არასგზით არ უნდა გა-
ვაიგივეოთ ვეფხისტყაოსნის გარშემო ძველ საქართველოში,
კერძოდ, XV—XVIII საუკუნეებში მიმდინარე მწვავე
იდეოლოგიურ ბრძოლასთან, რომელიც, რა თქმა
უნდა, უეჭველად დადასტურებული ფაქტია¹².

**ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობის გარკვევისა
და პოემის იდეურ-მხატვრული შეფასების ცდა**

პლ. იოსელიანმა სცადა ვეფხისტყაოსნის ავტორის ფი-
ლოსოფიური მსოფლმხედველობისა და რელიგიური აღმსა-
რებლობის გარკვევა.

¹¹ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხის-
ტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX
სს-ში, „ლიტ. ძეგლანი“, I, თბ., 1943, გვ. 110, შმდ.; მისივე, ვეფხისტყაოს-
ნის ბექდღის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 20 შმდ.; მ.
გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 31 შმდ.
აგრეთვე: კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 372—
385; ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 13; ა. რო-
გავეა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ან-
ტონ პირველი, თბ., 1950, გვ. 123—150; ალ. კალანდარიძე, ნეიშნის
ფიცი, თბ., 1977.

¹² ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 450 შმდ.;
გ. შარაძე, ეგგენი ბოლხოვიტინოვი—პირველი რუსი რუსთველოლო-
გი, თბ., 1978, გვ. 103.

რუსთველოლოგიის ისტორიაში პირველად პლატონ ბონე-ლიანმა გამოაცხადა შოთა რუსთველი ნეოპლატონიზმის იდე-ებზე აღზრდილად: «Нет сомнения..., что Руставели мог учи-ться... по системе неоплатоников¹».

შ. მაჭავარიანის სიტყვებით, „რასაკვირველია, აქ. პლ. იო-სელიანს არ მოუცია (და არც შეეძლო მოეცა) რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის დასაბუთება, მაგრამ აქ მაინც მოცე-მულია ის აზრი, რომელიც შემდეგ აკად. ნ. მარის ხელში მნიშვნელოვან მეცნიერულ თეორიად იქცა (სხვა საკითხია, მი-საღებია თუ არა ეს თეორია)“².

მართლაც, ნ. მარი 1917 წლამდე (სანამ იგი შეიცვლიდა შეხედულებას) ბეჯითად იცავდა რუსთველის ნეოპლატონი-კოსობას³ და მას ამ მხრივ მიმდევრებიც (იუსტ. აბულაძე, სილ. ხუნდაძე, ვუკ. ბერიძე, ნაწილობრივ, შ. ნუცუბიძე) კი გამოუჩინდნენ. ეს თეორია უარყო კ. კეკელიძემ 1941 წელს⁴.

რაც შეეხება რუსთველის რელიგიურ აღმსარებლობას, პლ. იოსელიანი მას უყოყმანოდ ქრისტიანად, ქრისტიანული მსოფლგაგების პოეტად მიიჩნევს და თვით ვეფხისტყოსას ქრის-

¹ Пл. И о с с е л и а н и, Шота Руставели, «Кавказ», 1870, № 13.

² შ. მაჭავარიანი, რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორია, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II, თბ., 1944, გვ. 4.

³ Н. М а р р, Иоани Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века, ЗВО, XIX, 1909, с. 41—42; Н. М а р р, Вступительные и заключительные строфы..., ТР, XII, 1910, с. XLVI—L.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1941, გვ. 197—209.

ტიანული იდეებით გაქვნილი პოემად აცხადებს. პირველად ეს შეხედულება პლ. იოსელიანმა გაატარა 1845 წ. „ზაკავკასიის ვესტნიკში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ მეთაურ წერილში: «История Грузии и вообще Кавказа определяется историею в нем христианства; это первый, главный и единственны элемент образования грузинскаго народа... Без христианства не было бы в нем ни богословских, или лучше аскетических книг, которыми наполнена вся литература грузинская, ни философии, ни самой истории... Такой же характер носит и поэзия грузинская и даже лучший плод ея, образцовое творение Руставелия — Барсова кожа»⁵.

პლ. იოსელიანის შეხედულებით, როგორც უკვე ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, ღრმა ქრისტიანულმა მიდრეკილებებმა აიძულა პოეტი ბერად აღკვეცილიყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში: «Поэт отдался религии, и нашел идеалы истины, добра и красоты в христианстве»⁶.

შოთა რუსთველის ქრისტიანად გამოცხადება და ვეფხისტყაოსანში გატარებული ქრისტიანული მსოფლგაგების ამოცნობა რუსთველოლოგიის ისტორიაში პლ. იოსელიანის დამსახურება არ ყოფილა. მანამდე ამავე აზრს ადგენენ და იცავდნენ ვახტანგ VI და თეიმურაზ ბაგრატიონი, ხოლო თანამედროვე მეცნიერებაში (კ. კეკელიძე და სხვები) იგი უკვე თითქმის გაბატონებულ შეხედულებად იქცა. გარდა მსოფლ-

⁵ Закавказский вестник, часть неофициальная, № 1, 1845, с. 1.

⁶ Кавказ, 1870, № 13.

მხედველობრივი პრობლემებისა, პლ. იოსელიანმა აღმოსავლური პოემის ისტორიულ-ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური და იდეურ-მხატვრული საკითხებიც.

* * *

პლ. იოსელიანი აღიარებს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობას: «Поэт Руставели не занял ни стилия, ни предмета для своей эпопей, ни способа изложения ни у одного из греческих или римских писателей» („კავკაზ“, 1870, № 13). მიუხედავად ამისა, იგი არ გამორიცხავს აღმოსავლური პოეტური სამყაროს (სპარსულ-არაბული) ზოგიერთ გავლენას, კერძოდ, თვით პოემის სახელწოდებაში იგი ხედავს „შაჰ-ნამეს“ ანარეკლს, სადაც ეპოსის გმირებს ვეფხის ტყავი აცვიათ: «Самое название «Барсова кожа» есть уже персидское. Известно из Шах-Наме или истории царей, что древние персы до времен Хосроя последнего, одевались в кожу барса» (იქვე). მაგრამ რუსთველის მიერ სპარსულ და ინდოელ პოეტთა ცოდნა არ უნდა ავეუროთ მათგან სიუჟეტის სესხებაში, კერძოდ, რუსთველის ცნობილი სტროფი „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ არასგზით არ ნიშნავს, თითქოს ვეფხისტყაოსანი მართლა თარგმნილია სპარსულიდან: «Руставели, конечно, был знаком с поэтами древними персидскими и индейскими, для нас большею частью потерянными. Но он сам, именуя свое творение переводом с персидского, хотел под скромными словами названия «Барсовой кожи» и «перевода с персидского» скрыть высокое



значение своего гения, создавшего оригинальную поэму во всех ее подробностях, как и в целом, сохранившую свою самостоятельность: свойство гения — смирение, в котором только и заключается истинное величие» (იქვე).

* * *

ვეფხისტყაოსნის ტექსტზე პლ. იოსელიანს სპეციალური ტექსტოლოგიური მუშაობა არ უწარმოებია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ისეთი სერიოზული ტექსტოლოგიური გამოცდილების მქონე კაცს, როგორც პლ. იოსელიანი იყო, პოემის არც ერთ მის სიცოცხლეში განხორციელებულ გამოცემაში მონაწილეობა არ მიუღია და არც საკუთარ გამოცემაზე უფიქრია.

მოგვეპოვება მისი მხოლოდ გაკვრით გამოთქმული მოსაზრებანი ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაზე, რომელიც პეტერბურგში განხორციელდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის რედაქციითა და თეიმურაზ ბაგრატიონის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნული გამოცემის თაობაზე პლატონ იოსელიანი 1841 წლის 21 ნოემბერს წერდა მარი ბროსეს: „ვეფხისტყაოსნისა დაბეჭდვა კარგად მოჰხდა და იყიდებაცა კარგად. წინასიტყუაობაში მიღებული ორი კუპლეტი დავით მდივანბეგის სახელით არის ქმნილი. ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ჩუენ ესრეთ ვიცნობდით და ამისა დასამტკიცებლად ესეცა არის, რომ მეორე ხანა მისი არის, ფრანციზულიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თვით ალექსანდრემ მიჩუენა, სადაც ჰსწერია: ს ა-

ყუარელო: იქაუნდა იყოს: სიყუარულონ. ნაცნობად
 ლად: შენგან მეფე მონად ეყმოს, უნდა იყოს:
 შენგან მეფე მონას ეყმოს. ნაცულად განიფ-
 ხილებდეს, უნდა იყოს: განიფხიზლებდეს. ამას-
 თან ესეცა უნდა მოგწეროთ, რომ ზაქარია ფალავანდოვი არ
 ჯავრობს, რომ არ მოიხსენეთ იგი თავადად. ესე ლექსი (იგუ-
 ლისხმება სიტყვა „თავადი“, გ. შ.) არ უნდა დაგეგდოთ, —
 მაგრამ წარსულს რაღა ეშველება“⁷.

პლ. იოსელიანის მიერ აქ გამოთქმული შენიშვნები ეხე-
 ბა რუსთველის პოემის 1841 წლის გამოცემისთვის ბროსეს
 ხელმოწერით წამძღვარებული წინასიტყვაობის იმ ადგილს,
 სადაც განთქმული ლექსის „სიყვარულო, ძალსა შენსას“ ავ-
 ტორად გამოცხადებულია „ჩოლოყაშვილი ჯიმშერ ერისთვის
 ძე დავით მდივანბეგი, მეფეთაგან (ერეკლე II და გიორგი
 XII, გ. შ.) პატივცემული, დიად მეცნიერი და უცხო პიტი-
 კოსი“ (გვ. XIII—XIV).

მართალია, ღღეს უკვე გამორკვეულია, რომ ეს ცნობა
 და, საერთოდ, აღნიშნული წინასიტყვაობის მეტი ნაწილი ეკუ-
 თვნის არა მ. ბროსეს, არამედ თეიმურაზ ბაგრატიონს⁸, მაგ-
 რამ ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ისაა, რომ პლ. იოსელი-
 ანის მტკიცებით, თანაც ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოწმებით,

⁷ პლ. იოსელიანი, წერილები..., № 32.

⁸ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის
 გამოცემა, კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, თბ., 1966,
 გვ. 272; მისივე, თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი გამოუქვეყნებელი რუსთვე-
 ლოლოგიური ნაშრომი, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 407—
 408, 410.

რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, „სიყვარულმა, ძალსა შენსა“ ეკუთვნის არა დავით ჩოლოყაშვილს, არამედ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, „და ამისა დასამტკიცებლად ესეცა არის, რომ მეორე ხანა მისი არის ფრანციზულიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თვით ალექსანდრემ მიჩტენაო“. საგულისხმოა, რომ ი. გრიშაშვილი სწორედ პლ. იოსელიანის ამ ცნობაზე დამყარებით აკუთვნებს აღნიშნულ ლექსს ალექსანდრე ჭავჭავაძეს⁹. ამავე აზრისა ყოფილა იონა მეუნარგიაც, თუმცა, „მაშ, რა ცნობას ემყარებოდა თვით თეიმურაზი, საკითხი კვლავ მოითხოვს შემდგომ კვლევას“¹⁰.

საინტერესოდ გვეჩვენება პლ. იოსელიანის შეხედულება და-ს ფუნქციის შესახებ პოემის მეოთხე ტაეპის წინ. „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ პლ. იოსელიანი ასეთ ცნობას გვაწვდის საქართველოს უკანასკნელი მეფის შესახებ: „სიყრმიდან განსწავლული სამღრთოათა და საეროათა წერილთა, უყვარდა დიდად კითხვა ვეფხისტყაოსნისა, ზეპირად. ძველ დროთა ჩვეულებრივითა წესითა, წარმოთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა, ეტრფოდა ლექსთაწყობასა და გულმხიარულებითა გასაგონად, ტკბილად აბოლებდა მოთასა ტკბილთა ნათქვამთა“ (გვ. 181, ხაზი ჩვენია, გ. შ.) ჩვენი აზრით, პლ. იოსელიანის ხაზგასმულ სიტყვებში ს. ცაიშვილი სამართლიანად ხედავს ვეფხისტყაოსნის კითხვისას

⁹ ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 272—273.

¹⁰ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 28—29.

მეოთხე ტაეპის წინ ტრადიციად ქცეულ და კავშირის მული ფუნქციის აღიარებას, მუსიკალურ ფრაზასთან მისი დაკავშირების შესაძლებლობას, რომლის გარშემო რუსთველოლოგიაში ახლა უკვე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა (ი. მეუნარგია, ნ. მარი, ვ. ბერიძე, შ. ძიძიგური, კ. დანელია) შეიქმნა¹¹.

ვეფხისტყაოსნის ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია პლ. იოსელიანის დაკვირვებანი პოემის 1712 წლის ვახტანგისეულ პირველ ბექდურ გამოცემასა და მის ხელნაწერ წყაროებზე.

ს. ცაიშვილის დასკვნით, „მართალია, მკვლევარს [პლ. იოსელიანს] უშუალოდ არ უმუშავია ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და ვახტანგის გამოცემის ურთიერთმიმართების საკითხები“¹².

კერძოდ, პირველად პლ. იოსელიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის (პლატონი მას თეკლასეულს უწოდებდა, ახლ. Q-1082) მიხედვით არის ჩამოყალიბებული პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა: «По ней, с тою же орфографией, явилось издание 1712 года»¹³. ს. ცაიშვილის სპეციალურმა გამოკვლევებმა სავსებით დაადასტურა პლ. იოსელიანის აღნიშნული ვარაუდი „... 1712 წლის გამოცემის უშუალო წყაროს წარმოადგენს ე. წ. „ზაზასეული“

¹¹ ს. ცაიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 37—43.

¹² იქვე, გვ. 34.

¹³ Пл. Иоселиани, Шота Руставели, томе XVI.

ხელნაწერი... XVII ს. ხელნაწერთა შედარებითი ანალიზი ვახტანგისეული გამოცემის თავისებურებათა გარკვევა მხარს უჭერს ამგვარ შეხედულებას. „ზახსეული“ ხელნაწერის შემოკლების შედეგად შემუშავდა 1712 წლის გამოცემა, რომელიც ვახტანგისეული რედაქციის სახელით არის ცნობილი“¹⁴.

პლ. იოსელიანი უჩივის ვეფხისტყაოსნის უძველეს ხელნაწერთა ჩვენამდე მოუღწევლობას: «Поэма к славе царицы Тамары, народа и языка, дошла до наших дней, по рукописям времен падения литературы»¹⁵. მკვლევარი ამით ხსნიდა პოემის 1712, 1841 (შეცდომით 1840 წელია მითითებული!) და მომდევნო წლების ბეჭდურ გამოცემათა ბევრ ნაკლოვან მხარეს (ძველი ორთოგრაფიის დაუცველობას, ყალბი სტროფების ჩართვას, ასოებისა და სიტყვების დამახინჯებას): «Она издана в 1712 году, лишённая орфографии древней, чистой по правилам грамматики. Искажённая в правописании, подверглась новому искажению при издании в 1840 (!) и далее годах. В нее внесены и такие четырёхстишия, которые не делают чести перу писателя»¹⁶ (იქვე). მის მახვილ

¹⁴ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის წყაროები, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 174; მისივე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 325.

¹⁵ პლ. იოსელიანი, შოთა რუსთველი, თავი XII.

¹⁶ პლ. იოსელიანი კრიტიკულად ეპყრობა ვეფხისტყაოსნის პირველი ბეჭდური გამოცემის ვახტანგისეულ კომენტარებსაც, აგრეთვე 1841 წლის გამოცემისთვის დართულ „მცირე ლექსიკონს“; «Объяснения некоторых мест текста и слов древних и названия оружия при первом издании 1712 г. царя Вахтанга, так и при втором издании, неудовлетворительны, слабы» (შოთა რუსთველი, 1870, თავი XIX).

თვალს და ფაქიზ სმენას არ გამოჰპარვია ის გარემოებაც, რომ გვიანდელ გადამწერთა ხელში დამახინჯდა პოეტის ბევრი ნათელი და გამჭვირვალე აზრი, ფრაზის გამართულობა. ამის გამოა, რომ პოეტს მინდობილი მკითხველი «к сожалению, останавливается там, где как бы враждебно поэту, века народного упадка, отступили от его букв текста или исказили слово, в котором воплощалась его высокая мысль. Эти измененные буквы и слова в рукописи недавней и печати поздней, есть и будут занозою поэмы. В парении с поэтом мы спотыкаемся как путник по неосищенной и неровной дороге»¹⁷.

პლ. იოსელიანი გრძნობს პოემის ტექსტის მეცნიერული დადგენის აუცილებლობას და არ კარგავს იმედს, რომ «Время без сомнения, очистит эту смесь и восстановит древний текст. Этим исправится ошибка издателей и поправителей поэмы и поэта»¹⁸.

* * *

უკვე ა. გაწერელიამ შენიშნა, რომ „პლ. იოსელიანი იცავდა რუსთველის დაკავშირებას ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან“¹⁹.

მართლაც, ძველი ქართული კულტურის წიაღში აღმოცე-

¹⁷ Пл. Иоселиани, Шота Руставели, თავი XIII.

¹⁸ იქვე, თავი XII.

¹⁹ ა. გაწერელია, დას. ნაშრ., გვ. XXXV.

ნებულ¹ რუსთველამდელი და მის შემდეგდროინდელ მდი-
 დარ ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციათა საბუთად
 პლ. იოსელიანს მოჰყავდა „ძველთა მწერალთა წიგნები შავ-
 თელისა, ჩახრუხადისა, მოსე ხონელისა; ახალთ დროებში
 „ქაცვია მწყემსი“, „სიბრძნე სიცრუე“, „ქილილა და დამანა“
 და სხვანი. გარდა ამათსა ჩვენ ქართველთა გვაქვს მრავალთა
 მწერალთა სხვადასხვა გვარნი თხზულებანი ლექსად და პრო-
 ზად — საფალოსოფოსონი, ღვთის მეტყველებითნი, ისტო-
 რიულნი, ზნეობითნი — მიხედვით სხვათა ხალხთა ევროპისა
 და აზიისა; ვიტყვი გაბედვით, მეთვრამეტე საუკუნემდე,
 ქართველნიცა მდიდარნი იყვნენ მწერლობითა“²⁰.

ამას გარდა, ვეფხისტყაოსნის, როგორც ქართული ცივი-
 ლიზაციის უმაღლესი გამოვლინების საიდუმლოებას პლ. იო-
 სელიანი ხსნიდა ბიბლიის წიგნების ძველი ქართული მალაღმხა-
 ტვრული თარგმანებითაც: «Ни славянский перевод, ни ла-
 тинский Вулгата, ни немецкий Лютера, ни французский
 Де-Saci, ни италиянский Jiovani Диодати псалмов, не
 могут оспаривать права превасходства и изящества у пе-
 ревода грузинскаго... Искатели поэзии грузинскаго сло-
 ва, как в псалмах, так вообще в церковных книгах, най-
 дут лучшие и богатые образцы выражений поэтических. В
 них целое море красот слова...»²¹.

ამიტომ იყო, რომ მის მიერვე დასმულ კითხვაზე: «Отку-

²⁰ პლ. იოსელიანი, „გაყრის“ წინასიტყვაობა, თფ., 1850, გვ. 3.

²¹ Пл. Иоселиани, Путевыя записки от Тифлиса до Мхец-
 ты, Тиф., 1871, с. 53—54.

да возникло это светило первой величины в грузинской литературе?», პლ. იოსელიანს უკვე თამამად შეეძლო ეპასუხა: «Руставели не мог быть Минервой, родившеюся из головы Юпитера, как символ ума Божия. Без сомнения, он имел предшественников и образцы, стал на почве литературы, имевшей в переводах с сирскаго (!) и халдейскаго пророков, священной лире которых уступал и Гомер. В V веке мы уже видим стихи величайшаго поэта Давида в его псалмах и новый завет, донныне неизменный в оборотах и идиоме языка греческаго. Сочинения Василия Великаго и в переводе грузинском, красноречию котораго новейшие критики писателей христианской философии отдают первое место в звании оратора перед Демосфеном и Цицероном, уже были знакомы уму и слуху грузинских писателей еще с VI века. Поэты рождаются (Poetae passitur). Руставели, рожденный поэтом, нашел вокруг себя цивилизованный народ...»²².

პლ. იოსელიანი ერთმანეთს უდარებს რუსთაველსა და მის თანამედროვე ძველ ქართველ მეხოტბეებს — შავთელსა და ჩახრუხაძეს და ვეფხისტყაოსნის ავტორს მათზე მაღლა აყენებს, ამასთან, მათ შორის პოულობს პრინციპულ სხვაობასაც; ასე მაგალითად, ჩახრუხაძის შესახებ მსჯელობისას იგი შენიშნავდა: «Под пером его [Чахрухадзе]... совершенно отличным от пера главы грузинских поэтов Руставелиа...»²³, ან კიდევ,

²² Пл. Иоселиани, Шота Руставели, თავი XIV.

²³ Пл. Иоселиани, Описание города Душети, Тиф., 1860, с. 61.

შავთელის შესახებ წერდა: «Здесь (შავთა) родился поэт времен царицы Тамары, современник Шоты Руставели и царя грузинских поэтов, поэт Абдул-Мессия Шавтели»²⁴.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, პლ. იოსელიანს ხელს არ უშლიდა მეხოტბეებშიაც დაენახა ქართული პოეტური ენის მაღალი ნიმუშები: „ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხადისა...“²⁵

რუსთველის პოეზიით აღტაცებას პლ. იოსელიანი გამოხატავს დავით გრუზინსკისადმი 1875 წლის 3 მარტს გაგზავნილ ერთ წერილშიც, სადაც იგი რუსთველს „კავკასიის ბარდს“, „ქართული სიტყვის ბუმბერაზს, გიგანტს“ უწოდებს: «...я воскликну стих пляски слов Руставели — Барда Кавказа, исполина, гиганта слова Грузинского»:

Хвала слово, хвала лицу, хвала долгам им сделанным»;²⁶ იგულისხმება ვეფხისტყაოსნის ის ადგილი, სადაც როსტევანი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ვაზირს: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი“ (759, 4).

რუსთველის პოეტური ენის ხალხურობის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პლ. იოსელიანს, გ. ერისთავის „გაყრის“ წინასიტყვაობაშიც: „ყოველმან ქართულმან იცის რა არის წიგნი ვეფხვის-ტყაოსანი; ... მაგრამ მწერლობა ძტყლთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხუთთა, არა იყო

²⁴ Пл. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мхеты, Тиф., 1871, с. 26.

²⁵ პლ. იოსელიანი, სიტყუა..., „ცისკარი“, 1869, № 3, გვ. 1.

²⁶ Н. Махатадзе, Неизвестные письма Платона Иоселиани, კრებ. „ლიტ. ურთიერთობანი“, II, თბ., 1969, გვ. 107.



ჩუჭულეებითის საუბარისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჰემარიტი ენა ხალხისა“²⁷, ხოლო თავის „ქართულ ღრამბატიკაში“ იგი ხშირად იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარ ლექსიკას²⁸.

* * *

უანრობრივად ვეფხისტყაოსანი, პლ. იოსელიანის განსაზღვრით, არის „აღმოსავლური სარაინდო რომანისა თუ ამბის“ მსგავსი პოემა, ეპოპეა: «Предмет его поэмы есть подражание роману или рассказу рыцарей, занятому у арабов», «В стихах его образцовых, доньше неподражаемых, является эпопея рыцарства востока — война и любовь»²⁹.

გ. იმედაშვილი ამ ადგილს ისე გადმოგვცემს, თითქოს „პლ. იოსელიანის აზრით, პოემის სიუჟეტი არაბულია, მისი წყარო არაბულ-მუსლიმანურ გარემოშია“³⁰, რაც, რა თქმა უნდა, აქ არ დასტურდება და, ბუნებრივია, პლ. იოსელიანს მას ვერ მივაწერთ. ალ. ბარამიძემ მოგვცა პლ. იოსელიანის შეხედულების სწორი ინტერპრეტაცია: „პლატონ იოსელიანის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი ეპოპეაა, პოემა, რაინდულ რო-

²⁷ გაყრა, თფილისს, 1850, გვ. 3.

²⁸ პლ. იოსელიანი, პირუტყლ-დაწყებებითი კანონნი ქართულისა ღრამბატიკისა, აღბეჭდილნი მესამედ, ქ. თფილისს, 1863, გვ. 32, 63, 108, 112.

²⁹ Пл. Иоселиани, Шота Руставели, თავი VII—VIII.

³⁰ გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 49.

მანებს თუ რაინდულ მოთხოვნებს რომ ემსგავსება... პლ. იოსელიანი პირველი მკვლევარია, რომელმაც ვეფხისტყაოსანი შინაარსობრივ-ჟანრობრივად რაინდულ რომანს მიამსგავსა, თუმცა ამ რაინდული რომანის სამშობლოდ არაბულ ლიტერატურას თვლიდა³¹.

პლ. იოსელიანი ვეფხისტყაოსანს განიხილავს პროფესიული სიღრმით, ფართო ერუდიციითა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით. თუ მანამდე ვეფხისტყაოსანს უპირატესად აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლად მიიჩნევდნენ და შესადარებლად მხოლოდ აღმოსავლური ლიტერატურის ძეგლებს იყენებდნენ (ამ მხრივ ე. ბოლხოვიტინოვია გამოჩეკლისი), პლ. იოსელიანის დამსახურება ისაა, რომ მან ვეფხისტყაოსანი მოაქცია მსოფლიო (როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური) ლიტერატურის ფართო ორბიტაში და განსაკუთრებით სწორედ დასავლური ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენლებთან (ჰომეროსი, დანტე, პეტრარკა, ტასო, მილტონი, შექსპირი, ბაირონი...) მიმართებაში გამოკვეთა ვეფხისტყაოსნის კუთვნილი ადგილი კაცობრიობის სულიერი კულტურის განვითარების ისტორიაში.

პლ. იოსელიანი რუსთველის ქმნილებას უდარებს შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ევროპულ მწერლობას და ხმა-მალლა აცხადებს: «Руставели выше мрачнаго Байрона, чище Тасса, светлее Петрарки и нравственнее Мильтона и Данте» (იქვე), ხოლო მხატვრული ენის მხრივაცო, «Не боясь

³¹ ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისათვის, ნარკვევები, V, თბ., 1971, გვ. 69.

осуждения, если со всею смелостью скажу, что язык Руставели выше, чем язык Данте, Тасса и Мильтона» და რომ «Такой плод умственного подвига не есть принадлежность одного народа, великаго или малаго, но есть достоинство всего человечества»³².

პლ. იოსელიანის „შოთა რუსთაველის“ მაღალმა პროფესიულმა დონემ განაპირობა ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული მხარეების შეფასების დროს დიდხანს პოემის ზოგი პოპულარიზატორი ამ წერილის მხოლოდ პირწმინდად გადმოწერით კმაყოფილდებოდა³³, ხოლო მ. ჯანაშვილმა 1896 წელს ქართულადაც თარგმნა იგი და დაურთო თავის ერთ გამოკვლევას³⁴. ამ მხრივ პლ. იოსელიანის აღნიშნულ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს გარკვეული მნიშვნელობა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით მის პ. ბერკოვისეულ ისეთ შეფასებას, თითქოს «Пропитанная каким-то елейным, ханжески-умиленным духом, написанная напыщенно-торжественным стилем, впрочем, местами производящим комическое впечатление, статья Иоселиани оставляет непри-

³² შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კ. ბალმონტის ცნობილი პარალელები რუსთველსა და ევროპულ მწერლობას შორის გარკვეულად პლ. იოსელიანის შრომით არის ნაკარნახევი (შდრ. შოთა რუსთაველი, Носящий бырсову шкуру, перевод К. Д. Бальмонта, Париж, 1933, გვ. VII შმდ.).

³³ იხ. Барсова Кожа (Вепхвис-Ткаосани), «Кавказ», 6. II. 1882, № 34; М. Г и о р г и д з е (Джанашвили), Царица Тамара, გაზ. «Новое обозрение», 19. VI. 1899, № 5304; გამოქვეყნდა ცალკე წიგნადაც: М. Г. Д ж а н а ш в и л и, Царица Тамара, Тиф., 1900, с. 85—92.

³⁴ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველი, ტფ., 1896.

ятный осадок и впечатление неудачной фальсификации в трактовке изумительно жизнерадостной и полнокровной поэмы гениального Руставели»³⁵. მით უმეტეს, რომ პ. ბერკოვი იქვე აღიარებს, «...статья П. Иоселиани по своим размерам и обилию фактических данных... служила вплоть до юбилейных руставелевских дней 1937—1938 годов включительно источником всяческих сведений о «Вепхисткаосани».

დასკვნა

პლატონ იოსელიანს (1809—1875) გამორჩეული ადგილი უჭირავს XIX ს. ქართული მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. კ. გამსახურდია მას „განსაცვიფრებელ ერუდიტს“ უწოდებს, რომელსაც „ერუდიციისა და განათლების მხრივ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენ პოლვაწეთა შორის ბევრი ვერ შეედრებაო“.

ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს პლ. იოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ ბაგრატიონის, მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილის შემდეგ რუსთველოლოგიის ისტორიაში ახალი ეტაპი სწორედ პლ. იოსე-

³⁵ П. Н. Берков, Шота Руставели в русской литературе, კრებ. «Деятели русской культуры о Шота Руставели», Тб., 1966, с. 279.



ლიანმა შექმნა. მიუხედავად ერთგვარი რიტორიკულობისა (რაც მისი სტილური თავისებურებაა და არასგზით არ უნდა აეურითოთ დილექტანტიზმში), პლ. იოსელიანის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა ბევრ მნიშვნელოვან მეცნიერულ დებულებას შეიცავს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ ღირებულება. ამაში გვარწმუნებენ, კერძოდ, მის მიერ მოწოდებული უნიკალური ცნობები შოთა რუსთველის პორტრეტისა და ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესახებ, ამასთან, მისი საგულისხმო ცდები პოეტის ბიოგრაფიისა თუ მსოფლმხედველობრივი საკითხების გასარკვევად და მსოფლო ლიტერატურის მასშტაბით ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული მხარის შესაფასებლად.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები განხილულია პლ. იოსელიანის სხვადასხვა ხასიათის ნაშრომებში. ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხზე პლ. იოსელიანს სხვადასხვა შრომაში სხვადასხვა თვალსაზრისი აქვს გატარებული, რომელთა წყაროები ჩვენთვის ხშირად ცნობილია, ან ხერხდება მათი დადგენა, ზოგჯერ კი ძნელდება ამ შეხედულებათა წყაროების დაძებნა და ვეჭვობთ, რომ ოდესმე დაიძებნოს, რადგან ისინი მკვლევრის საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი უფრო ჩანს, ვიდრე რომელიმე პირველწყაროზე დამყარებული მეცნიერული მოსაზრება. მიუხედავად ამისა, პოეტის ბიოგრაფიის მთავარი მომენტების წარმოდგენისას პლ. იოსელიანი ძირითადად მაინც სწორ მეცნიერულ პოზიციებზე დგას.

პლ. იოსელიანი იცნობდა შოთა რუსთველის ორ ძველ ავთენტურ პორტრეტს — ე. წ. თეკლასეული ვეფხისტყაოსნის კუთვნილ მინიატურულ და იერუსალიმურ (ჯვრის მო-

ნასტრის) ფრესკულ გამოსახულებებს. მათ შესახებ პლ. იოსელიანის მიერ მოწოდებულ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის იკონოგრაფიული მასალების მეცნიერული შესწავლისათვის. ასევე უნიკალურ ცნობებს გვაწვდის პლ. იოსელიანი ვეფხისტყაოსნის უძველეს ხელნაწერთა შესახებ, რომელთა მოძიება დღემდე რჩება რუსთველოლოგიის გადაუდებელ ამოცანად.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პლ. იოსელიანს ვეფხისტყაოსნის პირველ სომხურ (სტ. ბასტამიანისეულ, 1860—1862 წწ.) და პოლონურ (კ. ლაფჩინსკისეულ, 1863 წ.) თარგმანებზე, მათ ღირსება-ნაკლოვანებებზე. ამასთან, მისი მტკიცებით, პოეტური თარგმანის ნაცვლად, საერთოდ, უმჯობესია ვეფხისტყაოსანი უცხო ენებზე სიტყვასიტყვით, პოეტური პროზით ითარგმნებოდესო.

